საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№21 (586)
16 - 22 ივნისი, 2021

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru




ამერიკული პრესიდან 24

## საქართველოში მზე დასავლეთიდან ამოდის, საქმეებიც დასავლისკენ მიემართება 2



## საქართველოში სამხედრო ბაზების განლაგება ჩვენს უსაფრთხოებას კი არა, პოლიგონად გადაქცევას უზრუნველყოფს 3

გურამ ნიკოლაიშვილი:



## 4 კიდევ ათეულობით სამიტი ჩატარდება, მოვისმენთ იმავე ზღაპრებს და არ იქნება არც ერთი რეალური ნაბიჯი

## 5 მილიონამდე ქართველი რუსეთში და «სტრატეგიული პარტნიორები»



შველა სჭირდება ქვეყანას, შველა!

## დასრულდება ჟამი ომისა და სიძულვილისა და დადგება ჟამი მშვიდობისა და სიყვარულისა!





6-7

მამა ბასილი (მკალავიშვილი):



## ეს ბოროტი ძალები ახლა იმიტომ აქტიურობენ, რომ ნიადაგს იმზადებენ 5 ივლისს დაგეგმილი გეიაღლუმისთვის 8

„სიცოცხლის ფასადაც დავიცვათ „მამული, ენა, სარწმუნოება“. დავიცვათ ჩვენი ეროვნული ღირსება და ცნობიერება, რომლის გარეშე, უბრალოდ, არ გვექნება მომავალი!“

## «წითელი ხაზები» რუსეთისთვის და «წითელი ხაზები» ამერიკისთვის 11



## აღმოსავლეთ ევროპისთვის მუქთა ფულის ეპოქა დასრულდა



დადგა დროება, როცა ევროკავშირი, მშობელი დედა კი არა, დედინაცვალია 14

## ევროკავშირი, როგორც შერყეული ნეოლიბერალური ტირანია




«დასასრულს ვუახლოვდებით!» 15

თვალსაწიერი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველოს პოლიტიკური ელიტა დასავლეთს ლამაზ ფერებში ხედავდა, არ ჰქონდა ცოდნა და ვერ ითვალისწინებდა იმას, რომ ყველა ქვეყანას თავისი ეროვნული ინტერესები აქვს, ხოლო ამ ინტერესის განსახორციელებლად იყენებს საგარეო ფაქტორებსაც და სხვა ქვეყნებსაც“.**



# თამარ კიკნაძე: საქართველოში მზე დასავლეთიდან ამოდის, საქმეებიც დასავლისკენ მიემართება

**როგორ კარგავდა დამოუკიდებელი საქართველო ტერიტორიებს 30 წლის განმავლობაში, ვინ იდგა ქვეყანაში განვითარებული პროცესების უკან — პატრიოტული ძალები თუ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების აგენტები, ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტოლოგი თამარ კიკნაძე გვესაუბრება.**

— საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 15-ვე რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. სანამ ჩვენი ქვეყანა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო, მას არ ჰქონდა პოლიტიკის დამოუკიდებლად წარმოების შესაძლებლობა და, შესაბამისად, არ ჰქონდა გლობალური პოლიტიკის წარმოების არც უნარი და არც გამოცდილება. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ელიტა დასავლეთს ლამაზ ფერებში ხედავდა, არ ჰქონდა ცოდნა და ვერ ითვალისწინებდა იმას, რომ ყველა ქვეყანას თავისი ეროვნული ინტერესები აქვს, ამ ინტერესის განსახორციელებლად კი იყენებს საგარეო ფაქტორებსაც და სხვა ქვეყნებსაც. ეს ყველაფერი ქართველი პოლიტიკოსებისთვის, შესაძლოა, ცნობილი იყო, მაგრამ გამოცდილება არ ჰქონდათ და ამიტომ შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ. ამ შეცდომების შედეგია ჩვენი დღევანდელი სავალალო მდგომარეობა.

**პოლიტიკოსმა უნდა იცოდეს ქვეყნების ისტორია, მათი განვითარების ეტაპები, უნდა აკეთებდეს გლობალური პროცესების ანალიზს და, რაც მთავარია, უნდა ჰქონდეს ინფორმაცია, რომელსაც, როგორც წესი, სპეცსამსახურები მოიპოვებენ. მაგრამ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ სპეცსამსახურების დიდი ნაწილი, რომელებიც საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე უნდა მდგარიყო, დასავლეთის მოკავშირე ყოფილა — ყველაფერი კეთდებოდა ქვეყნის დასანგრევად და დაანგრიეს კიდეც.**

**ელცინი** თავისი პრეზიდენტობისას ამა თუ იმ მნიშვნელოვანი საკითხის მოსაგვარებლად ამერიკის პრეზიდენტს ურეკავდა... პროცესები ისე სწრაფად განვითარდა და ისეთი სცენარით, რომ ამერიკის მმართველები თვითონ ცდილობდნენ, როგორმე შეენარჩუნებინათ საბჭოთა კავშირი. მათთვისაც კი მოულოდნელი იყო ამხელა ქვეყნის ასე სწრაფად დაშლა და, ალბათ, სწორედ ამისთვის შეიქმნა დსთ — დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობა. რუსები ქართველებს ხშირად გვსაყვედურობენ, რომ მათ არ ვუერთგულეთ, მაგრამ კარგად მახსოვს დრო, როდესაც რუსეთის ლიბერალი ხელმძღვანელები ქართველებს გვეუბნებოდნენ: წადით და თავს თვითონ მიხედეთო. საქართველოს იმჟამინდელი ხელმძღვანელები გაკვირვებულები იყვნენ რუსეთის მიდგომებით. მათ არ ესმოდათ, რა სურდა მეზობელ ქვეყანას ჩვენგან. დალაპარაკებას ვერ ახერხებდნენ რუსეთთან, რადგან იქ იყვნენ ლიბერალური ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც არ ცდილობდნენ კონსტრუქციული დიალოგის დაწყებას და კავშირების შენარჩუნებას.

**პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ყველაზე ცუდი სცენარი საქართველოში განვითარდა. ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტები მანიპულირებისა და წნეხის საშუალებაა. ის, ვინც ფიქრობს, რომ აფხაზეთისა და ოსეთის კონფლიქტები მხოლოდ რუსეთთან არის დაკავშირებული, ძალიან ცდება — ეს კონფლიქტები გლობალური დონისაა.**

საქართველომ შეცდომები დაუშვა, მაგრამ, დიდი ალბათობით, ზოგჯერ უცოდინარობითა და გამოუცდელობით, ზოგჯერ კი ღალატითა და გამყიდველობით, ჩვენმა ხელისუფლებებმა ვერ და არ გაითვალისწინეს გლობალური პოლიტიკის არსი.

**— საქართველოს მეორე პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე არც ისეთი გამოუცდელი იყო გლობალურ პოლიტიკაში. მან ბერლინის კედლის დანგრევას შეუწყო ხელი. ფიქრობთ, რომ არ იცოდა, რა მოჰყვებოდა აფხაზეთში იარაღით შესვლას?**

— საქართველოს იმჟამინდელმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ინტერესის გატარება. პოლიტიკურ მეცნიერებაში ბევრი ტექნოლოგიაა იმისთვის, რომ აფხაზეთისა და ოსეთის მსგავსი ტიპის კონფლიქტები თავიდან აიცილო, თუკი უფლება გაქვს, იმოქმედო სწორად, მაგრამ საქართველო დამოუკიდებელი არ იყო იმხანად და არც დღეს არის.

თუმცა, ამ პირობებშიც შეიძლებოდა კონფლიქტის თავიდან აცილება, რომ არ მოვყოლილიყავით გლობალური ნგრევის პროცესის შუაგულში და ყველა აგური ჩვენ არ მოგვხვედროდა. **მათ, ვინც გეგმავდა ნგრევის პროცესს, კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული საქართველოს როლი. ჩვენი ქვეყანა არ არის ხელიდან გასაშვები, ჩვენ გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა, ისტორიული განვითარება და ადამიანური რესურსი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რუსეთ-საქართველოს ალიანსი.**

რუსებს ესმით საქართველოს მნიშვნელობა და ამ პატარა ქვეყანასთან ურთიერთობის ფასიც. ეს ურთიერთობა არ გაფუჭდებოდა, გარე და შიდა ფაქტორები ცუდად რომ არ ჩარეულიყო.

პოლიტიკაში ხშირად ხდება, რომ გადაწყვეტილება, რომელსაც ხელისუფალი იღებს, არ არის პოპულარული, საზოგადოებაში იწვევს აღშფოთებას, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში მომგებიანია... მიხვდით, ალბათ, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მოგვარებაზე ვლაპარაკობ. დღეს ასეა — **საქართველოში პოლიტიკოსი, თუ სურს, პოპულარობა მოიხვეჭოს, რუსეთს აგინებს, უფრო მეტიც: პოლიტიკური პარტიები ეჯიბრებიან ერთმანეთს რუსეთის გინებაში. არადა, რუსეთთან პრობლემების მოგვარების გზებს უნდა ვეძებდეთ. შესაძლოა, ხალხს არ მოეწონოს ხმამაღლა ნათქვამი, რომ რუსეთთან ურთიერთობა მოსაგვარებელია, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში არსებული ბევრი პრობლემა სასიკეთოდ გადაიჭრება.**

**«საქართველოში პოლიტიკოსი, თუ სურს, პოპულარობა მოიხვეჭოს, რუსეთს აგინებს, უფრო მეტიც, პოლიტიკური პარტიები ერთმანეთს რუსეთის გინებაში ეჯიბრებიან. არადა, რუსეთთან პრობლემების მოგვარების გზებს უნდა ვეძებდეთ — შესაძლოა, ხალხს არ მოეწონოს ხმამაღლა ნათქვამი, რომ რუსეთთან ურთიერთობა მოსაგვარებელია, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში არსებული ბევრი პრობლემა სასიკეთოდ გადაიჭრება»**

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ადამიანები, რომლებსაც ბევრი რამ ესმით, დარტყმის ქვეშ იმყოფებიან. საბედნიეროდ, ვიცნობ ადამიანებს, რომლებიც გინებას არად დაგიდევენ და ქვეყნის კეთილდღეობისთვის საჭირო საკითხზე — რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაზე საჯაროდ საუბრობენ. ამას აკეთებენ მხოლოდ იმიტომ, რომ სამშობლოს სიყვარული ამოძრავებთ.

ქართველებმა უნდა ვისწავლოთ ისტორიული პროცესების მართებულად შეფასება, ამას აქტიური მუშაობა სჭირდება. **ჯორჯ ორუელი** ამბობს: **„ვინც მართავს წარსულს, მართავს მომავალს, ხოლო, ვინც მართავს აწმყოს, ის მართავს წარსულს“.**

საქართველოში მოძლიერებულია ფსევდოლიბერალური ფრთა და პატრიოტული ძალების წინააღმდეგ იბრძვის, რაც მართლაც სამშობლოზე შეყვარებულ ადამიანს არ აძლევს საშუალებას, აწარმოოს სწორი პოლიტიკა, რომელიც ქვეყნის გაძლიერებასა და კეთილდღეობაზე იქნება ორიენტირებული. მსგავს რამეს, რაც საქართველოში ხდება, ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ. სიმართლის მთქმელი ადამიანი გამარგინალებულია, ჩაწიხლულია ისე, რომ წელში ვერ გასწორდება.

მე რუსეთს განვიხილავ, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთ სუბიექტს, რომელთანაც ჩვენს ქვეყანას აქვს რთული ურთიერთობა. ვიცი ისტორიული განვითარების გზა და ამიტომ მიმაჩნია, რომ „ცუდ“ მეზობელთან ურთიერთობა აუცილებლად უნდა მოვაგვაროთ, რადგან ეს საქართველოს წაადგება.

**ძალები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობაზე არ ზრუნავენ, გვეუბნებიან, რომ რუსეთს უნდა ვებრძოლოთ, რომ ჩვენ უცხო ქვეყნის ინტერესები გავატაროთ და წაგებული დავრჩეთ — ასე მოვდივართ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე.**

როდესაც „კეთილისმსურველები“ გეუბნებიან, — რუსეთს უნდა დაუპირისპირდეო, და ეკითხები, — თქვენ რა ძალებით დაგვეხმარებით, გვპასუხობენ, — დასავლური თანამეგობრობა თანადგომას გამოგიცხადებთო, მაგრამ, პრაგმატული პოლიტიკიდან გამომდინარე, შენს გამო რუსეთს აშკარად არავინ არ დაუპირისპირდება. რუსეთს დაუპირისპირეს ქართველი, როგორც ეს 2008 წლის ომში მოხდა.

**დასავლურ თანამეგობრობას თავისი ინტერესები აქვს და ჩვენი კეთილდღეობა ამ ინტერესებში არ შედის. 30 წლის განმავლობაში ჩვენ გარშემო და ჩვენთან ისეთი პროცესები ვითარდება, საქართველოს არაფერში რომ არ არგია. რამდენიც უნდა ვიძახოთ, ყველაფერი კარგადააო, კარგად არაფერი არ არის.**

**— თქვით, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს ხელისუფლება არ იყო დამოუკიდებელი და ვერ იღებდა სწორ გადაწყვეტილებებს, მაგრამ 2008 წელს ხომ ვიყავით დამოუკიდებელი? გამოცდილებაც თითქოს უნდა გვქონოდა...**

— **სააკაშვილის** პოლიტიკა კრიტიკას ვერ უძლებს. ქვეყნის მმართველის უმთავრესი დანიშნულებაა, კატაკლიზმები აარიდოს ქვეყანას. სააკაშვილის მმართველობის პერიოდში საქართველო დაპირისპირების ეპიცენტრში აღმოჩნდა. მისი „მოღვაწეობა“ უნდა გაანალიზებულიყო, ისე, როგორც შევარდნაძის „მოღვაწეობა“ და საერთოდ, ანალიზის გაკეთება უნდა ვისწავლოთ, ვისწავლოთ საკუთარ შეცდომებზე მაინც... **ყველაფერი, რაც თავს გადაგვხდა, საქართველოსთვის ცუდად დასრულდა. მართალია, ძალიან მნიშვნელოვანია იმაზე საუბარი, ვინ იყო ომის ინსპირატორი, მაგრამ ჩვენ შედეგებზე ვთქვათ. ომები, რომლებიც ჩვენს ტერიტორიაზე მოხდა, ყველას ხელს აძლევდა, საქართველოს გარდა.** ამაზე უნდა ეფიქრა ჩვენს ხელისუფლებებს...

**საქართველომ დაკარგა ისეთი ძირძველი ორი ტერიტორია, რომლებზეც თვითონ რუსეთიც კი ამბობდა, რომ საქართველოს ნაწილია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩვენივე ნებით ჩავაბარეთ მათ, მაგალითად, კოდორის ხეობა.**

**„ყველაფერი, რაც თავს გადაგვხდა, საქართველოსთვის ცუდად დასრულდა. მართალია, ძალიან მნიშვნელოვანია იმაზე საუბარი, ვინ იყო ომის ინსპირატორი, მაგრამ ჩვენ შედეგებზე ვისაუბროთ. ომები, რომლებიც ჩვენს ტერიტორიაზე მოხდა, ყველას ხელს აძლევდა, საქართველოს გარდა. ამაზე უნდა ეფიქრათ ჩვენს ხელისუფლებებს... საქართველომ დაკარგა ისეთი ძირძველი ორი ტერიტორია, რომლებზეც თვითონ რუსეთიც კი ამბობდა, რომ საქართველოს ნაწილია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩვენივე ნებით ჩავაბარეთ მათ, მაგალითად, კოდორის ხეობა“**

1999 წლის სტამბოლის ხელშეკრულებით საქართველოდან გაყვანილ იქნა რუსეთის ბაზები, მაგრამ შემდეგ სააკაშვილმა ისე გააკეთა, რომ ორი იმდენი რუსული ბაზა და ტანკი შემოვიდა, ვიდრე გავიდა, თანაც სროლით და ვაი-უბედურებით.

**— გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ გამუდმებით საუბრობს იმაზე, რომ, თუ ტერიტორიების დაბრუნება გვინდა, რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა უნდა მოგვარდეს, რაც ფსევდოლიბერალებისთვის წარმოუდგენელია...**

— ძალები, რომლებიც არ არიან საქართველოს კეთილდღეობით დაინტერესებულნი და ანგარებით მოქმედებენ, თქვენს გაზეთს განიხილავენ „რბილი ძალის“ ერთ-ერთ გამოვლინებად, მაგრამ, თუ საქართველოში ლიბერალური საზოგადოებაა, მაშინ ყველანაირ აზრს აქვს არსებობის და საჯაროდ გამოთქმის უფლება, ეს ლიბერალიზმის ფუძემდებლური პოსტულატია. რაც შეეხება რუსეთის „რბილ ძალას“, არ ვფიქრობ, რომ ის საქართველოში განსაკუთრებით ვლინდება. ყოველ შემთხვევაში, აქ სხვა ქვეყნების „რბილი ძალის“ გავლენა უფრო ძლიერია. რუსეთისთვის არ არის დამახასიათებელი „რბილი ძალის“ გამოყენება.

დასავლურ სამეცნიერო სახელმძღვანელოებსა და წერილებში შეხვდებით ისეთი პრობლემების განხილვას, რომლებიც ჩვენთვისაც საჭირბოროტოა, მაგრამ თუ ამ პრობლემებზე საჯაროდ საუბრობ, მაშინვე იარლიყს მოგაწებებენ — „ანტიდასავლელი და პრორუსი ხარ!“ **საქართველოში მზე დასავლეთიდან ამოდის,** საქმეებიც დასავლისკენ მიემართება.

დღეს მსოფლიოში აშკარად შეინიშნება გლობალიზაციის გარკვეული სახით დასრულება და ეროვნული სახელმწიფოს კვლავ წინ წამოწევა. ჩვენ კი ისევ ულტრალიბერალურ ნარატივში ვცხოვრობთ. თვით გლობალიზაციის ცნობილი აპოლოგეტი **ფუკუიამაც** კი აღნიშნავს: „გლობალურმა ინსტიტუტებმა ვერ ჩაანაცვლეს ეროვნული სახელმწიფოების ფუნქცია“, ამიტომ ჩვენც ვიზრუნოთ ჩვენი სახელმწიფოს გაძლიერებაზე, ყველა ფაქტორის გააზრებაზე.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**ჩამოვა მელია შტატებიდან, ამერიკელი სენატორებისთვის ჩამორთმეულ ხელს დიდი ხნის განმავლობაში არ დაიბანს, ხელისუფლებას ენას გამოუყოფს, აქაოდა, ამერიკაში ვიყავი და მათი მხარდაჭერა მაქვსო. ხალხს კი... ხალხს არც არაფერი, საჯილდაო ქვად ძალაუფლება არის ქცეული და რა მნიშვნელობა აქვს, ცხრაპირ ტყავს ვინ გაგვაძრობს?!**

მარიონეტები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოში სამხედრო ბაზების განლაგება ჩვენს უსაფრთხოებას კი არა, პოლიგონად გადაქცევას უზრუნველყოფს

## ამდენ მასხარაობას პირდაპირ თქვან, რომ ამერიკელებისგან დამოუკიდებლად საპირფარეშოშიც ვერ შედიან

**ამერიკის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ევროპული ტურნეს დაწყებამდე ხმამაღლა და მკაფიოდ განაცხადა, — რუსეთმა უნდა იცოდეს, რომ ამერიკა ევროპის გვერდით არისო. შემდეგ კი ისიც მიაყოლა, — ბელარუსში ალექსანდრე ლუკაშენკოს დიქტატურა ამერიკის შეერთებულ შტატებს უქმნის საფრთხესო. ბაიდენის ამ განცხადებას ქართველმა პოლიტიკოსებმა ხანგრძლივი, მქუხარე ტაში მიუძღვნეს, ლუკაშენკო ევროპის ბოლო დიქტატორად კიდევ ერთხელ მონათლეს და ბაიდენს დემოკრატიის მამა უწოდეს (ისე, პაპა უფრო მოუხდებოდა).**

პარალელურად, ნატოს სამიტის წინ სულ უფრო გააქტიურდა საუბრები საქართველოსა და უკრაინის ნატოში შესაძლო გაწევრებაზე. **ვლადიმერ ზელენსკი ჯო ბაიდენმა** თეთრ სახლშიც მიიწვია და ყოფილი მასხარა ამ შანსს ხელიდან ნამდვილად არ გაუშვებს. ნატოს შესაძლო გაფართოებაზე კომენტარი **ვლადიმერ პუტინმაც** გააკეთა.

**„აღმოსავლეთში ნატოს გაფართოება და მისი ინფრასტრუქტურის ჩვენს საზღვრებთან მოახლოება პრაქტიკული მნიშვნელობის არის რუსეთისთვის. რატომ? — პოლონეთი გახდა ნატოს წევრი და ამერიკელებმა ადვილად მოილაპარაკეს მათთან რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების განთავსებაზე. ამ სისტემის გამშვები მოწყობილობები, შესაძლოა, გამოყენებული იყოს თავდასხმითი კომპლექსებისთვის, რომლებიც აღწევს რუსეთის ცენტრამდე, მათ შორის მოსკოვამდე, და თანაც ძალიან მოკლე დროში — 15 წუთია მოსკოვამდე რაკეტის ფრენის დრო. წარმოიდგინეთ, რომ უკრაინა გახდა ნატოს წევრი. ხარკოვიდან ან დნეპროპეტროვსკიდან ფრენის დრო რუსეთის ცენტრალურ ნაწილამდე, მოსკოვამდე, 7-10 წუთამდე მცირდება. ეს ჩვენთვის არის თუ არა წითელი ხაზი? სახიფათო და მიუღებელი იქნება თუ არა შეერთებული შტატებისთვის ჩვენი რაკეტების კუბაზე განთავსება, საიდანაც, ფრენის დრო ვაშინგტონამდე 15 წუთია. ეს დრო რომ შემცირდეს 7-10 წუთამდე, ჩვენი რაკეტები უნდა განთავსდეს კანადის სამხრეთ საზღვართან ან მექსიკის ჩრდილოეთ საზღვართან. ეს აშშ-ისთვის არის თუ არა წითელი ხაზი, ვინმემ ხომ უნდა იფიქროს? იფიქროს, რა რეაგირება უნდა გვქონდეს იმაზე, რაც განიხილება და რა შეთავაზებებიც არის“,** — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა. აი, ამ განცხადების შემდეგ ქართველმა პოლიტიკოსებმა რიგები დააყენეს, პუტინი გვემუქრებაო. ბაიდენმა, საერთოდ, სახე ჩამოიხოკა, ეგ რა თქვა პუტინმაო, და არავის მოსვლია აზრად, ამერიკის პრეზიდენტისთვის უმარტივესი კითხვა დაესვა — **თუ ლუკაშენკოს ქმედება საფრთხეს უქმნის ოკეანის გაღმა მდებარე ამერიკას, რატომ არ შეუქმნის საფრთხეს რუსეთს მის საზღვართან განლაგებული სარაკეტო ბაზა? თუ რუსეთი კაციჭამიაა და ამერიკა მშვიდობისმყოფელი?** უბედურება არის ის, რომ შტატებს აქვს ფული, როცა უნდა, მაშინ დაიძახებს „პოლიქრონიონს“ და აქედან დანარჩენები ხმის ჩახლეჩამდე აჰყვებიან. ვინც ხმადაბლა იყვირებს, მას მომავალში ნაკლები თანხა ერგება. **ამიტომაც არის, საქართველოს ხელისუფლება თუ ოპოზიცია ყვირილსა და ყელის ძარღვების დაბერვას ერთმანეთს რომ ასწრებენ...**

კოსმოსსაც აქვს საზღვრები, იდიოტიზმი კი მართლა უსაზღვროა. **თუ ამერიკის პრეზიდენტს ათასობით კილომეტრს იქით ვიღაცის ქმედება არ მოსწონს, მაშინ საფრთხე რეალურად არსებობს? თუ, როცა რუსეთის პრეზიდენტი თავის ქვეყანაზე ფიქრობს, ესეც საფრთხეა?** საკუთარ თავთან მარტო რომ რჩებიან, მაშინ ხომ მაინც იციან ქართველმა პოლიტიკოსებმა, რომ სისულელეს ამბობენ, სისულელეს აკეთებენ და, ამის მიუხედავად, მაინც აკეთებენ. ყველაფერს ისევ ფული და ძალაუფლებისკენ სწრაფვა წყვეტს და, სამწუხაროდ, საქართველო ყოველთვის ასე, ნაწილ-ნაწილ თუ მთლიანად იყიდებოდა, გამყიდველები კი თავს პატრიოტებს უწოდებდნენ. ოპოზიციის ლიდერი **ნიკა მელია** ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. მას გვერდს პარტიის კიდევ ორი წევრი უმაგრებს. მელიამ გამგზავრებამდე თქვა, რომ ის შეხვედრებს კონგრესში, სენატში, უშიშროების საბჭოსა და სახელმწიფო დეპარტამენტში გამართავს.

**„ძალიან ბევრი შეხვედრა იქნება იმ ადამიანთან თუ ორგანიზაციასთან, რომელიც აქტიურად მონაწილეობს ამერიკის ეკონომიკური და საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში. მინდა, მათ იცოდნენ ჩვენი, „ნაციონალური მოძრაობის“, ხედვა და გეგმები. რა თქმა უნდა, რაზეც მეტად უნდა ვისაუბრო, ვიდრე საკუთარი პარტიაა, არის ამ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, უსაფრთხოება, რეგიონში შექმნილი უმძიმესი ვითარება და კიდევ უფრო გაღრმავდეს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა. დარწმუნებული ვარ, ეს ვიზიტი ამ ყველაფერს ხელს შეუწყობს, როგორც არასოდეს“,** — აღნიშნა მელიამ. ეს არის სტანდარტული სიტყვები ამერიკაში გამგზავრების წინ. ყველა ქართველი პოლიტიკოსი ასე ამბობს, რეალურად კი, იქ ხვდებიან იმ კონგრესმენს ან სენატორს, რომელსაც, უბრალოდ, იმ კონკრეტულ მომენტში სცალია და ისინი აძლევენ ფურცელზე დაწერილ დავალებებს, როგორ უნდა მოიქცნენ, რა უნდა თქვან, რა არ უნდა თქვან და, მხარზე ხელს თუ დაუტყაპუნებენ, წარმატების პიკად ითვლება.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, მალე ყველა პარტიის ოფისში გამოაკრავენ მოქმედების გეგმას, ამერიკაში წანწალით რომ არ შეწუხდნენ სტრატეგიული პარტნიორები. მას დაახლოებით ასეთი ფორმა ექნება: საუზმე — 09:00 საათი, ლანჩი (ამერიკულად ისმის ლანჩი) – 12:00 საათი, 13:00-დან 17:00 საათამდე — თავისუფალი დრო, ე.ი., ქართველ პოლიტიკოსებს შეუძლიათ, სადაც სურთ, იქ წავიდნენ, ოღონდ პოლიტიკური განცხადება არ უნდა გააკეთონ; 18:00 საათიდან — სხვადასხვა შოუში ერთმანეთის კრიტიკა და რუსეთის გინება. ეს ბოლო კომპონენტი აუცილებელია და საღამოს საათები საუკეთესო დროა ამისთვის. არ გეგონოთ, ვხუმრობდეთ. ასე გვგონია, მართლა **სრული დღის წესრიგი აქვთ მიცემული ევროპა-ამერიკისგან ქართველ პოლიტიკოსებს და, უბრალოდ, არ აჩენენ. რას უნდა ნიშნავდეს ის, რომ ჯერ ირაკლი კობახიძე იყო შტატებში და სამოქმედო გეგმა შეათანხმა ამერიკელებთან, ახლა მელია წავიდა და ოპოზიციის გეგმებს ათანხმებს. ამდენ მასხარაობას პირდაპირ თქვან, რომ დამოუკიდებლად საპირფარეშოშიც ვერ შედიან და, სანამ ამერიკელები არ ეტყვიან, ითმენენ. შემდეგ ეს თმენა ხასიათში გადაუდით და ამიტომაცაა, ქართველ პოლიტიკოსთაგან ნორმალურს ვერაფერს რომ ვერ გაიგონებს კაცი.**

მხოლოდ ის რად ღირს, ნატოს სამიტზე საქართველო და უკრაინა რომ არ მიიწვიეს. ქართველმა პოლიტიკოსებმა შეკითხვაც კი ვერ გაბედეს, რატომ მოხდა ასე, რატომ არად ჩააგდეს ის ორი ქვეყანა, რომლებსაც, აგერ უკვე მერამდენე წელიწადია, სწორედ ნატოში გაწევრებას ჰპირდებიან. უხერხულობის მომენტის განსამუხტავად, **იან სტოლტენბერგმა** განაცხადა, საქართველოსა და უკრაინის საკითხს აუცილებლად განვიხილავთ და უფრო მჭიდრო პარტნიორობის პაკეტს მოვიფიქრებთო. **ავღანეთიდან ჯარების გამოყვანის შემდეგ, სავარაუდოდ, ჩვენს ჯარისკაცებს სხვა მისიებში უკრავენ თავს და უფრო მჭიდრო პარტნიორობაც ეს იქნება. ისე, ავღანეთიდან წამოსვლის შემდეგ ჯარიდან ჯარისკაცები რომ გარბიან, ხელისუფლება დუმს. ისეთ ჯამაგირს ვეღარ უხდიან ქართველ ბიჭებს და შესაბამისად, ისინიც სხვა სამსახურს ეძებენ ოჯახის სარჩენად.** ცალკე უბედურება ის არის, რომ ოჯახის სარჩენად ქართველი ბიჭები ტყვიას უშვერენ შუბლს და სახიფათო მისიებში ნებით მონაწილეობენ.

ნამდვილად ვერ გეტყვით, რა იქნება ხვალ, რით დასრულდება თვითმმართველობის არჩევნები, დაინიშნება რიგგარეშე არჩევნები თუ არა, მაგრამ, სამწუხაროდ, **ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არ ჩანს ისეთი პარტია, რომელიც, უწინარესად, ამერიკასა და ევროპას კი არა, საქართველოს დაიძახებს, რომელიც დასავლეთის ინტერესებზე წინ ჩვენი ქვეყნის ინტერესს დააყენებს. შესაბამისად, მონობის უღელი კიდევ ძალიან დიდ ხანს გვექნება კისერზე და, სამწუხაროდ, მარყუჟის მოშვებაზე არც დასავლეთი ფიქრობს.**

ნატოს სამიტის შემდეგ თუ საქართველოს ან უკრაინის ტერიტორიაზე ბაზების მშენებლობა გადაწყდება, ეს დასასრულის დასაწყისი იქნება. ადრეც არაერთხელ დაგვიწერია და ახლაც გავიმეორებთ — **საქართველო დასავლეთს აინტერესებს არა როგორც ქვეყანა, არამედ როგორც სტრატეგიული ტერიტორია. შედეგად, საქართველოში სამხედრო ბაზების განლაგება, ჩვენს უსაფრთხოებას კი არა, საბრძოლო პოლიგონად გადაქცევას უზრუნველყოფს.** ამიტომ ვამბობთ, რომ საქართველოში ნებისმიერი უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზის მშენებლობაზე ნებისმიერმა მთავრობამ კატეგორიული უარი უნდა განაცხადოს, სხვაგვარად არაფერი გამოვა.

მანამდე კი... ჩამოვა მელია შტატებიდან, ამერიკელი სენატორებისთვის ჩამორთმეულ ხელს დიდი ხნის განმავლობაში არ დაიბანს, ხელისუფლებას ენას გამოუყოფს, აქაოდა, ამერიკაში ვიყავი და მათი მხარდაჭერა მაქვსო. ხალხს კი... ხალხს არც არაფერი, საჯილდაო ქვად ძალაუფლება არის ქცეული და რა მნიშვნელობა აქვს, ცხრაპირ ტყავს ვინ გაგვაძრობს?!

**ბესო ბარბაქაძე**



**თუ ლუკაშენკოს ქმედება საფრთხეს უქმნის ოკეანის გაღმა მდებარე ამერიკას, რატომ არ შეუქმნის საფრთხეს რუსეთს მის საზღვართან განლაგებული სარაკეტო ბაზა? თუ რუსეთი კაციჭამიაა და ამერიკა მშვიდობისმყოფელი? უბედურება არის ის, რომ შტატებს აქვს ფული, როცა უნდა, მაშინ დაიძახებს «პოლიქრონიონს» და აქედან დანარჩენები ხმის ჩახლეჩამდე აჰყვებიან. ვინც ხმადაბლა იყვირებს, მას მომავალში ნაკლები თანხა ერგება, ამიტომაც არის, საქართველოს ხელისუფლება თუ ოპოზიცია ყვირილსა და ყელის ძარღვების დაბერვას ერთმანეთს რომ ასწრებენ**

ნატოს კარი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„საქართველოსთვის, როგორც ევროატლანტიკურ კურსზე ორიენტირებული სახელმწიფოსთვის, რომელიც, ჩემი აზრით, ბევრს რისკავს ამ კურსისთვის, მათ შორის, რიგ საკითხებში საკუთარი ინტერესების საზიანოდაც, ეს იყო სამიტი სამიტისთვის. ეს იყო, ალბათ, სულ ცოტა, მეასედ მოსმენა იმისა, რაც, წლებია, გვესმის, რომ ნატოს კარი ღიაა, აუცილებლად მიგვიღებენ, აფასებენ ჩვენს წვლილს საერთაშორისო უსაფრთხეობის მისიებში და ა.შ.“



### გურამ ნიკოლაიშვილი:

# კიდევ ათეულობით სამიტი ჩატარდება, მოვისმენთ იმავე ზღაპრებს და არ იქნება არც ერთი რეალური ნაბიჯი

**14 ივნისს ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში ნატოს სამიტის დასრულების შემდეგ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა მედიასთან ისაუბრეს და ალიანსის ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული განცხადებები შეაფასეს. პრემიერის განმარტებით, ის, რომ სამიტის დღის წესრიგში ერთ-ერთი განსახილველი თემა საქართველოს საკითხიც იყო, უკვე მოწმობს ალიანსის ურყევ მხარდაჭერას ქვეყნის სუვერენიტეტისადმი, ხოლო კონკრეტული გზავნილები, რომლებიც, თურმე, ნატოს სამომავლო გაფართოებას და მასში, როგორც საქართველოს, ისე უკრაინის მიღებას შეეხებოდა, მოწმობს, რომ თანამშრომლობა სამხედრო ბლოკთან უპრეცენდენტოდ მაღალ ნიშნულზეა.**

ოპტიმისტური იყო მთავრობის სხვა წევრების განცხადებებიც, კერძოდ, საგარეო საქმეთა მინისტრ **დავით ზალკალიანის** შეფასებით, ამ სამიტზე ქვეყანამ კიდევ ერთხელ მიიღო დაპირება, რომ ის აუცილებლად გახდება სამხედრო ბლოკის წევრი. მისივე თქმით, საქართველო თავის ნატოელ პარტნიორებთან პირნათელია და ეს ყველასათვის აშკარაა, რადგან მას 100%-ით აქვს შესრულებული ყველა ვალდებულება, რომელიც აკისრია. შეგახსნებთ, რომ სამიტამდე საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები იმედს გამოთქვამდნენ, რომ ნატოს ხელმძღვანელები საქართველოზე (კერძოდ, ქვეყნის ალიანსში მიღების პერსპექტივებზე) მსჯელობისას კონკრეტიკასაც არ მოერიდებოდნენ, თუმცა ნატოს გენერალურმა მდივანმა **იენს სტოლტენბერგმა** ეს ყველაფერი ჯერ კიდევ შეხვედრის დაწყებამდე გამორიცხა, როცა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ამ სამიტზე ზუსტი თარიღები დასახელებული არ იქნებოდა.

**რა გზავნილები მიიღო საქართველომ ნატოს 2021 წლის სამიტიდან და ადეკვატურია თუ არა შეფასებები, რომლებიც ამ გზავნილების კვალდაკვალ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში კეთდება? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება გენერალ-ლეიტენანტი გურამ ნიკოლაიშვილი.**

**— ბატონო გურამ, ნატოს ბიუსელის სამიტისგან ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ბევრს ელოდნენ. ბევრი ვარაუდობდა, რომ ამ შეხვედრას განსაკუთრებული დატვირთვა ექნებოდა ჩვენთვის. ალბათ, იმის მოლოდინიც იყო, რომ გარკვეული კონკრეტიკაც იქნებოდა ალიანსში საქართველოს მიღების პერსპექტივაზე, მაგრამ სტოლტენბერგმა ჯერ კიდევ სამიტის დაწყებამდე განუცხადა ჟურნალისტებს, რომ „ამ სამიტზე თარიღები არ დასახელდებოდა“. რა გზავნილები მიიღო საქართველომ ბრიუსელიდან და რა დატვირთვა ჰქონდა ჩვენთვის ამ ყველაფერს?**

— საქართველოსთვის, როგორც ევროატლანტიკურ კურსზე ორიენტირებული სახელმწიფოსთვის, რომელიც, ჩემი აზრით, ბევრს რისკავს ამ კურსისთვის, მათ შორის, რიგ საკითხებში საკუთარი ინტერესების საზიანოდაც, **ეს იყო სამიტი სამიტისთვის. ეს იყო, ალბათ, სულ ცოტა, მეასედ მოსმენა იმისა, რაც, წლებია, გვესმის, რომ ნატოს კარი ღიაა, აუცილებლად მიგვიღებენ, აფასებენ ჩვენს წვლილს საერთაშორისო უსაფრთხეობის მისიებში და ა.შ.** რაც შეეხება რეალობას, რომელიც, ყველაფრის მიუხედავად, ნათლად იკვეთება, ჩვენ გვითხრეს საკმაოდ გასაგებად, ყოველგვარი დიპლომატიური მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, რომ კონკრეტული თარიღების დასახელებას არ უნდა ველოდოთ. ვიღაც იტყვის, რომ ეს არ არის უარი და ეს, უბრალოდ, პროცესის ნაწილია, მაგრამ ჩემთვის უარია. მეტსაც გეტყვით, ამ სამიტის შემდეგ და საერთოდ, ბოლო პერიოდში ნათლად გამოჩნდა, რომ არათუ რამე შეიცვლება ნატოსთან დაახლოების მიმართულებით, არამედ აშკარად არის სვლა უკან...

**— რა თვალსაზრისით?**

— ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველო, უკრაინა და მოლდოვა ყველა სამიტს ესწრებოდნენ. წელს არ მიგვიწვიეს. მეტიც, მთავრობის წარმომადგენლებმა, მაგალითად, ბატონმა **ზალკალიანმა**, არაერთხელ განაცხადა, რომ მისი უწყების სერიოზული ძალისხმევის, სერიოზული დიპლომატიური მუშაობის შედეგია სამიტის დღის წესრიგში საქართველოს საკითხის შეტანა. მე მჯერა ამის. ხელისუფლებას დღეს, პრაქტიკულად, ბრძოლა უწევს იმისთვის, რომ საქართველო ახსენონ(!) ნატოს სამიტზე. სხვათა შორის, აქ ერთი მომენტია მნიშვნელოვანი: მოგეხსენებათ, ამას წინათ ევროკავშირის ხელმძღვანელობა იყო კიევში ოფიციალური ვიზიტით და აღმოსავლეთ ევროპის სამი ქვეყნის — საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის — საგარეო საქმეთა მინისტრებს შეხვდა. მათ ერთობლივი მოქმედების გეგმა დაუსახა და გაფორმდა მემორანდუმი, რომელშიც ეკონომიკურ საკითხებთან ერთად ერთ-ერთი საკითხია თანამშრომლობა და უფრო ღრმა მოქმედება უსაფრთხოების მიმართულებით. განსაკუთრებით საუბარია შავი ზღვის რეგიონზე... ახლა რატომ მომყავს ეს მაგალითი: **ყველაფერი, რაც ნატოსთვის იყო უმნიშვნელოვანესი და მათი ხელმძღვანელობით იმართებოდა, გადააბარეს ევროკავშირს, ევროკავშირმა კი, თავის მხრივ, მოიგონა რაღაც მემორანდუმი, რომელიც ნატოს იმედად მყოფ სამ, დღეს უკვე პირშიჩალაგამოვლებულ, სახელმწიფოს მიუგდო... აი, ეს არის მათი ამჟამინდელი კონიუქტურული მიდგომა სატელიტი ქვეყნებისადმი. რაც შეეხება კონკრეტულად შეერთებულ შტატებს, ის უკვე ვეღარ აკონტროლებს მსოფლიოს, როგორც, ვთქვათ, 15-20 წლის წინათ...**

«ყველაფერი, რაც ნატოსთვის იყო უმნიშვნელოვანესი და მათი ხელმძღვანელობით იმართებოდა, გადააბარეს ევროკავშირს, ევროკავშირმა კი, თავის მხრივ, მოიგონა რაღაც მემორანდუმი, რომელიც ნატოს იმედად მყოფ სამ, დღეს უკვე პირშიჩალაგამოვლებულ, სახელმწიფოს მოგვიგდო... აი, ეს არის მათი ამჟამინდელი კონიუქტურული მიდგომა სატელიტი ქვეყნებისადმი. რაც შეეხება კონკრეტულად შეერთებულ შტატებს, ის უკვე ვეღარ აკონტროლებს მსოფლიოს, როგორც, ვთქვათ, 15-20 წლის წინათ...»

**— სამხედრო პოტენციალიც არ ჰყოფნის ამისთვის?**

— სამხედრო პოტენციალს რაც შეეხება, 11 ავიამზიდიდან, რომლებიც აშშ-ს მწყობრში ჰყავს, ექვსი ტაივანსა და ავსტრალიას შორისაა განლაგებული. ეს ნიშნავს, რომ ის აღმოსავლეთზეა ორიენტირებული. მოგეხსენებათ, ჩინეთი აღრენილია ტაივანის შეერთებაზე, ამერიკასა და ტაივანს შორის კი სტრატეგიული თანამშრომლობაა გაფორმებული. **წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, 2,4-მილიონიანი ჯარისა და უზარმაზარი სამხედრო ინდუსტრიის მფლობელმა ჩინეთმა რომ აშშ-ს დაარტყას?** იქნება სრული ქაოსი და ეს შექმნის უზარმაზარ პრობლემას ვაშინგტონისთვის. აი, ეს არის დღეს მთავარი საკითხები „თეთრი სახლისთვის“ და ამიტომაც ასრულებს ავღანეთში ყოფნას. თუმცა ცხადია, ჩინეთი არ არის მისი ერთადერთი პრობლემა, სეროზული პრობლემაა რუსეთიც, რომელიც დღითიდღე ძლიერდება და სულ უფრო მყარ წინაპირობებს ქმნის თავისი სტრატეგიული ინტერესების დასაცავად... სხვათა შორის, თავის დროზე **ჰენრი კისინჯერმა** თქვა, რომ რუსეთთან წითელი ხაზების მიახლოება რუსეთის აღორძინებას გამოიწვევდა. ისე აგვიხდეს ყველაფერი კარგი, როგორც ეს აუხდათ ამერიკელებს. **ბოლო 10-15 წლის განმავლობაში დაწესებულმა სანქციებმა, ორმაგ სტანდარტებზე დაფუძნებულმა პოლიტიკურმა თუ იდეოლოგიურმა ჭიდილმა და დაძაბულობამ რუსეთის გავლენის ისტორიულ სივრცეში, მოიტანა ის, რომ კრემლი საერთაშორისო პოლიტიკურ არენას დაუბრუნდა; დაბრუნდა არა როგორც თავდაცვით პოზიციაში მყოფი სახელმწიფო, არამედ, როგორც პოლუსი...**

**— ჩვენთვის რა რეალობა იქმნება ამ ყველაფრით?**

— **ვაშინგტონი ცდილობს, რუსეთთან დაძაბულობა ჩამოიყვანოს სამშვიდობო მდგომარეობამდე. ამერიკელებს არ სურთ, ამაზე მეტად დაიძაბოს ვითარება და, თუ მაინც დაიძაბება, აგერ არიან აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები, რომლებიც პოლიგონის ფუნქციას შეასრულებენ...** არც საქართველოს, არც უკრაინას, არც მოლდოვას დღეს აღარ უკავიათ ამერიკის შეერთებული შტატების უახლოეს პოლიტიკურ გეგმებში 10-15 წლის წინანდელი მდგომარეობის მსგავსი ადგილი. ვაშინგტონს სერიოზული თავსატეხი აქვს, რაც, პირველ რიგში, განპირობებულია ჩინეთის შეუქცევადი გაძლიერებით და იმით, რომ კარგავს პოლიტიკურ-ეკონომიკურ პოზიციებს. სხვათა შორის, ბოლო მონაცემებით, ჩინეთში მთლიანი შიდა პროდუქტი 18%-ით გაიზარდა და ეს მაშინ, როცა ამერიკაში სამომხმარებლო ფასებმა კატასტროფულად მოიმატა... არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ინდოეთი, რუსეთი, ბრაზილია, ამცირებენ თავიანთ ეკონომიკაში დოლარით ვაჭრობის წილს. მაგალითად, წლების წინათ თუ 95% იყო რუსეთში ეს მაჩვენებელი, ახლა 80%-იც არ არის. **აი, ეს მოიტანა სანქციებმა და ევროპა ამას უკვე მიხვდა, ამიტომ მოუხსნეს რუსეთს „ჩრდილოეთი ნაკადი-2“-ის გამო დაწესებული სანქციებიც. საერთოდ, სანქცია არის იმის გამოვლინება, რომ შენ არგუმენტებს ვერ პოულობ, რომ დაუჯდე ოპონენტს და ელაპარაკო.**

«ვაშინგტონი ცდილობს, რუსეთთან დაძაბულობა ჩამოიყვანოს სამშვიდობო მდგომარეობამდე. ამერიკელებს არ სურთ, ამაზე მეტად დაიძაბოს ვითარება და, თუ მაინც დაიძაბება, აგერ არიან აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები, რომლებიც პოლიგონის ფუნქციას შეასრულებენ... არც საქართველოს, არც უკრაინას, არც მოლდოვას დღეს აღარ უკავიათ ამერიკის შეერთებული შტატების უახლოეს პოლიტიკურ გეგმებში 10-15 წლის წინანდელი მდგომარეობის მსგავსი ადგილი»

**— სხვათა შორის, „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ისთვის დაწესებული სანქციების მოხსნის გადაწყვეტილება ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ისე მიიღო, რომ უკრაინის ხელისუფლებისთვის არც უცნობებია, ზელენსკიმ, როგორც ამბობენ, ეს ამბავი მედიით შეიტყო...**

— რა თქმა უნდა, ვაშინგტონი არაფერს არ შეუთანხმებს კიევს, ისევე, როგორც საქართველოს, ბალტიისპირეთს და ა.შ. მეტიც, ის ამ ქვეყნებთან ურთიერთობაში, საერთოდ, არ განიხილავს მათ ინტერესებს. ამის შედეგია ის, რაც დღეს უკრაინას სჭირს — სრულიად დემორალიზებულია შეიარაღებული ძალები, არის დეზერტირობა და ომში წასვლა არავის არ უნდა. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ჯარი 215 ათასიდან აიყვანეს 250 ათასამდე და სამყოფი საკვებიც კი არა აქვთ... **ნატომ და, უწინარესად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ფაქტობრივად, ხელი დაიბანეს ჩვენზე; ხელი დაიბანეს უკრაინაზე, მოლდოვაზე და გვითხრეს, ჩვენ ახლა არ გვცალია რუსეთისთვის, ამიტომ, რამე რომ იყოს, ჩვენგან ეს მემორანდუმი იკმარეთ და თქვენ თვითონ უნდა იყოთ მზად მასთან პირისპირ დასადგომადო...**

**— რით უნდა უპასუხოს საქართველომ ამ ყველაფერს, დიდ სახელმწიფოებს შორის ინტერესთა კონფლიქტის ეპიცენტრში რომ არ აღმოვჩნდეთ?**

— ამაზე ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია და ჩემი პოზიცია უცვლელია. **საქართველომ პრინციპულად, დეკლარირებული პოლიტიკის დონეზე უარი უნდა თქვას ყოველგვარ ალიანსებზე, ვგულისხმობ სამხედრო მიუმხრობლობას.** ახლა აქ შეიძლება ზუსტად ისეთი ნეიტრალიტეტი ვერ გამოვიდეს, როგორიც, ვთქვათ, შვეიცარიას აქვს; გასაგებია, რომ ის სხვა გეოპოლიტიკურ მოცემულობაშია, მაგრამ პრინციპი უნდა იყოს მიუმხრობლობა. სხვა შემთხვევაში, ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: **დიდი სახელმწიფოები ერთმანეთს თავიანთ ტერიტორიებზე არ დაეჯახებიან, ისინი დაეჯახებიან ჩვენს ტერიტორიაზე, ისევე, როგორც ეს მოხდა უკრაინაში, სირიაში და ა.შ. ვინ დამარცხდება საბოლოოდ, მგონი, ადვილი გამოსაცნობია... აი, ეს არ ესმის იმ ხალხს, რომელიც ქმნის ილუზიას, რომ ნატო მიგვიღებს; აგერ კარი ღიაა და ხვალ თუ არა, ზეგ შევალთ...** კიდევ ათეულობით სამიტი ჩატარდება, მოვისმენთ იმავე ზღაპრებს და არ იქნება არც ერთი რეალური ნაბიჯი. რეალობაში ამ ყველაფრის განხორციელების საკითხი არასოდეს არ დადგება...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**მიმდინარე წლის ხუთი თვის განმავლობაში ექსპორტზე ღვინო 55 ქვეყანაში გავიტანეთ, სულ — 36.4 მილიონი ბოთლი, ამ ოდენობიდან 22.4 მილიონი — რუსეთის ფედერაციაში, დანარჩენი 14 მილიონი კი 54-მა ქვეყანამ გადაინაწილა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ ის კი არ თქვა, რუსეთში 22.4 მილიონი ბოთლი გავიდაო, არამედ ის, რომ თურმე ჩეხეთში ექსპორტის მხრივ 900%-იანი (ჰო, ცხრაასიანი!) ზრდა გვაქვს. რეალურად კი, ეს 900%-იანი ზრდა მთლიანობაში 53 ათასი ბოთლია.**

ორიენტირები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მილიონამდე ქართველი რუსეთში და «სტრატეგიული პარტნიორები»

## შველა სჭირდება ქვეყანას, შველა!

**ბუდაპეშტში დასრულებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე 60 კგ წონით კატეგორიაში პლანეტის უძლიერესი ძიუდოისტის ტიტული იაგო აბულაძემ მოიპოვა. იაგო რუსეთის სახელით ჭიდაობს და, შესაბამისად, მისი ოქროც რუსულ ყულაბაში წავიდა. ნიკოლოზ შერაზადიშვილმა ოქროს მედალი ესპანეთის სახელით მოიპოვა, სერბეთის სახელით იჭიდავა ზებედა რეხვიაშვილმა, მესამე ადგილი აიღო პორტუგალიის სახელით მოასპარეზე ანრი ეგუტიძემ... მაგრამ ქართველ გულშემატკივართა ნაწილის გულისწყრომა მაინცდამაინც იაგო აბულაძის ოქროს მედალს მოჰყვა. უფრო მეტიც, სოციალურ ქსელში ის სურათიც გავრცელდა, აბულაძე რუსეთის პრეზიდენტის გვერდით რომ დგას. მერე რა, რომ ვლადიმერ პუტინი ძიუდოს დიდი მოყვარულია და სპორტის ამ სახეობაში დღემდე ვარჯიშობს...**



ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატზე რუსეთის ეროვნული ნაკრების პირველი ვიცე კაპიტანი **გიორგი ჯიქიაა**. გიორგი რუსების სახალხო გუნდის, „სპარტაკის“, კაპიტანი გახლავთ და თავის პოზიციაზე რუსულ პრემიერლიგაში საუკეთესოა. ისიც ვთქვათ, რომ ჯიქიას ნებისმიერი წარმატება ქართველ გულშემატკივართა აგრესიას იწვევს და ეს მაშინ, როცა რუსები აბულაძის ოქროთიც ძალიან ხარობენ და ჯიქიას საიმედო თამაშითაც. ამ ბიჭებს საქართველოში ჰყავთ ნათესავები, მეგობრები, აქვთ სახლ-კარი, ჩამოდიან, ცხოვრობენ...

მოკლედ, გულშემატკივართა ნაწილის მიდგომა ასეთია: არ უნდა წახვიდე რუსეთში, რადგან რუსი მტერი და ოკუპანტია. არადა, რუსეთი მის ტერიტორიაზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს არ ზღუდავს. თავად განსაჯეთ, **რომელიმე რუსი რომ თამაშობდეს საქართველოს ნაკრებში, პირველ ვიცე-კაპიტნობას კი არა, მოედანზე შესვლას სანატრელს გავუხდიდით ან ზუსტად ისე გავაგდებდით, როგორც თავის დროზე ომარ თეთრაძე.** ვისაც არ ახსოვს, შევახსენებ: საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი **კახა ცხადაძე** ჯერ მოსკოვის „სპარტაკის“, შემდეგ კი იმავე მოსკოვის „დინამოში“ თამაშის გამო ჯვარზე გააკრეს და ერის მოღალატედ გამოაცხადეს. საქმემ კი აჩვენა, რომ ცხადაძე დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მცველი იყო და დღეს თბილისის „დინამოს“ თავკაცია. **ქართველები არ აპროტესტებენ იმას, რომ რუსეთში მილიონამდე ქართველი ცხოვრობს და მუშაობს. ეს მილიონამდე ქართველი, სულ ცოტა, ერთ ამდენს საქართველოში არჩენს და, ვინც არ იცის, იმასაც ვეტყვით, რომ საქართველოს ეკონომიკა თავიდან ბოლომდე სწორედ რუსულ ბაზარზეა დამოკიდებული.** ბოლო მონაცემებით, მიმდინარე წლის ხუთი თვის განმავლობაში ექსპორტზე ღვინო 55 ქვეყანაში გავიტანეთ, სულ — 36.4 მილიონი ბოთლი; ამ ოდენობიდან 22.4 მილიონი — რუსეთის ფედერაციაში, დანარჩენი 14 მილიონი კი 54-მა ქვეყანამ გადაინაწილა, მაგრამ **საქართველოს ხელისუფლებამ ის კი არ თქვა, რუსეთში 22.4 მილიონი ბოთლი გავიდაო, არამედ ის, რომ თურმე ჩეხეთში ექსპორტის მხრივ 900%-იანი (ჰო, ცხრაასიანი!) ზრდა გვაქვს. რეალურად კი, ეს 900%-იანი ზრდა მთლიანობაში 53 ათასი ბოთლია.** ორი წლის წინათ ქართულ ბაზარზე ირანიდან ცემენტი შემოვიდა. ის იმდენად იაფი ღირდა, რომ ქართული სამშენებლო კომპანიები მიესივნენ და ცემენტის ადგილობრივი წარმოება, პრაქტიკულად, გაჩერდა. მერე იყო, ცემენტს ექსპერტიზა რომ ჩაუტარეს და ექსპერტებმა კატეგორიულად მოითხოვეს, **ამით არაფერი ააშენოთ, ერთ წელიწადში დაინგრევა და კატასტროფას ვერ ავცდებითო.** არადა, საუბარი მაღალსართულიანი კორპუსების მშენებლობაზე იყო. საბოლოოდ, აღნიშნული ცემენტი აიკრძალა, რადგან ნათლად გამოჩნდა, არაფრად ვარგოდა. სამაგიეროდ, შარშან ქართულ ბაზარზე უკვე **ირანში ნაწარმოები რძის ფხვნილი შემოვიდა. მას პირობითად თუ ვუწოდებთ რძის ფხვნილს, რადგან რძის ნაწარმთან საერთო არაფერი აქვს, მაგრამ ისე იაფი ღირს, რომ ქართულმა კომპანიებმა აიტაცეს და მისგან როგორც მაწვნისა და იოგურტის, ისე ყველის წარმოება დაიწყეს. ამან კი, პირველ რიგში, ქართველი ფერმერები დააზარალა და მაშინ, როცა ერთი ლიტრი ნატურალური რძე ბაზარში, სულ ცოტა, 1,50 ლარი ღირს, ფერმებიდან დიდი ქარხნები 90 თეთრზე ძვირად არ იღებენ. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ კომპანია „შირაქის ველის“ მფლობელი ნიკოლოზ ბენიაიძე თავის ფერმას ხურავს და 400-ზე მეტ შვეიცარიულ საქონელს ყიდის. ეს დიდი ტრაგედიაა, რადგან კაცმა ამ ფერმაში 8 მილიონი ლარის ინვესტიცია ჩადო, ნულიდან დაიწყო და დიდ წარმოებად აქცია, ახლა კი იმ შხამის გამო, რომელიც ირანიდან შემოდის, ყველაფერზე უარს ამბობს.** ირანულ რძის ფხვნილს შხამს რომ ვუწოდებთ, ოდნავაც არ ვცოდავთ, რადგან სწორედ ქართველმა ფერმერებმა ჩაუტარეს ექსპერტიზა ამ ფხვნილით მიღებულ ყველს და დაადგინეს, რომ ყველის შემცველობა იქ მხოლოდ 7%-ია, ანუ დანარჩენი 93% გაურკვეველი მასაა და გამოდის, რომ ერთი კილოდან 70 გრამ ყველს ვიღებთ, დანარჩენი კი... უბრალოდ, ნაგავია.

საინტერესო კიდევ ის არის, **როცა ბენიაიძემ წარმოების აწყობა დაიწყო, გამოვიდა შალვა ნათელაშვილი და მაგიდაზე მუშტები აბრახუნა: ეგ კაცი „კაგე-ბეშნიკია“, ფული რუსეთში იშოვა და ახლა აქ ჩამოვიდაო. ნამდვილად ვერ გეტყვით, სად და როგორ იშოვა ფული ამ ადამიანმა, მაგრამ, ცოტა არ იყოს, სასაცილოა ნათელაშვილის განცხადება. რას ჰქვია „კა-გე-ბე-შნიკი“?! ლამის ნახევარი საქართველო რუსეთში შოულობს ფულს და ყველანი უშიშროების თანამშრომლები ყოფილან?!** თავის დროზე ბატონი შალვაც რუსეთში ცხოვრობდა და მასზეც მივიტანოთ ეჭვი? **ბოლო ხანს ქართულ პოლიტიკასა თუ საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ერთგვარი ტრადიცია დამკვიდრდა — არაფერს რომ არ წარმოადგენდე, რუსეთს თუ აგინებ და აკრიტიკებ, უკვე „კაი ტიპი“ ხარ. ყველა კარგად ხვდება, რომ ამით ცეცხლს ეთამაშება, მაგრამ პოლიტიკოსებისთვის სულერთია, რა მოხდება, ოღონდ ძალაუფლება შეინარჩუნონ ან მოიპოვონ.** რიგითი ადამინები კი... ასე ცდილობენ საზოგადოებაში დამკვიდრებას, — აქაოდა, ხომ ხედავთ, რა მაგრები ვართ, რუსეთს რამდენს ვუბედავთო. არადა, **რუსულმა მხარემ არაერთხელ დაამტკიცა, რომ მათთვის სახელსა და გვარს მნიშვნელობა არ აქვს, შანსს აძლევენ ნებისმიერს, ვისაც კი ნიჭი და შესაძლებლობა აქვს. თუნდაც გიორგი ჯიქიასი ძალიან კარგად გვესმის, რადგან მას მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე სურს თამაში, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, ქართულ კლუბსა და ნაკრებში კი ამის გაკეთება ჯერჯერობით წარმოუდგენელია.** ადამიანის უფლებების დაცვაზე როცა ვსაუბრობთ, არ ვაქცევთ ყურადღებას იმას, რომ ქართველების უფლებებს ფეხქვეშ ვთელავთ. ეს ხომ მათი არჩევანია, ისინი ხომ ზრდასრული ადამიანები არიან და თვითონ წყვეტენ, სად და როგორ იასპარეზონ. არ ჰყოლიათ არასდროს ესპანელებს ძიუდოში მსოფლიოს ჩემპიონი და ახლა **ნიკო შერაზადიშვილი** ორგზის ჩემპიონია, არ ჰყოლიათ ბერძნებს **ჯარჯი ზვიადაურამდე** ოლიმპიური ჩემპიონი და ჩვენებური პირველია, რომელმაც ძიუდოში ელადელებს ოლიმპიური ოქრო მოუტანა, თუმცა **ილიას ილიადისის** სახელით. რუსები კი არც სახელს უცვლიან, არც გვარს და ამას შემთხვევით არ ვამბობთ. მაგალითისთვის **ბეთქილ შუკვანი** ავიღოთ, რომელიც თურქეთის სახელით ჭიდაობს და, ამის უფლება რომ მიეცათ, **ბეკირ ოზლუ** გახდა. ისევ პოლიტიკასა და ქართულ ფერმას დავუბრუნდეთ. მანახეთ ოპოზიციურ სპექტრში ადამიანი, რომელმაც ფული ევროპა-ამერიკაში იშოვა და ქართულ საქმეში ჩადო. ვერ მანახებთ, იმიტომ, რომ არ არსებობს. კეთილი, **ისეთი აპოლიტიკური ადამიანი მანახეთ, რომელმაც დასავლეთში იშოვა დიდი ფული და ქართულ საქმეში ჩადო.** ისევ ვერ მანახებთ. სამაგიეროდ, ძალიან ბევრია ისეთი პოლიტიკაშიც და მის გარეთაც, ვინც ფინანსურად სწორედ რუსეთში იხეირა და იქ ნაშოვნი კაპიტალით საქართველოში არაერთი ბიზნესი წამოიწყო, ათასობით ადამიანი დაასაქმა და ნაწარმოები პროდუქციის უდიდესი ნაწილი ისევ რუსეთში გააქვს.

ამიტომ ვამბობთ, რომ, **სანამ სიტყვა გაგვისწრებს, სანამ ვინმეს „კა-გე-ბეშნიკის“ იარლიყს მივაწებებთ, ეგებ, თავს ვკითხოთ: სწორად ვიქცევით თუ არა?** „შირაქის ველის“ გარდა, ირანიდან შემოტანილი რძის ფხვნილის გამო კიდევ ორი ფერმა დაიხურა და ეს ტენდენცია აუცილებლად გაგრძელდება. გარდა იმისა, რომ არაერთი ადამიანი უმუშევარი დარჩება, მეორე უბედურება ის არის, რომ ალტერნატივა აღარ გვექნება ბაზარზე და იძულებული ვიქნებით, ვჭამოთ ის, რასაც გაყიდიან, ანუ 93%-იანი გაურკვეველი შემცველობის თეთრი მასა, რომელიც ჯანმრთელობას აუცილებლად დაარტყამს. ჰო, ირანი ამ შემთხვევაში ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია (ირანი!), რუსეთი კი — მტერი. თურქეთიც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია (თურქეთი!), რუსეთი კი — მტერი. ეს აღარც სასაცილოა და აღარც სატირალი, **შველა სჭირდება ქვეყანას, შველა!**

**ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატზე რუსეთის ეროვნული ნაკრების პირველი ვიცე კაპიტანი გიორგი ჯიქიაა. გიორგი რუსების სახალხო გუნდის, «სპარტაკის», კაპიტანი გახლავთ და თავის პოზიციაზე რუსულ პრემიერლიგაში საუკეთესოა. ისიც ვთქვათ, რომ ჯიქიას ნებისმიერი წარმატება ქართველ გულშემატკივართა აგრესიას იწვევს და ეს მაშინ, როცა რუსები აბულაძის ოქროთიც ძალიან ხარობენ და ჯიქიას საიმედო თამაშითაც. ამ ბიჭებს საქართველოში ჰყავთ ნათესავები, მეგობრები, აქვთ სახლ-კარი, ჩამოდიან, ცხოვრობენ**

**ძალიან ბევრია ისეთი პოლიტიკაშიც და მის გარეთაც, ვინც ფინანსურად სწორედ რუსეთში იხეირა და იქ ნაშოვნი კაპიტალით საქართველოში არაერთი ბიზნესი წამოიწყო, ათასობით ადამიანი დაასაქმა და ნაწარმოები პროდუქციის უდიდესი ნაწილი ისევ რუსეთში გააქვს. ამიტომ ვამბობთ, რომ, სანამ სიტყვა გაგვისწრებს, სანამ ვინმეს «კა-გე-ბეშნიკის» იარლიყს მივაწებებთ, ეგებ, თავს ვკითხოთ: სწორად ვიქცევით თუ არა?**

**ბესო ბარბაქაძე**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლეთის პროპაგანდისტებო, ალტერნატიული აზრისთვის თქვენი საინფორმაციო საშუალებების ყველა კარი თუ დახურულია, ბატონ ჭაჭიას რატომ არ აქვს უფლება, დააფინანსოს ისეთი მედია, რომელშიც თქვენი აზრისგან განსხვავებულ აზრს გასაქანი მიეცემა? მე არ ვიცი, მართლა აფინანსებს თუ არა იგი თქვენ მიერ ჩამოთვლილ გამოცემებს, მაგრამ, თუ აფინანსებს და თქვენ მიერ დიდი ხნის წინათ მომხრჩვალ-მოგუდულ დემოკრატიას სუნთქვის საშუალებას აძლევს, ამაში მიუღებელს რას ხედავთ?!**



# დასრულდება ჟამი ომისა და სიძულვილისა და დადგება ჟამი მშვიდობისა და სიყვარულისა!

## გადაივლის დასავლური სიძულვილით გაჟღენთილი ჟამი, ბურანიდან გამოვა დასავლური პროპაგანდით გაბრუებული ცნობიერება და ორ მართლმადიდებელ ხალხს შორის კვლავ სიყვარული გაღვივდება, რამეთუ ღმერთია თვითონ სიყვარული

**ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი**

### მეოცე გამოშვება

**ყოველ ახალ სტატიაზე მუშაობის დაწყებისას მიწევს ფიქრი, რა თემა წამოვწიო — ტერიტორიული მთლიანობა, ქართველი ხალხის გაუსაძლისი ყოფა, სოციალური უსამართლობა და ემიგრაცია, საგარეო ორიენტაცია, დემოგრაფია... პრობლემები მშიერი აფთრებივით შემოგვჯარვია და მოსვენებას არ გვაძლევენ. ამჯერად სტატიის თემას ტელეარხ „მთავარის“ ერთ-ერთი წამყვანის, გიორგი გაბუნიას, ცილისმწამებლური სიუჟეტი მკარნახობს. „ალექსანდრე ჭაჭია სამშობლოს მოღალატეა, — აცხადებს ალექსანდრე ჭაჭიას შვილი, უმცროსი ალექსანდრე ჭაჭია, სხვათა შორის, ბაბუაც ალექსანდრე ჭაჭია იყო“, — ამ სიტყვებით იწყებს გადაცემას ჟურნალისტი...**

შვილი მამის წინააღმდეგ ახალი თემა არ არის არც ლიტერატურაში და არც ცხოვრებაში. ქართული ლიტერატურიდან, უწინარესად, **ალექსანდრე ყაზბეგის** „ხევისბერი გოჩა“ გვახსენდება; უცხოური ლიტერატურიდან — **პროსპერ მერიმეს** „მატეო ფალკონე“, **ნიკოლოზ გოგოლის** „ტარას ბულბა“, **ალექსეი ტოლსტოის** ისტორიული რომანი „პეტრე პირველი“, ბოლოს და ბოლოს, ბიბლიური აბრაამისა და მისი შვილის, ისააკის, ისტორია. უამრავი მაგალითია მამა-შვილს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებისა ლიტერატურაშიც, ისტორიაშიც, ცხოვრებაშიც...

შვილი ალექსანდრე ჭაჭია მამა ალექსანდრე ჭაჭიას უპირისპირდებაო, — ადრეც გვამცნეს გაბუნიას კოლეგებმა, გვამცნეს დაუფარავი სიხარულითა და მათთვის ჩვეული საეთერო აჟიოტაჟით. **მატეო ფალკონეს ათი წლის შვილის (ფორტუნატოს) მსგავსად, ფულს დახარბებული ჭაჭია-უმცროსი საკუთარი მამის წინააღმდეგ აუმხედრებია ვიღაცას და ისიც საკუთარ სამარცხვინო საქციელს (მამის წინააღმდეგ ლაშქრობას) სამშობლოს სიყვარულით ფუთავს: „სამშობლოს ღალატს თუკი ხედავს, პირველ რიგში, ხმა შვილმა უნდა ამოიღოს. საკუთარი მშობლები და საკუთარი და-ძმა უნდა ამხილო, როდესაც საქმე სამშობლოს ღალატს ეხება“,** — დიდაქტიკური ინტონაციით გვიმოძღვრავს იგი გაბუნიას სიუჟეტში.

ასეთი საშინელი ვერდიქტი გამოაქვს შვილ ალექსანდრე ჭაჭიას მამა ალექსანდრე ჭაჭიასთვის.

აქ ჟურნალისტის ხმა შემოდის: „ვინ არის ალექსანდრე ჭაჭია? მას სამეგრელოში დაარსებული აქვს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „სამეგრელო“ და გაზეთი „ილორი“. საქართველოს მასშტაბით კი გამოსცემს გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“, აგრეთვე, მას ეკუთვნის გამოცემა „Geworld.Ge“. ეს გამოცემები აქტიური პრორუსული და ანტიდასავლური განწყობებით ხასიათდებიან“.

ამ ტექსტში შინაარსის თვალსაზრისით არაფერი ისეთი არ არის ნათქვამი, რის გამოც ალექსანდრე ჭაჭიას (უფროსი) გაკიცხვა იქნებოდა შესაძლებელი, მაგრამ ჟურნალისტი ამ სიტყვებს ბრალმდებლის ინტონაციით წარმოთქვამს და მსმენელს იმის ილუზიას უქმნის, რომ ამ კაცს თითქოს რაღაც არასწორი და სათაკილო საქმე ჰქონდეს ჩადენილი. სიტყვა „სამეგრელო“ ამ კონტექსტში დანაშაულის ელფერს იძენს. **როგორ შეიძლება კაცს მისი კუთხე (სამეგრელო) უყვარდეს, თუკი იგი საქართველოს მტერი არ არის? — იკითხება ჟურნალისტის ინტონაციაში. კაცს თუ საკუთარი კუთხე (ამ შემთხვევაში, სამეგრელო) უყვარს და თანაც ორგანიზაცია „სამეგრელო“ დააფუძნა, სხვა რა მამხილებელი მასალაა საჭირო იმისთვის, რომ ეს კაცი დაიხვრიტოს?!** ასეთია პათოსი, რომლითაც იყო გაჟღენთილი უდიდესი წვალებით შეკოწიწებული ეს პროვოკაციული სიუჟეტი. გაბუნია და მისი მსგავსი არამზადები, რომ შეეძლოთ, ალექსანდრე ჭაჭიას კი არა, **აკაკი წერეთელსა** და **ვაჟა-ფშაველასაც** დახვრეტდნენ. პირველს იმის გამო, რომ ნათქვამი აქვს:

**„ჩონგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო.
სხვა და სხვა კუთხის
მცხოვრებნი,
ო, დელა დელა დელაო...“**

მეორეს კი ამ სიტყვების გამო:

**„ნუ გეშინიათ, არ გავნებთ,
მთიდან ყვირილი ხარისა!“**

კუთხეების სიყვარული დანარჩენ საქართველოს სიძულვილს რომ არ ნიშნავს, ამის მტკიცება, იმედია, არც მე მჭირდება და არც ბატონ **ალექსანდრე ჭაჭიას.** არ დაეცემა საქართველო ისე, რომ ამა თუ იმ კუთხის მიმართ გამჟღავნებული სიყვარული საქართველოს მტრობად აღიქმებოდეს, თორემ ამ ლოგიკით მწერალს ვერ ვიპოვით, ისტორიულ კუთხეთა მიმართ სიყვარული არ გამოეხატოს, ტკივილი და მონატრება არ ეგრძნოს, მოფერების სურვილი არ გასჩენოდეს და ლოცვა არ აღევლინოს, ანუ, გვარამია-გაბუნიას და მათ მსგავსთა საზომებით, დამნაშავედ არ გამოიყურებოდეს:

**„სამშობლოს მთებო, თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენს ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა“.**

**ილია ჭავჭავაძემ** ეს სიტყვები საქართველოს მთებს კი არა, ყვარლის მთებს უძღვნა. იცოდა, როგორმე, სად იწყებოდა და სად მთავრდებოდა მისი სამშობლო, მაგრამ იმ სამშობლოში ყველაზე ახლობელი მისთვის მისი კუთხე იყო, იმ კუთხეში კი — მისი აკვანი და საბუდარი, მისი ყვარელი. ესეც იცოდა.

**ლადო ასათიანს** ეს სიტყვები ხომ აქვს ნათქვამი:

**„ცხრა ლახვარი რომ დამარტყან ცხრაჯერ გულში,
მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ გავიცინებ,
დავიღლები საქართველოს სიყვარულში,
სასთუმალზე ერთხელაც არ დავიძინებ!“**

ამ სიტყვების ავტორს საქართველოს სიყვარულის ნაკლებობას ვერ დასწამებ, მაგრამ ამას არ შეუშლია მისთვის ხელი, რომ ესეც ეთქვა:

**„რა კარგი იყო ბარდნალა,
ბარდნალელების ბორანი,
ვარდებიანი ბარდნარი,
ბულბულთა ნაამბორალი“.**

ააა3, რა ლირიკაა, როგორი მონატრება და სათუთი სიყვარულია საკუთარი სოფლის მიმართ გამჟღავნებული. რა ვქნათ, ლადოც დამნაშავედ გამოვაცხადოთ? ისტორიული კუთხეები და საქართველო ისეთი გასაოცარი მიმართებაა, თუ გნებავთ, ისეთი დიალექტიკაა, რომ ვერსად წაუხვალ, ვერსად დაემალები ან რატომ უნდა გაექცე?! რას ერჩი?!

ამ ბუმბერაზ ადამიანებს ასე თუ უხდება და ამშვენებს ერთიანი საქართველოს სიყვარულის პარალელურად საკუთარ კუთხეთა მოფერება, ალექსანდრე ჭაჭიას მისი არცთუ დალხენილი სამეგრელო რომ ესურვილებოდეს და, როგორც ახერხებს, ისე ედგეს მხარში, ამაში რა ისეთ საშინელებას მიაკვლიეს, რომ თავიანთ ეშმაკისკენ ნაქნარ პირში ასე გამოივლეს?! რაკი ერთხელ აიქოთეს პირი, აღარ გაჩერდნენ. გაბუნიამ და მისმა კორესპონდენტმა, როდესაც მიხვდნენ, რომ ჭაჭიასთან ჭიდილში გამარჯვება გაუჭირდებოდათ, მაშველ ძალას უხმეს. ისიც გამოჩნდა. არის ერთი გარდაბნქეშანი ქალი, ვინმე **თამარ კინწურაშვილი,** დასავლეთის „მეხუთე კოლონის“ ყველაზე ოდიოზური ფიგურა, რომელიც დასავლურ გრანტებზე ისეა დაგეშილი, რომ მისი ხათრით ყოველგვარ უზნეობასა და თახსირობაზეა წამსვლელი. **„ჩვენ, წლებია, ვაკვირდებით ამ გამოცემებს და აქ ვხვდებით, როგორც ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციის წინააღმდეგ მიმართულ გზავნილებს, ასევე რუსეთთან დამოკიდებულების გადახედვის მოთხოვნას. ალექსანდრე ჭაჭია ვლადიმერ პუტინმა სპეციალური ორდენით დააჯილდოვა რუს და ქართველ ხალხებს შორის მეგობრობაში შეტანილი წვლილისთვის. იგი არის რუსული დეზინფორმაციის იდეოლოგი, რაც საქართველოში რელიგიური საკითხებისადმი მგრძნობელობის გაზრდას ისახავს მიზნად“,** — პროკურორის სახით, ჟესტიკულაციითა და ინტონაციით მოგვახალა ქალბატონმა კინწურაშვილმა. ამ პროვოკატორების პროკურორულ-მენტორული მეტყველების გავლენის ქვეშ მოქცეული და მათ ანკესზე წამოგებული ნაწილი ტელემაყურებლებისა უთუოდ იფიქრებდა, ცუდი კაცი ყოფილა ეს ჭაჭიაო, მაგრამ, კარგად თუ დავაკვირდებით ამ პროვოკატორის მონაჩმახს, აღმოვაჩენთ, რომ ბატონ ჭა- ▶



**თუ ალექსანდრე ჭაჭია ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს ინტეგრაციის წინააღმდეგ გამოდის, სწორსაც აკეთებს: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს ალიანსი არის ბანდიტური სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოზე ამერიკელთა ბატონობის ინსტრუმენტს წარმოადგენს; მეორე და მთავარი — რის საფუძველზე ართმევენ ადამიანებს თავიანთი აზრის გამოთქმის უფლებას? ამ პროვოკატორებს პირზე მუდამ დემოკრატია აკერიათ, მაგრამ, განსხვავებულ აზრს სადმე ყური თუ მოჰკრეს, მაშინვე ყვირილს იწყებენ, — მთელი საქართველო რუსულმა პროპაგანდამ წალეკაო**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორ შეიძლება კაცს მისი კუთხე (სამეგრელო) უყვარდეს, თუკი იგი საქართველოს მტერი არ არის? — იკითხება ჟურნალისტის ინტონაციაში. კაცს თუ საკუთარი კუთხე (ამ შემთხვევაში, სამეგრელო) უყვარს და თანაც ორგანიზაცია „სამეგრელო“ დააფუძნა, სხვა რა მამხილებელი მასალაა საჭირო იმისთვის, რომ ეს კაცი დაიხვრიტოს?! ასეთია პათოსი, რომლითაც იყო გაჟღენთილი უდიდესი წვალებით შეკოწიწებული ეს პროვოკაციული სიუჟეტი. გაბუნია და მისი მსგავსი არამზადები, რომ შეეძლოთ, ალექსანდრე ჭაჭიას კი არა, აკაკი წერეთელსა და ვაჟა-ფშაველასაც დახვრეტდნენ.**

◀ჭიას არათუ გასაკიცხი ჩაუდენია რამე, პირიქით, მხარდაჭერასა და თანადგომას იმსახურებს. **თუ ალექსანდრე ჭაჭია ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს ინტეგრაციის წინააღმდეგ გამოდის, სწორსაც აკეთებს: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს ალიანსი არის ბანდიტური სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოზე ამერიკელთა გაბატონების ინსტრუმენტს წარმოადგენს; მეორე და მთავარი — რის საფუძველზეართმევენ ადამიანებს თავიანთი აზრის გამოთქმის უფლებას? ამ პროვოკატორებს პირზე მუდამ დემოკრატია აკერიათ, მაგრამ, განსხვავებულ აზრს სადმე ყური თუ მოჰკრეს, მაშინვე ყვირილს იწყებენ, — მთელი საქართველო რუსულმა პროპაგანდამ წალეკაო.** ოცდაათი წელიწადია, დასავლეთის, ნატოს, აშშ-ისა და ევროპის პროპაგანდამ მართლა წალეკა ყველაფერი, მაგრამ, მათი აზრით, ეს დასაშვებია, ხოლო ამ პროპაგანდისტული „ნააზრევის“ ეჭვქვეშ დაყენება დანაშაული ყოფილა.

ბატონი ალექსანდრე ჭაჭია იმ ქართულ გამოცემებს აფინანსებს, რომლებიც ანტიდასავლური მიმართულებით გამოირჩევიანო. ჰეი, თქვენ, **დასავლეთის პროპაგანდისტებო, ალტერნატიული აზრისთვის თქვენი საინფორმაციო საშუალებების ყველა კარი თუ დახურულია, ბატონ ჭაჭიას რატომ არ აქვს უფლება, დააფინანსოს ისეთი მედია, რომელშიც თქვენი აზრისგან განსხვავებულ აზრს გასაქანი მიეცემა? მე არ ვიცი, მართლა აფინანსებს თუ არა იგი თქვენ მიერ ჩამოთვლილ გამოცემებს, მაგრამ, თუ აფინანსებს და თქვენს მიერ დიდი ხნის წინათ მომხრჩვალმოგუდულ დემოკრატიას სუნთქვის საშუალებას აძლევს, ამაში მიუღებელს რას ხედავთ?!**

ცრუდემოკრატებო, რატომ ძრწით განსხვავებული აზრის წინაშე, რატომ ვარდებით პანიკაში, რატომ ცახცახებთ და იგრიხებით სასიკვდილო აგონიაში ჩავარდნილი გველივით? იმიტომ ხომ არა, რომ სიცრუეზე დგახართ, იმიტომ ხომ არა, რომ ბოროტებას ემსახურებით, იმიტომ ხომ არა, რომ თქვენი გარდაუვალი მარცხი წინასწარ არის თქვენთვის ცნობილი და თქვენი პროდასავლური მანქვა-გრეხვა დაფინანსების კიდევ ცოტა ხნით გაგრძელების საშუალებად გესახებათ?! **„ჭაჭიას მიერ დაფინანსებული გამოცემები საქართველოში რელიგიური საკითხებისადმი მგრძნობელობის გაზრდას ისახავს მიზნად“,** — ბრძანა კინწურაშვილმა.

**რას ნიშნავს „რელიგიური საკითხებისადმი მგრძნობელობის გაზრდა“? ეს გამოცემები მართლმადიდებლობის მიერ ნაკარნახევი კაცთმოყვარეობის, ჰუმანიზმის, ზნეობისა და სულიერების აღზევებას თუ უწყობს ხელს, რა არის ამაში ცუდი? რატომ წარმოაჩენთ ამას დანაშაულად? რატომ ხატავთ ამას ალექსანდრე ჭაჭიას მიერ საქართველოში შემოტანილ აპოკალიფსად? აქ გასარკვევი გაბუნიას, კინწურაშვილისა და დასავლეთის „მეხუთე კოლონის“ სხვა მესვეურების გახრწნა-გადაგვარების ფსიქოლოგიური საფუძვლების დადგენა კი არა, იმის დადგენაა საშური, თუ სად იღებს ეს ყველაფერი სათავეს, ვინ დგას ამ სიბინძურის უკან და რა მიზანს ისახავენ ისინი?**

ასე რომ, ეს წერილი ჭაჭიების ოჯახურ დრამაზე კი არა, საქართველოს ეროვნული ტრაგედიის საფუძვლებზე იწერება.

თანამედროვე ამერიკული იდეოლოგიის ერთ-ერთი მამამთავარი **ზბიგნევ ბჟეზინსკი** საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აცხადებდა: **„კომუნიზმის დამარცხების შემდეგ ჩვენი პირველი სამიზნე რუსული მართლმადიდებლობაა“.** რატომ მართლმადიდებლობა? რას ერჩიან ამერიკელები თავიდან ბოლომდე ჰუმანიზმით გაჟღენთილ ამ მიმართულებას მსოფლიო რელიგიისა? რატომ ამოიღეს იგი მიზანში? **საქმე ის არის, რომ მართლმადიდებელი სამყაროს ფორპოსტად ქცევა რუსეთს ზესახელმწიფოებრივ მისიას სძენს.** ეს ახალი მოვლენა არ არის. შუა საუკუნეების რუსეთის ერთ-ერთი საეკლესიო მოღვაწის, **ფილოფეი ფსკოველის,** ცნობილი გამონათქვამი **„პირველი რომი იყო რომი, მეორე რომი იყო კონსტანტინოპოლი, მესამე რომი არის მოსკოვი და მეოთხე რომი აღარ იქნება“,** რუსეთის მესიანური როლის შესახებ წინასწარმეტყველება იყო, რაც ისტორიამ დაადასტურა. დღეს რუსეთი მართლმადიდებელი სამყაროს ცენტრი და ბურჯია. ამ როლს მას ვერავინ შეეცილება. სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მხოლოდ **ეს ფაქტიც საკმარისია იმისთვის, რომ რუსეთი ზესახელმწიფოებრივი მისიით აღიჭურვოს. ეს ისეთი საყრდენია რუსეთისთვის, რომ, სანამ მართლმადიდებლობის დისკრედიტაცია არ მოხერხდება, სანამ მას საფუძვლები არ შეერყევა და საბოლოოდ არ განადგურდება, რუსეთის მესიანური იდეაც იარსებებს, ანუ მისი ზესახელმწიფოებრივი სტატუსი, მხოლოდ მისი ფიზიკური ძლიერების გამოხატულება კი არა, მისი სულიერი ძლიერების, მისი საწყისობის, მისი სუბსტანციურობის გამოვლენა იქნება. აი, რატომ იქცა მართლმადიდებლობა ამერიკის მთვარ სამიზნედ მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და რუსეთის, როგორც სოციალური სამართლიანობის მსოფლიო ციტადელის, ზესახელმწიფოებრიობას ერთი მთავარი საყრდენი გამოეცალა.**

უდავოდ ჭკვიანი კაცი იყო ბჟეზინსკი. იგი მიხვდა, რომ სოციალისტური სისტემის ჩამოშლის შემდეგ მართლმადიდებლობის სახით არანაკლებ მტკიცე საყრდენი რჩება რუსეთს, რომელსაც, თუ არ გამოაცლიან, ვერ წააქცევენ, ამიტომაც მიაქვთ ასე გააფთრებული იერიში მართლმადიდებელ ეკლესიაზე. იდეასთან ბრძოლის საუკეთესო მეთოდი მისი დისკრედიტაციაა. საქართველოში სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის დისკრედიტაცია სწორედ მათი ხელით ხდება, ვინც ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას იმ გამოცემებისთვის ხელის შეწყობის

ცრუდემოკრატებო, რატომ ძრწით განსხვავებული აზრის წინაშე, რატომ ვარდებით პანიკაში, რატომ ცახცახებთ და იგრიხებით სასიკვდილო აგონიაში ჩავარდნილი გველივით? იმიტომ ხომ არა, რომ სიცრუეზე დგახართ, იმიტომ ხომ არა, რომ ბოროტებას ემსახურებით, იმიტომ ხომ არა, რომ თქვენი გარდაუვალი მარცხი წინასწარ არის თქვენთვის ცნობილი და თქვენი პროდასავლური მანქვა-გრეხვა დაფინანსების კიდევ ცოტა ხნით გაგრძელების საშუალებად გესახებათ?!





გამო ამუნათებს, რომლებიც, რუსეთთან მტრობის გაღვივების ნაცვლად, თურმე, რუსეთთან მეგობრობისა და პარტნიორობის იდეას აღვივებენ; რომელი გამოცემებიც, თურმე, ამერიკული სპეცსამსახურების მიერ მიზანში ამოღებული **მართლმადიდებლობის დისკრედიტაციას არ ანებებენ ამ გარეწრებს — „მთავარ არხს“, გვარამიას, გაბუნიას, კინწურაშვილს...** ცოტა ხნის წინათ გაბუნიამ მართლმადიდებლობის დისკრედიტაციის მიზნით ჩადენილი აღვირახსნილი ქცევის ყველა რეკორდი მოხსნა: „დიდი ხნის წინ, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა და პირტიტველი წმინდა გიორგის სახელობის ერთ-ერთ ეკლესიაში შევედი. მღვდელმა შემამჩნია, რომ ამ გარემოში უცხო ვიყავი და დაბნეულად გამოვიყურებოდი, — უყვება გაბუნია მაყურებლებს, — მოვიდა და მეუბნება: წამომყევი ეკლესიას დაგათვალიერებინებო. მეც გავყევი. გზაში ვიგრძენი, რომ ვილაც წინ შემეხო. ვიფიქრე, მღვდელს შემთხვევით მოუხვდა ხელი, მაგრამ ცოტა ხნის მერე ვიოლინოსავით ამისვ-ჩამომისვა ხელი უხერხულ ადგილზე... მერე საკურთხეველში შემიყვანა, წმინდანთა ხატებს ხელით შეეხეო, მითხრა. თვითონ კი, ჩემი ერთი ადგილი ჯოისტიკივით დაიჭირა ხელში“. **გაბუნიას ამ ამაზრზენ მონაჩმახს მხოლოდ იმ მიზნით ვყვები, რომ დაგანახოთ, რამდენად ყოვლისმკადრებელნი ხდებიან ისინი შემზარავი მიზნის მიღწევის პროცესში. რა მიზანი შეიძლება ამოძრავებდეს „ჟურნალისტს“, როდესაც იგი მაყურებელთა წინაშე ამ საშინელებას ჩმახავს?** რა თქმა უნდა, ეკლესიისა და სარწმუნოების დისკრედიტაცია. ერთი წუთით დავუშვათ და წარმოვიდგინოთ, რომ, რასაც ეს ცოდვილი სული ყვება, მართლა მოხდა. ასეთ შემთხვევაშიც რა მიზანს შეიძლება ისახავდეს მისი ეს გულისამრევი მონოლოგი, ეკლესიისა და სამღვდელოების დისკრედიტაციის გარდა?! სხვათა შორის, **ეს ის სატელევიზიო არხი და ის „ჟურნალისტია“, რომლებიც მამათმავლობისა და დედათმავლობის დაუოკებელი და აღვირახსნილი პროპაგანდისტები არიან. როდესაც მათ ე.წ. ლგბტ პროპაგანდაში უხდიან, ისინი ლგბტ პროპაგანდას ეწევიან; როდესაც მათ მართლმადიდებელი ეკლესიის დისკრედიტაციაში უხდიან, ისინი მამათმავლობას საშინელ მოვლენად სახავენ და ეკლესიასთან ამ მოვლენის კავშირის „დამადასტურებელ“ პირად თავგადასავლებს თხზავენ.**

ეს ერთი მთელია. მართლმადიდებლობასთან ბრძოლა რუსეთთან ბრძოლის შემადგენელი ნაწილია, ხოლო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა ფრაგმენტია რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან ბრძოლისა. ქართველებს გვიყვარს და გვჩვევია საკუთარი როლის გაზვიადებულად წარმოჩენა, საქართველო მსოფლიოს ცენტრად წარმოგვიდგენია, მაგრამ რეალურად ასე არ არის. კაცობრიობასაც ათასწლეულების განმავლობაში თავი სამყაროს ცენტრად (გეოცენტრული სისტემა) წარმოედგინა, მაგრამ შემდეგ მოუწია იმ აზრთან შეგუება, რომ სადღაც პერიფერიაში (ჰელიოცენტრული სისტემა) მდებარეობდა. **საქართველო პერიფერიაა იმისა, რასაც დღეს პლანეტარული დაპირისპირება და თუნდაც მართლმადიდებლობასთან ბრძოლა ჰქვია. ამ დაპირისპირების აქტორები სხვები არიან. ჩვენ, მართალია, ამ დაპირისპირების პერიფერიაში ვიმყოფებით, თუმცა გარკვეული ეპიზოდური როლი გვაკისრია, რომელიც სხვებისთვის, შესაძლებელია, მეორეხარისხოვანია, მაგრამ ჩვენთვის პირველხარისხოვანიცაა და სამკვდრო-სასიცოცხლოც.** ეს ისტორიული როლი მართლმადიდებელი ცივილიზაციისა და კულტურის, მართლმადიდებელი სულისა და ზნეობის სადარაჯოზე დგომაა, ვინაიდან, მიუხედავად სამიათასწლოვანი ისტორიისა, მაინც ამ ცივილიზაციასა და კულტურაში ვიწყებით და ვმთავრდებით. აქედან გამომდინარე, ჩვენ რუსეთის ბუნებრივი და ისტორიული მოკავშირე ვართ. იმ შემთხვევაში, როდესაც მართლმადიდებლობას ვიცავთ, რუსეთთან ამ ისტორიული და ბუნებრივი კავშირის ლოგიკაში ვრჩებით, მაგრამ მაშინ, **როდესაც რუსეთს ოკუპანტად, დამპყრობლად და ისტორიულ მტრად წარმოვაჩენთ, რეალობის ჩარჩოებიდანაც გავდივართ და ისტორიის ლოგიკიდანაც. ჩვენ თუ მართლმადიდებლობის დამცველები ვართ, რუსეთთან დაპირისპირებით საკუთარ არსსა და რაობას ვუპირისპირდებით, რადგან ამ ფაქტით მართლმადიდებლობის დაუძინებელ მტერთა რიგებს ვავსებთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი ხელით მართლმადიდებლობას ვიცავთ, მეორე ხელით კი მას ვებრძვით.**

იყვნენ ქართველები, რომლებმაც საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე დაიწყეს ბრძოლა მართლმადიდებლობის წინააღმდეგ. ცნობილი პიროვნება **აკაკი ბაქრაძე**, რომელიც მუდმივად დისიდენტის როლში გვევლინებოდა, წუწუნებდა, რომ მართლმადიდებლობამ რუსეთს მიგვაჯაჭვა, რის გამოც საქართველო ახალი ნათლობისთვის უნდა მომზადებულიყო და კათოლიკობის გზას შედგომოდა. **ამგვარ მკრეხელობამდე მიდიოდა და მიდის დასავლეთის „მეხუთე კოლონა“, რომლითაც გავსებულია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი კუთხე-კუნჭული. „გამოცხადებულია გამოუცხადებელი ომი რუსეთისა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ“, — ამბობს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილე. ამ სიტყვებში გაცხადებულია ის ჭეშმარიტება, რომ, ვინც რუსეთის მტერია, მართლმადიდებლობის მტერია; ხოლო, ვინც მართლმადიდებლობის მტერია, რუსეთის მტერია! აქედან არც იმ დასკვნის გაკეთებაა ძნელი, რომ, ვინც რუსეთის მტერია, საქართველოს მტერია და, ვინც საქართველოს მტერია, რუსეთის მტერია!** ასე ერთ მწყობრ ლოგიკურ სისტემად ყალიბდება საქართველოსა და რუსეთის, ვისთვის მტრობისა და ვისთვის მოყვრობის ერთიანი, უზარმაზარი ისტორია, რომელსაც ქართველი და რუსი ხალხები ერთ ავგაროზად კრავენ და თვალისჩინივით უფრთხილდებიან, ჩვენი საერთო მტრები კი ამ ისტორიის გაყალბებისა და მისი უარყოფითი კონტექსტით დატვირთვის მცდელობაში ამაოდ დაშვრებიან, ვინაიდან ყველაფერს აეხდება ფარდა. ეკლესიასტე გვასწავლის: **„ყოველივეს თავისი დრო და ჟამი აქვს ამ ცისქვეშეთში: ჟამი სიძულვილისა და ჟამი სიყვარულისა; ჟამი ომისა და ჟამი მშვიდობისა!“** გადაივლის დასავლური სიძულვილით გაჟღენთილი ჟამი, ბურანიდან გამოვა დასავლური პროპაგანდით გაბრუებული ცნობიერება და ორ მართლმადიდებელ ხალხს შორის კვლავ სიყვარული გაღვივდება, რამეთუ ღმერთია თავად სიყვარული...

**P.S.** სამი რამ აშინებთ ამერიკელებს: რუსული სტრატეგიული შეიარაღება; ჩინური მაღალი ტექნოლოგიები; ამერიკული სისტემური კრიზისი. არც ერთი მათგანის დაძლევის რესურსი ამერიკელებს არ აქვთ. რუსულმა სტრატეგიულმა შეიარაღებამ ათწლეულებით მოიტოვა უკან ამერიკული შეიარაღება; ჩინურმა მაღალმა ტექნოლოგიებმა ისე გაასწრო ამერიკულს, რომ შეჯიბრებამ აზრი დაკარგა. რაც შეეხება სისტემურ კრიზისს, იგი უკვე ანეკდოტების თემად იქცა. ერთი ხუმრობა ასეთია: აშშ-მა რომ იცოდეს, რა მძიმე დღეში აგდებს აშშ აშშ-ს, აშშ აუცილებლად შეიჭრებოდა აშშ-ში და აშშ-ს იხსნიდა აშშ-ისგან.

ჩვენ, ყოფილ საბჭოთა მოქალაქეებს, სხვებისგან არ გვესწავლება, რა მასშტაბს აღწევს ანეკდოტების დამანგრეველი ძალა, როდესაც იგი სახელმწიფოებსა და სისტემებს ეხება.

**ვ.კ.**

ხმა ბერისა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ქართველი ყოველთვის თავისი მეობით გამოირჩეოდა ყველა ერისგან, თავი არავისთვის დაუხრია. დღეს კი, სამწუხაროდ, სხვის კოლონიად ვიქეცით. დასავლეთისა და ოკეანისგაღმელთა მითითებების გარეშე თითი ვერ გაგვინძრევია, რაც ძალიან აღიზიანებს ერს და ბუნებრივიცაა. ვთვლი, რომ ჩვენი მთავარი იდეოლოგიური ორიენტირი დღეს, ევროატლანტიკური კურსი კი არა, მართლმადიდებლურ ფასეულობებზე დაფუძნებული, სისხლხორცეული, ნამდვილი ქართული სახელმწიფოებრიობის ინტერესებს მორგებული ეროვნული პოლიტიკა უნდა იყოს“.**

მამა ბასილი (მკალავიშვილი):

# ეს ბოროტი ძალები ახლა იმიტომ აქტიურობენ, რომ ნიადაგს იმზადებენ 5 ივლისს დაგეგმილი გეიაღლუმისთვის

**საქართველოს სახალხო დამცველისა და ქვეყანაში მოქმედი სხვადასხვა „არასამთავრობო“ ორგანიზაციის მიერ ეკლესიის წინააღმდეგ ერთობლივად დაწყებული მადისკრედიტებელი კამპანია პიკს აღწევს. საინფორმაციო შტურმი როგორც საპატრიარქოს, ისე ცალკეული სასულიერო პირების წინააღმდეგ გრძელდება. დაძაბულობის ფონზე, რომლის ავანგარდშიც ლიბერალური მედიაა, ბრალდებები უშუალოდ კათოლიკოს-პატრიარქის მიმართაც ისმის... ზოგიერთი „უფლებადამცველი“ იმასაც „ამტკიცებს“, რომ ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონის საქმის მოწმეებზე ზეწოლა ხორციელდება, თუმცა ვისზე ან რომელ ინფორმაციაზე დაყრდნობით კეთდება ეს შეფასებები, არავინ აკონკრეტებს... რა მიზანს ემსახურება ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებული პროპაგანდისტული შტურმი და რა ძალები დგანან მის უკან, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ტაძრის წინამძღვარი მამა ბასილი (მკალავიშვილი).**

**— მამაო, ეკლესიის წინააღმდეგ მოქმედი ლიბერალური ძალები და მათი პროპაგანდისტული საშუალებები ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდნენ, გააქტიურდა სახალხო დამცველის აპარატიც. ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონის გარშემო განვითარებული მიოვლენები ამის ნათელი მაგალითია... რატომ გამძაფრდა დღეს ეს პროცესი?**

— მსოფლიოში მასონური ლიბერალური ძალები გააქტიურდნენ. მათ ყველაზე დიდ დაბრკოლებას შავ-ბნელი საქმეების განხორციელებაში მართლმადიდებლობა უქმნით, რწმენა და რჯული უზენაესისა, რომელიც ყოველივეს განაგებს. ფაქტია, ძირითადი დარტყმა ქრისტეს ეკლესიაზე და იმ ჭეშმარიტ იერარქებზეა, რომლებიც ებრძვიან უზნეობას. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ძირითადი აქცენტი იმ ორგანიზაციებზე აქვთ, რომლებშიც აღსაზრდელების ცნობიერებას ქრისტიანულად, ტრადიციული პრინციპებით კვებავენ. რაც შეეხება კონკრეტულად ნინოწმიდის პანსიონის გარშემო განვითარებულ მოვლენებს, მიზანმიმართული ვერაგობაა. **ესენი, ლომჯარიას ხელმძღვანელობით, საზღვარგარეთიდან შემოგზავნილი ჩვეულებრივი დივერსანტები არიან, რომლებიც ყველანაირ სიბინძურეზე, ყველანაირ თავხედობასა და უზნეობაზე მიდიან ტრადიციული ქართული ღირებულებების ამოსაძირკვად...** ამჟამად ნინოწმიდის პანისონში ის ბენეფიციარები არიან, რომლებიც მეუფე სპირიდონმა ქუჩიდან აიყვანა და შეიფარა. **ისინი — მიუსაფარნი, მშიერ-მწყურვალნი — ქუჩაში ატარებდნენ დღე და ღამეს. ჩნდება კითხვა — ლიბერალურმა არასამთავრობოებმა ახლა მოინდომეს მათზე ზრუნვა? აქამდე სად იყვნენ?** ეს ერთი და მეორე — **ლომჯარიას როდის აუჩუყდა გული ადამიანებზე, როდიდან დარდობს მათ ბედზე? ბიძინა ივანიშვილმა რა პრინციპით შეარჩია ქართველთმოძულე ლომჯარია სახალხო დამცველად?** ეს ბოროტი ძალები ახლა იმიტომ აქტიურობენ, რომ ნიადაგს იმზადებენ 5 ივლისს დაგეგმილი გეიაღლუმისთვის. ვაფრთხილებ როგორც ეკლესიას, ასევე მთავრობას: საქართველოს სოდომ-გომორას ნუ დაამსგავსებთ; ვინც თითს დაგიქნევთ, მისი გოშიები ნუ იქნებით!

**— თავის დროზე, როცა ლომჯარიას წარმომადგენლებს უარი უთხრეს პანსიონში შეშვებაზე, მეუფე სპირიდონმა განაცხადა, რომ მათი შეშვება არც ერთ ოჯახში არ შეიძლება... თქვენ, როგორც სასულიერო პირი, რა საფრთხეებს ხედავთ მსგავს დაწესებულებებში „ლიბერალი სოცმუშაკების“ თავისუფლად შესვლაში?**

— ეს უწმინდური არათუ პანსიონში, არათუ ოჯახში, საერთოდ ჩვენი წინაპრების სისხლით გაპოხიერებულ მიწაზე არ უნდა დადიოდეს. **ქართველი ბავშვი იაკობ გოგებაშვილის „აი ია“-თი იზრდებოდა. ლომჯარიებისა და მათ ზურგს უკან მდგომი „იუნისეფის“ ინსტრუქციებით კი ახალგაზრდებს ლიბერალური სიბინძურეებით უნდა ჰქონდეთ თავი გამოტენილი. ეს ის ორგანიზაციაა, რომლის სამოქმედო პროგრამაში პირდაპირ ჩადებულია მამათმავლობის პროპაგანდა, ახალგაზრდობის გარყვნა, სკოლებში ე.წ. სქესობრივი განათლების შემოღება და ა.შ. ახლა გეკითხებით: ამ იდეოლოგიის ადამიანებს უნდა მიესვლებოდეთ ბავშვებთან?! შეიძლება, ასეთი ავადმყოფები შეუშვა უდედმამო, დაუცველ ბავშვებთან და მათი მომავალი ანდო?!** სახალხო დამცველის ოფისს დღეს შეიძლება დაერქვას სატანისტთა ბუნაგი, რადგან იქ იგეგმება ყველაფერი ანტისახელმწიფოებრივი. ეს ორგანიზაცია ამჟამინდელი შემადგენლობით დასახურია. **ბატონო ბიძინა, მადლობა, ერთი მონსტრი, სააკაშვილის სახით, რომ მოგვაშორეთ, ახლა გთხოვთ, ეს ქალიც მოგვაშოროთ!**

**«სიცოცხლის ფასადაც დავიცვათ «მამული, ენა, სარწმუნოება». დავიცვათ ჩვენი ეროვნული ღირსება და ცნობიერება, რომლის გარეშე, უბრალოდ, არ გვექნება მომავალი!»**



**— გაეროს ოფისმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ გმობენ ომბუდსმენის აპარატისთვის მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლის ფაქტებს. ხომ არ ფიქრობთ, რომ ამგვარი განცხადებების კვალდაკვალ მმართველი გუნდი კიდევ უფრო შეუვალი გახდება და აქტიურად დაუპირისპირდება ეკლესიას?**

— ეს მოსალოდნელი იყო, რადგან ჩვენი შინაური მტრები, ამ შემთხვევაში ლომჯარიას მეთაურობით, გაეროს უშუალო დავალებას ასრულებენ. ადამიანი კარგად რომ დაფიქრდეს, შეიძლება ჭკუიდან შეიშალოს, ვინაიდან წარმოუდგენელია იმის ახსნა, როგორ უნდა გაიმეტო სამშობლო ასე... **გაეროს წარმომადგენლებსა და სხვა დასავლელებს თუ ასე შესტკივათ გული საქართველოზე, კრიმინალ სააკაშვილს მიხედონ — მიუთითონ, უკრაინიდან კი ნუ იმუქრება, დავბრუნდებიო, ჩამოვიდეს და პასუხი აგოს კანონის წინაშე!** აი, მაშინ დავიჯერებ დასავლელების კეთილ სურვილებს, მაგრამ მათი პოლიტიკა არის ორმაგი სტანდარტი: **ვაშინგტონში კაპიტოლიუმზე იერიშის მიტანისთვის ასეულობით პირი დააპატიმრეს, აქ კი პარლამენტზე შტურმის მიმტანი მელია პოლიტპატიმრად შერაცხეს...** რაც შეეხება ისევ ლგბტ პროპაგანდასა და მის მხარდამჭერ ძალებს, ფაქტია, რომ **ამერიკა და მთლიანად დასავლეთი დაუფარავად გამოხატავენ მათ თანადგომას. ეს ტელეეთერშიც კი განაცხადა ამერიკის ელჩმა. მან თქვა, რომ იმედია, საქართველო მზად არის, უზრუნველყოს ლგბტ პირთა „გამოხატვის“ თავისუფლებაო და ამით ხელისუფლებას, პრაქტიკულად, თითი დაუქნია. მათი მიზანია, მოიყვანონ ხელისუფლება, რომელიც ყველანაირ უფლებას მისცემს არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანებს. სწორედ ეს მზაკვრული გეგმაა ჩადებული ე.წ. ანტიდისკრიმინაციულ კანონში და კიდევ ძალიან ბევრ მზაკვრულ დოკუმენტში, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებას დასავლეთმა მიაღებინა...** ისე, სიმართლე გითხრათ, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილისგან მეტ პატრიოტიზმს მოველოდი ამ პროცესებში... მაგრამ მას, როგორც ჩანს, არც ეს პატრიოტიზმი აქვს და არც პრინციპულობა... ამ ქვეყნიდან ვერავინ ვერაფერს წავიღებთ, გარდა ჩვენი კეთილი და ბოროტი საქმეებისა. მთავარია, რა ღვაწლით წარვდგებით წინაშე უფლისა საშინელ სამსჯავროზე.

**— ეკლესიის პოზიციაზე რას ფიქრობთ, შესაბამისად პასუხობს ის იმ პროპაგანდას, რომელმაც უკვე, დიდი ხანია, ომი გამოუცხადა?**

— აი, სწორედ ახლა მივადექით მტკივნეულ საკითხს. ერთგვარი აქსიომაა, რომ ეკლესია ერის წარმმართველი ძალაა... მოგეხსენებათ, დავითისა და თამარის მეფობა ოქროს ხანადაა შესული საქართველოს ისტორიაში. იმხანად სახელმწიფო და ეკლესია ურთიერთშერწყმული ძალა იყო... მახსენდება 1990-იანი წლები, როცა საქართველოში ეროვნული მოძრაობა გააქტიურდა. იმხანად ამ მოძრაობაში მეც ვიყავი ჩართული. ჩვენი მიზანი იყო, საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა ყოფილიყო და მართლაც, უფალმა მოგვმადლა ღვთისნიერი პრეზიდენტი, თუმცა შემდეგ ისევ გარედან მართული შინაური მტრების მეშვეობით ყოველივე სავალალოდ დასრულდა. აი, იქიდან მოყოლებული დღემდე ღმრთისგან დასჯილები ვართ. ერთ ნაბიჯს თუ წინ გადავდგამთ, ორი ნაბიჯით უკან ვიხევთ. იმიტომ გავიხსენე ეს ყოველივე, რომ აქედან მოყოლებული უნდა აღინიშნოს ეკლესიის დამოკიდებულება მოვლენების მიმართ. ეკლესია არ იდგა თავის დონეზე და იცით, რატომ? იმიტომ, რომ შიგნით არ არის ერთიანობა... **შეტევა, რომელიც საპატრიარქოზე მიმდინარეობს, თვით მათი ბრალია, რამეთუ ეკლესიის წიაღშივე არის საკმაოდ დიდი სპექტრი სააკაშვილის თანამზრახველებისა, რომლებიც ოცნებობენ ამ ჯალათის დაბრუნებაზე... მე ვთხოვდი ეკლესიას, დროულად აგველაგმა ბოროტ ძალთა ზრახვები, მაგრამ ამაოდ. მათ მხარი არ დამიჭირეს და მარტო აღმოვჩნდი პირწავარდნილი სოროსისა და მისი დაქირავებული ლეკვების წინააღმდეგ.** სხვათა შორის, თავის დროზე გავაფრთხილე კიდეც საპატრიარქო, რომ მალე მათაც მიადგებოდნენ და მართლაც, დღეს სამწუხარო რეალობის პირისპირ ვართ...

**— დასასრულ, საზოგადოებაზეც გკითხავთ. ხშირად გვესმის შეფასებები, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ნიჰილიზმშია და არავის ენდობა, რომ მოსახლეობას ყველაფერზე ხელი აქვს ჩაქნეული და ა.შ. თქვენი აზრით, რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ ქვეყანაში გარედან თავს მოხვეული იდეოლოგიური დიქტატურა დასრულდეს?**

— საზოგადოება მართლაც ნიჰილიზმშია და ეს, მოგვწონს თუ არა, რეალობაა, ამიტომ, პირველ რიგში, როგორც ღვთისმსახურს, საქართველოს მოქალაქესა და ერთ-ერთ ამომრჩეველს, მინდა, ჩემი ხმა მივაწვდინო როგორც მთავრობას, ასევე ეკლესიის მესვეურთ. **ქართველი ყოველთვის თავისი მეობით გამოირჩეოდა ყველა ერისგან, თავი არავისთვის დაუხრია. დღეს კი, სამწუხაროდ, სხვის კოლონიად ვიქეცით. დასავლეთისა და ოკეანისგაღმელთა მითითებების გარეშე თითი ვერ გაგვინძრევია, რაც ძალიან აღიზიანებს ერს და ბუნებრივიცაა. ვთვლი, რომ ჩვენი მთავარი იდეოლოგიური ორიენტირი დღეს, ევროატლანტიკური კურსი კი არა, ქრისტიანულ, მართლმადიდებლურ ფასეულობებზე დაფუძნებული, სისხლხორცეული, ნამდვილი ქართული სახელმწიფოებრიობის ინტერესებს მორგებული ეროვნული პოლიტიკა უნდა იყოს.** ანუ, ორიენტირებულნი უნდა ვიყოთ საკუთარ ძალებზე, რეალური დამოუკიდებლობის მიღწევაზე და რწმენაში გაძლიერებაზე, რომლებითაც მოვედით დღემდე, და არა რაღაც გარედან ნაკარნახევ მკვდრადშობილ იდეოლოგიაზე. კი, ბატონო, სავაჭრო, კულტურული ურთიერთობები მისაღებია და სასურველი, მაგრამ მოდი შევთანხმდეთ — **ჩვენი ერის მენტალიტეტს, იდენტობას, რწმენას, მორალს, ზნეობას დროებით სავარძლებს, თანამდებობებს ნუ გადავაყოლებთ!** რაც შეეხება ეკლესიას, სასწრაფოდ უნდა მოიწვიონ რუისურბნისის მსგავსი კრება. ღმერთის მოთმინება დიდია, მაგრამ არა უსაზღვრო. უნდა განიწმიდოს ეკლესია ულირსთაგან, რადგან სწორედ ეკლესიის, მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მიდის უკომპრომისო ბრძოლა. აი, ეს არის გამოსავალი. მწამს, ღმერთი არ გაგვწირავს... ბოლოს მინდა, დიდი ილიას სიტყვებით მოგმართოთ, მამულიშვილნო, ქრისტიანენო: **სიცოცხლის ფასადაც დავიცვათ „მამული, ენა, სარწმუნოება“. დავიცვათ ჩვენი ეროვნული ღირსება და ცნობიერება, რომლის გარეშე, უბრალოდ, არ გვექნება მომავალი!**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**ნათელაშვილის ფანჩატურში რამდენიმეთვიანი კლოუნადის მონაწილეებს, საქართველოს პარლამენტში შესვლის პრეტენზიის მქონე პოლიტიკურ კლოუნებს, ყველაფერი ფეხებზე ეკიდათ — პანდემიაც და შიმშილის ზღვარზე მყოფი მოსახლეობაც. ეს „საყოველთაო პროტესტი“ ისე დასრულდა, როგორც მოსალოდნელი იყო — პარლამენტში ერთიმეორის მიყოლებით ყველა პარტია შევიდა, ხოლო გარეთ ისევ ქოც-ნაცების მიერ მერამდენედ მოტყუებული და აბუჩად აგდებული, მშიერი, აუცილებელ მედიკამენტებზე ხელმიუწვდომელი მოსახლეობა დარჩა.**



ავი მესაიდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა, პავილიონისის ან პოზნერის ნათქვამი სიცრუეა?

**ლევან ვასაძემ, რომელიც ყველასთვის მოულოდნელად მეტეორივით შემოიჭრა ქართულ პოლიტიკაში, ამ ნაბიჯის გადადგმის ახსნა ნამოხვანჰესის ირგვლივ მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე სცადა. ციტირებაზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ შინაარსობრივად განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც ნამოხვანჰესის ბიზნესპროექტს გაეცნო, მიმხვდარა, საქართველოს არანაირი სახელმწიფო სუვერენიტეტი აღარ აქვსო.**



ჟიგიმანტას პავილიონისი



მამუკა მდინარაძე



ვლადიმერ პოზნერი

**პოზნერს რომ არ ეთქვა ის, რაც აფხაზეთზე თქვა, აფხაზეთი დაბრუნდებოდა საქართველოს იურისდიქციაში? და მეორე — წლების განმავლობაში, რაც ქოც-ნაცები ხელისუფლებაში ხართ, ერთი გონივრული ნაბიჯი მაინც თუ გადაგიდგამთ სოხუმ-ცხინვალის დასაბრუნებლად? რა თქმა უნდა, თუ არ ჩავთვლით საპატიო სტუმართა ე.წ. კონფლიქტის ზონასთან მიყვანას და სოლიდარობის ნიშნად «ნიანგის ცრემლების» ღვარღვარს. არაფერს ვიტყვი შარვლების ჩახდითა და უკანალების მოშიშვლებით ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად «გმირულ ბრძოლაზე»...**

**ვასაძის ნათქვამი ნიშნავს, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო, მხოლოდ დე იურე არსებობს, დე ფაქტო კი მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე სხვა ქვეყნებისგან განსხვავებული ფერის პატარა „ლაქა“ ე.წ. კოლექტიური დასავლეთის მიერ ლიბერასტული იდეოლოგიით მართული ტერიტორიაა. ამგვარი თვალსაზრისი ახლა მისთვის რიტორიკული კითხვის დასმის უფლებას მაძლევს: რაო, ბატონო ლევან, რომ არა ნამოხვანჰესის აბსურდული და მოღალატური პროექტი, საქართველო დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო იყო?..**

ახლა კი წერილის მთავარი თემის შესახებ.

სანამ ლიეტუველი პოლიტიკოსისა და დიპლომატის, **ჟიგიმანტას პავილიონისის,** ნათქვამზე გადავალ, მანამდე საქართველოს „დამოუკიდებლობის“ დამადასტურებელ მორიგ აბსურდზე, ყველა ნორმალური ქართველისთვის შეურაცხმყოფელი ფაქტის შესახებ ვთქვათ ორიოდე სიტყვა. **ნათელაშვილის ფანჩატურში რამდენიმეთვიანი კლოუნადის მონაწილეებს, საქართველოს პარლამენტში შესვლის პრეტენზიის მქონე პოლიტიკურ კლოუნებს, ყველაფერი ფეხებზე ეკიდათ — პანდემიაც და შიმშილის ზღვარზე მყოფი მოსახლეობაც. ეს „საყოველთაო პროტესტი“ ისე დასრულდა, როგორც მოსალოდნელი იყო — პარლამენტში ერთიმეორის მიყოლებით ყველა პარტია შევიდა, გარეთ კი ისევ ქოც-ნაცების მიერ მერამდენედ მოტყუებული და აბუჩად აგდებული, მშიერი, აუცილებელ მედიკამენტებზე ხელმიუწვდომელი მოსახლეობა დარჩა. პარლამენტში ელემენტარული მიმატება გამრავლების გამოყენებით (გაყოფა-გამოკლება, ნურას უკაცრავად) ქოც-ნაცები ფრაქციებად გადანაწილდნენ.** „ხალხზე ზრუნვის“ მსგავსი მაგალითები ადრეც გვინახავს, მაგრამ ამ ყველაფრის პოლიტიკური „პადხალიმაჟით“ ასე ურცხვად „გამდიდრება“, რაზეც ახლა გეტყვით, არასოდეს.

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ საქართველოს პარლამენტში, ფაქტობრივად, **შარლ მიშელის** სახელობის ფრაქცია შეიქმნა...

„19 აპრილის შეთანხმებაზე ხელმომწერი ოპოზიციონერი დეპუტატების ნაწილმა 3 ივნისს პარლამენტში ახალი ოპოზიციური ფრაქცია „შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფი“ შექმნა. ახალ ფრაქციას რესპუბლიკელი **ხათუნა სამნიძე** უხელმძღვანელებს, მისი მოადგილე იქნება „სტრატეგია აღმაშენებლის“ დეპუტატი **პაატა მანჯგალაძე.** ფრაქციის სხვა წევრებს შორის ასევე არიან სტრატეგია აღმაშენებლის დეპუტატები — **გიორგი ვაშაძე** და **თეონა აქუბარდია;** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი თავმჯდომარე **გრიგოლ ვაშაძე;** „ევროპული საქართველოს“ ყოფილი წევრი ტარიელ ნაკაიძე და „გირჩი-მეტი თავისუფლების“ დამფუძნებელი **ზურაბ ჯაფარიძე“,** — იუწყებოდა ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტო

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქართველმა ამომრჩეველმა ხმა, თუნდაც სახელგატეხილ, მაგრამ მაინც ქართველ ქოც-ნაცებს კი არა, ვილაც გადამთიელ **შარლ მიშელს** მისცა, რომლის რჩევა-დარიგებების მიხედვით უნდა მართოს ქვეყანა პარლამენტმა და მის მიერ დანიშნულმა მთავრობამ. რჩევებს, თუ ისინი ქვეყნის მოკეთე, თუნდაც უცხოელი პოლიტიკოსებისგან მოდის, ასე თუ ისე, კიდევ აიტანდა ქართველი საზოგადოება, მაგრამ შარლ მიშელის სახელობის ფრაქცია თუ რეფორმების ჯგუფი, უკვე მეტისმეტია. ბატონ შარლს ბარემ ძეგლი დავუდგათ პარლამენტის ეზოში.

**ცნობისთვის: შარლ მიშელი** 2019 წლის 2 ივლისს ბრიუსელში გამართულ ევროკავშირის ლიდერების სამიტზე აირჩიეს ევროპის საბჭოს პრეზიდენტად. მოვალეობის შესრულებას შეუდგა იმავე წლის 1 დეკემბრიდან და თანამდებობაზე დარჩება მომდევნო 2,5 წლის განმავლობაში.

ნიშანდობლივი და ფრიად დამაფიქრებელია (კოლექტიური დასავლეთისთვის, აშშ-ნატოსა და, ჭკუა რომ ჰქონდეთ, ქოც-ნაცებისთვისაც) ის, რომ აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტთა სამიტის წინ სულ უფრო აგრესიული ხდება **ვლადიმერ პუტინის** სამხედრო ძალისმიერი რიტორიკა. არ ვიცი, ვლადიმერ პუტინს იქნებ მართლა აქვს ჰიპნოზის (რაზეც სულ უფრო ხშირად და სერიოზულად საუბრობენ ე.წ. კოლექტიური დასავლეთის კულუარებში) — მეტოქის მონუსხვის ნიჭი, ამას მოწმობს თუნდაც პუტინისა და ტრამპის შეხვედრა ჰელსინკში, რომლის შემდეგ ერთობლივ პრესკონფერენციაზე ორი ზესახელმწიფოს პრეზიდენტები ძველი მეგობრებივით წარდგნენ ჟურნალისტების წინაშე. თუმცა ის, რომ ვლადიმერ პუტინი არა მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით უდავოდ უძლიერესი იმპერიის პრეზიდენტი და მთავარსარდალია, არამედ ნომერი პირველი პოლიტიკოსიც, ფაქტია. რატომ და როგორ? როგორც ერთმა ავტორიტეტულმა პოლიტოლოგმა შენიშნა, რუსეთის პრეზიდენტი საჯარო გამოსვლების წინ იმაზე კი არ ფიქრობს, რა უნდა თქვას, არამედ პირიქით — რა არ უნდა თქვას. ამ ერთი შეხედვით მარტივი ფილოსოფიის წყალობით გახდა ის, ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი უძლიერესი პოლიტიკოს-დიპლომატი, რომელთანაც ერთი-ერთზე საუბარს თითქმის ყველა პოლიტიკური ლიდერი ერიდება.

ამერიკელებიც ყველანაირად ცდილობენ, ისეთი დღის წესრიგი შეათანხმონ რუსეთთან, რომ ბაიდენისა და პუტინის ერთი-ერთზე თუნდაც მცირე ხნით დარჩენის თეორიული ვარიანტიც გამოირიცხოს, რადგან ხანდაზმული ბაიდენი ლუკმად არ ეყოფა ვლადიმერ პუტინს, რომელთან შეხვედრისთვის ისე ამზადებენ აშშ-ის პრეზიდენტსა და მთავარსარდალს, თითქოს, სახელმწიფო მეთაურების რანდევუზე კი არა, ფრონტის წინა ხაზზე საბრძოლველად გზავნიდნენ. **ჯო ბაიდენის გუნდის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პუტინთან ტეტ-ა-ტეტ შეხვედრაზე არანაკლებ (იქნებ უფრო მეტადაც) სახიფათო „თამაშის“ ჩაშლა მოხერხეს — არ გაიმართება ორი პრეზიდენტის ერთობლივი პრესკონფერენცია, რაც იგივე ერთი-ერთზე საუბარია, ოღონდ მოწმეთა (ჟურნალისტების) თანდასწრებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯო ბაიდენის კარის „გაფილტრული“ ჟურნალისტების გარდა ბრიფინგს სხვადასხვა ქვეყნის „გაუფილტრავი“ (რაც მხოლოდ რუსს არ ნიშნავს) ჟურნალისტებიც დაესწრებიან და მისტერ ჯოს უხერხულ კითხვებზე პასუხის გაცემა მოუწევს.** გაუგებარია, რატომ დათანხმდა პუტინის გუნდი ასეთ ფორმატს. პუტინისთვის უხერხული კითხვები არა მხოლოდ იმიტომ არ არსებობს, რომ იგი ჰიპნოზიორი და მაგარი პოლიტიკოსია, არამედ, უწინარესად, იმიტომ, რომ მის მხარესაა სიმართლე და ისევ ამერიკელთა მიერ დამკვიდრებული ორმაგი სტანდარტების გამო. რაზე უნდა შეთანხმდნენ მხარეები, ვერ წარმომიდგენია. ყირიმ-დონბას-ლუგანსკის თემა დახურულია; სოხუმ-ცხინვალის თემას კოსოვოს პრეცედენტი უმაგრებს ზურგს; ადამიანისა და ლგბტ თემის უფლებები რუსეთისთვის ერთი და იგივე არ არის და, საერთოდ, რუსეთის ახალი კონსტიტუციის მიხედვით, კოლექტიური დასავლეთის ლიბერასტული, ამორალური ღირებულებები თუ კანონები, უხეშად რომ ვთქვათ, რუსებს ფეხებზე ჰკიდიათ. რაც შეეხება ბედკრულ საქართველოს — რა თქვა პავილიონისმა ისეთი, რომ „მამულზე გულდამწვარი“ მამუკა მდინარაძე ისე აღაშფოთა, თვით საქართველოს „დაუძინებელი მტრის“, ვლადიმერ პოზნერის, ნათქვამთან გააიგივა?

**„თქვენ უკვე კარგავთ ტერიტორიებს, გინდათ, რომ მომავალიც დაკარგოთ? თუ არ გაერთიანდებით და ერთად არ იმუშავებთ, დიდი იქნება ფასი, რომლის გადახდაც მოგიწევთ“,** — ლიეტუველი „მეგობრის“ ნათქვამში ერთი არსებითი შეცდომა დავიჭირე — ჩვენ კი არ ვკარგავთ, უკვე დავკარგეთ სოხუმ-ცხინვალი და, თუ ფართოდ დახუჭულ თვალებს გავახელთ და დახშულ ყურებს გამოვიფხეკთ, დავინახავთ და გავიგონებთ პუტინის პირდაპირ მუქარას, რომ უკრაინის ნატოში მიღებას არ დაუშვებს და, თუ მაინც გადადგამს აშშ ასეთ უგუნურ ნაბიჯს, რუსეთის არმიის საჰაერო კოსმოსური ძალები უკრაინის ტერიტორიაზე განთავსებულ პირველსავე საჰაერო „თავდაცვით“ დანადგარს ზუსტი სარაკეტო ზალპით გაანადგურებს. ეს კი შეიძლება ნატო-რუსეთის სრულმასშტაბიან ომში გადაიზარდოს. ასეთ უგუნურებას აშშ რომ არ ჩაიდენს, ამას სირიაში თურქეთის მიერ რუსული ავიაგამანადგურებლის აფეთქების შედეგებიც მოწმობს. რუსეთის ავაციამ ის ტერიტორია, საიდანაც რუსული თვითმფრინავი ჩამოაგდეს, თავის „მშვიდობიან“ მოსახლეობასთან ერთად აღგავა პირისაგან მიწისა, ხოლო ბრიუსელში დახმარების სათხოვნელად ჩასულ ნატოს წევრ თურქეთის პრეზიდენტს კარისკენ მიუთითეს, — თქვენი გულისთვის რუსეთთან ომს ვერ დავიწყებთო. ანალოგიური რამ იქნება უკრაინის შემთხვევაშიც, ოღონდაც ერთი „უმნიშვნელო“ განსხვავებით — უკრაინელებს ფულსა და იარაღს ბევრს მისცემენ. იანკებს რა ენაღვლებათ, ხოცონ მოძმე სლავებმა ერთმანეთი. ეგებ მოხდეს სასწაული და ამ ხოცვა-ჟლეტაში რუსეთი დაიშალოს. რაც შეეხება **ვლადიმერ პოზნერს,** მის შესახებ მდინარაძესთან **ვაჟას** ენით („დღეს სტუმარია ის ჩემი“) საუბარი უაზრობად მიმაჩნია, ამიტომ მამუკას ჩემი ენით ვკითხავ: **პოზნერს რომ არ ეთქვა ის, რაც აფხაზეთზე თქვა, აფხაზეთი დაბრუნდებოდა საქართველოს იურისდიქციაში? და მეორე — წლების განმავლობაში, რაც ქოც-ნაცები ხელისუფლებაში ხართ, ერთი გონივრული ნაბიჯი მაინც თუ გადაგიდგამთ სოხუმ-ცხინვალის დასაბრუნებლად?** რა თქმა უნდა, თუ არ ჩავთვლით საპატიო სტუმართა ე.წ. კონფლიქტის ზონასთან მიყვანას და სოლიდარობის ნიშნად „ნიანგის ცრემლების“ ღვარღვარს. არაფერს ვიტყვი შარვლების ჩახდითა და უკანალების მოშიშვლებით ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად „გმირულ ბრძოლაზე“...

ამ დღეებში ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, — პოსტსაბჭოთა ტერიტორიებზე რუსეთის გავლენებს აღვადგენო, რაც სსრკ-ის ახალი ფორმით აღდგენას არ ნიშნავს, ამიტომ წინამდებარე წერილს ერთი ქართული ანდაზით დავასრულებ: კოკავ (წაიკითხე, კიევო), შენ გეუბნები, ლიტრავ (წაიკითხე, თბილისო), გეყურებოდესო. სსრკ-ის დე ფაქტო აღდგენის გზაზე, მხოლოდ კიევი და თბილისია გაჩხერილი. რაც შეეხება სოხუმ-ცხინვალს — სად, როგორ, ვისთან და როდის, ეს ცალკე თემაა, რომელზეც საუბარს სამომავლოდ ვაპირებ.

**დავით მხეიძე**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სკანდალი

**ჟურნალისტურ გამოძიებაში დასახელებული არიან თვალთვალისა და მიყურადების მსხვერპლი გერმანელი პოლიტიკოსები: კანცლერი ანგელა მერკელი, იმჟამინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი, ახლა კი ფედერალური პრეზიდენტი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი და იმ მომენტში გერმანელი სოციალ-დემოკრატების ლიდერი პეერ შტაინბრუკი.**

# ჯაშუშური ქსელის ცენტრში: დანია და აშშ მოკავშირე სახელმწიფოების პირველი პირების საუბრებს უსმენდნენ

**დანია ჯაშუშური სკანდალის ცენტრში აღმოჩნდა; გაირკვა, რომ სამეფოს სპეცსამსახურები ეხმარებოდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებს ევროპელი პოლიტიკოსების საუბრების მიეყურადებაში — იწერდნენ შვედეთის, ნორვეგიის, საფრანგეთისა და გერმანიის პირველი პირების საუბრებს, მათ შორის გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელისა და საგარეო საქმეთა იმჟამინდელი მინისტრიეს, ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის, სატელეფონო საუბრებს. სქემა გამოამზეურეს ჟურნალისტებმა.**

კოპენჰაგენის პორტის შესასვლელს ცნობილ ქალთევზასთან ერთად იცავს ციხესიმაგრე კასტელეტი — ზარზაბნებიანი თავდაცვითი ნაგებობა, რომელიც ღირსშესანიშნაობაა, მაგრამ სტრატეგიული მნიშვნელობაც არ დაუკარგავს. იქ განლაგებულია დანიის სამხედრო დაზვერვა Forsvarets Efterretningstjeneste (შემოკლებით FF). დანიელი ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ ეს ნაგებობა 15 წლის განმავლობაში უზრუნველყოფდა ამერიკელების წვდომას ევროპელი პოლიტიკოსების კონტაქტებზე.

**„აშშ-ის მძლავრი სადაზვერვო სამსახური — ეროვნული უშიშროების სააგენტო — დანიელებთან თანამშრომლობას იყენებდა გერმანიის, შვედეთის, ნორვეგიისა და საფრანგეთის სახელმწიფო მეთაურების, წამყვანი პოლიტიკოსებისა და მაღალჩინოსნების თვალთვალისა და მიყურადების მიზნით“,** — აღნიშნავს დანიური საზოგადოებრივი ტელეკომპანია DR-ი.

„ველოდებით, რომ ჩვენი დანიელი და ამერიკელი პარტნიორები წარმოგვიდგენენ სრულ ინფორმაციას ამ სკანდალური გამომზეურების შესახებ“, — იმედოვნებს საფრანგეთის პრეზიდენტი **ემანუელ მაკრონი.**

ჟურნალისტურ გამოძიებაში დასახელებული არიან თვალთვალისა და მიყურადების მსხვერპლი მხოლოდ გერმანელი პოლიტიკოსები: კანცლერი **ანგელა მერკელი,** იმჟამინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი, ახლა კი ფედერალური პრეზიდენტი, **ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი,** და იმ მომენტში გერმანელი სოციალ-დემოკრატების ლიდერი — **პეერ შტაინბრუკი.**

„ფედერალურმა მთავრობამ ამ სკანდალური გამოძიების გამო განმარტებების მისაღებად მიმართა ყველა ეროვნულ და საერთაშორისო ორგანოს“, — განაცხადა გერმანიის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა **შტეფენ ზაიბერტმა.**

აშშ მოკავშირეებს რომ უთვალთვალებს, ცნობილია 2013 წლიდან, როცა აშშ-ის ეროვნული უშიშროების სააგენტოს ყოფილი აგენტის, ედუარდ სნოუდენის, მეშვეობით პრესაში მონაცემებმა გაჟონა, მაგრამ საქმე აშშ-ისადმი გამოთქმული საყვედურების იქით არ წასულა.

აი დანია კი, თეორიულად, საკმაოდ ძლიერი წნეხის ქვეშ შეიძლება მოექცეს.

**„მერკელი, შტაინმაიერი და შტაინბრუკი ევროპელი პოლიტიკოსების უმაღლეს ლიგას მიეკუთვნებიან. ისინი არა მხოლოდ გერმანიის ტოპპოლიტიკოსები არიან, არამედ წამყვან პოზიციებზე არიან ევროპაში, ისინი, ევროპის ბედს წყვეტენ, — ახსნა ვითარება სამხრეთი დანიის უნივერსიტეტის დოცენტმა, სპეცსამსახურების მუშაობის ექსპერტმა, დოცენტმა ტომას ვაგენერ ფრიისმა. — და ამ გარებოებამ ისინი ამერიკელების ინტერესების სიის სათავეში მოაქცია. შედეგად, დანიას პრობლემები შეექმნა ევროპელ მოკავშირეებთან“.**

პრობლემების ფესვი ჩამალულია 1990-იანი წლების ბოლოში, როცა ინტერნეტტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად დანიელმა მზვერავებმა თავიანთი თავი საკომუნიკაციო ქსელის ცენტრში აღმოაჩინეს, რაც დაკავშირებულია დანიის გეოგრაფიულ მდებარეობასთან. **ინტერნეტის წყალქვეშა კაბელებთან მიერთებით დანიელებმა მიიღეს შესაძლებლობა, თვალყური ედევნებინათ გლობალური ტრაფიკისთვის და ეს წვდომა „გაუნაწილეს“ აშშ-ის ეროვნული უშიშროების სააგენტოს. ქალაქ სანდარგერგორდში ააშენეს მონაცემების შეგროვების ცენტრი და დაიწერა პროგრამა Xreyscore, რომელიც ნებისმიერი ინფორმაციის დეკოდირების საშუალებას იძლევა.**

„DR-ის წყაროების ცნობით, ჯაშუშური სისტემა FE-ს საშუალებას აძლევდა, უპრეცედენტო მასშტაბით მიეყურადებინა სატელეფონო საუბრებისთვის და წაეკითხა ტექსტები ჩატებში.

წყაროები ჯაშუშურ სისტემას აღწერენ, როგორც ყველაზე ეფექტიან ინსტრუმენტს, რომელსაც შეუძლია, მოიპოვოს წვდომა ნებისმიერ ინფორმაციაზე — ტერორისტების გეგმებით დაწყებული, რუსეთისა და ჩინეთის მონაცემებით დამთავრებული“, — აღნიშნავს დანიური ტელერადიოკომპანია DR-ი.

„ოქროს საბადოზე“ წვდომის სანაცვლოდ აშშ-ის ეროვნული უშიშროების სააგენტომ დანიური FE აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, კანადის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის სადაზვერვო კორპორაცია „კლუბ ხუთ თვალში“ ჩართო. სწორედ ამ ანგლოსაქსური სადაზვერვო კორპორაციისა და გლობალური თვალთვალის პროგრამა „პრიზმის“ შესახებ განაცხადა 2013 წელს **სნოუდენმა.**

სურათის სრულად წარმოსადგენად: **ჯერ კიდევ 2002 წელს ზოგიერთმა ყურადღება მიაპყრო თეთრ პრიზმას ბერლინში ბრიტანეთის საელჩოს შენობის სახურავზე, მაგრამ ინგლისელებმა თქვეს, რომ ეს დეკორის ელემენტი იყო და მათი განმარტებით დამშვიდებულმა გერმანელებმა უარი განაცხადეს ობიექტის ელექტრომაგნიტურ სკანირებაზე.**

სამაგიეროდ, **2013 წელს ყველაფერი გამოაშკარავდა. მაგალითად, აშშ-ის საელჩოს შენობის სხვენი ინფრაწითელ დიაპაზონში ზოგჯერ ისე აენთებოდა ხოლმე, როგორც დომენის ღუმელი, რაც ამტკიცებდა სნოუდენის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ იქ ბუდე ჰქონდა ელექტრონულ დაზვერვა Special Collection-ის ქვედანაყოფს.**

ამ სკანდალის შემდეგ ამერიკელები გერმანელებს დაჰპირდნენ, რომ ყველაფერს გათიშავდნენ და აღარ იჯაშუშებდნენ, მაგრამ ახლა, ალბათ, კვლავ საჭიროა აშშ-ის საელჩოს სახურავის ინფრაწითელი სხივით დამუშავება, შემოწმება, 2021-შიც აქტუალურია თუ არა 2013 წლის ანეკდოტი: **„როცა მერკელმა დაურეკა პრეზიდენტ ობამას და განმარტება მოსთხოვა, ეროვნული უშიშროების სააგენტომ ფრაუ კანცლერის ახალი სატელეფონო ნომერი ჩაიწერა“.**

დანიურ პრესაში გამოქვეყნებულ წერილზე რეაქცია ედვარდ სნოუდენისა, რომელმაც გაიხსენა, რომ **ბარაკ ობამას** პრეზიდენტობის პერიოდში ვიცეპრეზიდენტი ჯო ბაიდენი იყო, ასეთია:

**„ჯო ბაიდენი მზად უნდა იყოს კითხვებზე პასუხისთვის ევროპაში ვიზიტისას, რადგან ის ღრმად იყო ჩართული ამ სკანდალში. აუცილებელია, მოვითხოვოთ ინფორმაციის სრულად გამჟღავნება არა მხოლოდ დანიისგან, არამედ მისი უფროსი ძმისგანაც“,** — განაცხადა სნოუდენმა.

საინტერესოა, რით იყვნენ დაკავებულნი ამერიკისა და დანიის დაზვერვები ბოლო 8 წლის განმავლობაში. იმის გათვალისწინებით, რომ სპეცსამსახურების წარმომადგენელთა მიერთება ინტერნეტკაბელებზე ამ ხნის განმავლობაში თითქმის არავინ იცოდა, ეს ამბავი არც „სნოუდენის დოსიეში“ იყო აღნიშნული. **სენსაციას საფუძვლად დაედო ინფორმაციის გაჟონვა თვით დანიურ სპეცსამსახურ FE-დან, რომელმაც 2014 წელს ამერიკელებისგან ფარულად ჩაატარა შიდა ოპერაცია Dunhammer-ი, რათა გაერკვიათ, ამერიკის ეროვნული უშიშროების სააგენტო დანიელ პოლიტიკოსებსაც თუ უთვალთვალებდა. გაირკვა, რომ ამერიკელები დანიელებსაც უსმენდნენ და უთვალთვალებდნენ,** მაგრამ არც სამსახურის დირექტორმა იმ მომენტში, **ტომას არენკილმა,** და არც მისმა მემკვიდრემ, **ლარს ფინდსენმა,** ამერიკელებთან თანამშრომლობის შეწყვეტა საჭიროდ არ ჩათვალეს.

„ჩვენ გვაქვს საგარეო პოლიტიკა საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობით, ჩვენ გვაქვს ჩრდილოვანი საგარეო პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებს ცალკე სისტემა, ჩნდება კითხვა: იციან კი ხალხმა და პარლამენტმა, რაც იქ ხდება?“ — ამბობს სამხრეთი დანიის უნივერსიტეტის დოცენტი, სპეცსამსახურების მუშაობის ექსპერტი ტომას ვაგენერ ფრიისი.

დღეს, როცა გაჩნდა დაწვრილებითი ინფორმაცია, როგორ უთვალთვალებდნენ სპეცსამსახურები ადამიანებს და ცნობილია მათი სახელები, ვისაც უთვალთვალებდნენ, ისტორიას ფართო რეზონანსი უნდა ჰქონდეს. „ეს ძალიან სერიოზულია. ახლა აუცილებელია, შემოწმდეს, დაუშეს თუ არა შეცდომები დანიელთა პარტნიორებმა ევროპაში ამერიკელებთან თანამშრომლობისას“, — დასძენს ტომას ვაგენერ ფრიისი.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ სკანდალს სადამსჯელო ღონისძიებები არ მოჰყვება. რაც უნდა იყოს, ამერიკელები არიან. დანიელებიც მხოლოდ ბოდიშებით შემოიფარგლებიან, რომლებსაც მიიღებენ. და არანაირი სანქციები — ისინი ხომ მოკავშირეები არიან?!

**Vesti.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**



ფრანკ ვალტერ შტაინმაიერი და ანგელა მერკელი

**ინტერნეტის წყალქვეშა კაბელებთან მიერთებით დანიელებმა მიიღეს შესაძლებლობა, თვალყური ედევნებინათ გლობალური ტრაფიკისთვის და ეს წვდომა «გაუნაწილეს» აშშ-ის ეროვნული უშიშროების სააგენტოს. ქალაქ სანდარგერგორდში ააშენეს მონაცემების შეგროვების ცენტრი და დაიწერა პროგრამა XREYSCORE, რომელიც ნებისმიერი ინფორმაციის დეკოდირების საშუალებას იძლევა**




დანიის სადაზვერვო სამსახურის FORSVARETS EFTERRETNINGSTJENESTE-ს შენობა



ვლადიმერ პუტინმა ახსნა, რატომ არ შეუძლია რუსეთს, მშვიდად უმზიროს ნატოში უკრაინის შესვლის მცდელობებს. მან ჟურნალისტს უთხრა: „წარმოიდგინეთ, რომ ჩვენი რაკეტები კვლავ განლაგებულია კუბაზე, მათ მიღწევას ვაშინგტონამდე 15 წუთი სჭირდება. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ეს რაკეტები განლაგებულია კანადის სამხრეთ საზღვარზე — ვაშინგტონამდე მათი ფრენის დრო 10 წუთია. ჩათვლიან ამას აშშ-ში წითელ ხაზად?“

წითელი ხაზები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «წითელი ხაზები» რუსეთისთვის და «წითელი ხაზები» ამერიკისთვის

**ჟენევაში შეხვედრის წინ ორი ზესახელმწიფოს ლიდერები თითქმის ერთდროულად გამოჩნდნენ საზოგადოების წინაშე: ვლადიმერ პუტინმა ინტერვიუ მისცა ტელეარხ „როსია 1“-ს, ჯო ბაიდენი კი ინგლისში ამერიკის სამხედრო ბაზაზე სიტყვით გამოვიდა. ორივე პრეზიდენტმა ილაპარაკა იმის შესახებ, როგორ აფასებენ მოწინააღმდეგეს და მის პოლიტიკას. სიტყვა „პარტნიორს“, რა თქმა უნდა, გამოიყენებენ მომავალში, მაგრამ იმ დღეს ერთმანეთზე ლაპარაკობდნენ, როგორც მტერზე**

**ვლადიმერ პუტინი** ლაპარაკობდა ჩვეულებრივად, როგორც ყოველთვის — თავშეკავებით, ირონიით, მახვილგონივრულად, ისე, რომ ნებისმიერ კითხვაზე მისი პასუხები შეიძლება ციტატებად გამოიყოს. საერთო შთაბეჭდილება იყო ასეთი: ომის საფრთხე უკვე აღარ არის ჰიპოთეზური. კიდევ ერთხელ — არის დიდი ომის რეალური საფრთხე და ეს ყოველ წუთს უნდა გვახსოვდეს.

ჯო ბაიდენთან შეხვედრა 16 ივნისს გაიმართება — შეხვედრა იმ ქვეყნების ლიდერებისა, რომლებიც შეიძლება, ნებისმიერ მომენტში ჩაებან გამანადგურებელ ომში. ამ ქვეყნებიდან ერთ-ერთის, აშშ-ის, მოქმედება ყოველდღე გვაახლოებს ხიფათთან.

ექსპერტთა ვარაუდით ეს იქნება ასეთი ტიპის მოლაპარაკებები: თქვენ ხვდებით, საქმე სადამდე მივიდა? უკან დაიხიეთ, დათმეთ, შეიძლება სხვა შანსი აღარც იყოს.

აი ამაზეა პუტინის ინტერვიუს ნაწილი **„წითელ ხაზებზე“.** ასე ფიქრობდა უმაღლეს დონეზე შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე რუსეთის პრეზიდენტი: **ომი კარსაა მომდგარი.** სწორედ ამიტომ არ უხსენებია ეს სიტყვები მას ხმამაღლა, მხოლოდ ილაპარაკა ამ „წითელ ხაზებზე“, თანაც საკმაოდ მახვილგონივრულად. მაგალითად, **ახსნა, რატომ არ შეუძლია რუსეთს, მშვიდად უმზიროს ნატოში უკრაინის შესვლის მცდელობებს. მან ჟურნალისტს უთხრა: „წარმოიდგინეთ, რომ ჩვენი რაკეტები კვლავ განლაგებულია კუბაზე, მათ მიღწევას ვაშინგტონამდე 15 წუთი სჭირდება. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ეს რაკეტები განლაგებულია კანადის სამხრეთ საზღვარზე — ვაშინგტონამდე მათი ფრენის დრო 10 წუთია. ჩათვლიან ამას აშშ-ში წითელ ხაზად?“**

„დიახ, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა, — არის ფორმალობები, რომლებიც ეწინააღმდეგება ნატოში უკრაინის შესვლას და მის ტერიტორიაზე ამერიკის ჰაერსაწინააღმდეგო შეტევითი იარაღის განლაგებას, მაგრამ განა ჩვენ იმედი უნდა გვქონდეს, რომ ამერიკელები დაიცავენ მათ მიერვე დაწესებულ წესებს? არა, რა თქმა უნდა, მათ ეს წესები უამრავჯერ დაარღვიეს“.

პუტინის ინტერვიუს მეორე მნიშვნელოვანი ნაწილი შეეხებოდა **უკრაინას.** აქ უკვე ჩანდა, რომ ის თავს ძლივს იკავებდა. რუსეთის პრეზიდენტი ისევ მშვიდად, ირონიული ტონით ლაპარაკობდა, მაგრამ სიტყვებს უკვე აღარ არჩევდა. უკრაინაში მიღებულ კანონზე არამკვიდრი ხალხების შესახებ მან დაუფარავად განაცხადა: **„ამას აკეთებდნენ ჰიტლერელები. მათ შეიძლება ხვალვე დაიწყონ ადამიანებისთვის თავის ქალის გაზომვა, იმის დასადგენად, ვინ არის იქ არიელი და ვინ — არა. მათ ვითარება მიჰყავთ იქამდე, რომ უკრაინიდან გაიქცევიან ისინი, ვისაც უკრაინელად არ ჩათვლიან“.**





ბევრს ახსოვს, რას ამბობდა პუტინი, როცა დასავლელი მეზობლების გონზე მოყვანას ცდილობდა: **„ჩვენ ხომ ერთი ხალხი ვართ!“,** მაგრამ ახლა, პრეზიდენტ **ვლადიმერ ზელენსკის** გახსენებისას, სულ სხვა რამ თქვა. მან შეახსენა ზელენსკის, რომ ებრაელია. ვისაც კი სკოლაში დიდი სამამულო ომის ისტორია უსწავლია, მისთვის ცხადია, ეს ბოლო არგუმენტია. **რას აკეთებ, დაგავიწყდა, ვინ ხარ და შენს ხალხს, შენს წინაპრებს რა დამართეს თავის ქალის გაზომვის მოყვარულებმა? ფიქრობ, შეგიძლია, ადამიანები დაყო სრულფასოვნებად და მეორეხარისხოვნებად? გაიხსენე ბაბი იარი (ადგილი კიევთან ახლოს, სადაც ფაშისტებმა და მათმა უკრაინელმა დამქაშებმა 100 ათასზე მეტი ებრაელი, ბოშა და ტყვედ ჩავარდნილი საბჭოთა არმიელი დახვრიტეს — გ.გ.) და თავს ჰკითხე — რას აკეთებ? შეიძლება, ჯერ კიდევ არ არის გვიან, შეჩერდი. არ გსურს, იფიქრო რუსებზე — დაფიქრდი საკუთარ თავზე, ვინ გაღიარებს შენ და შენს შვილებს „უკრაინელებად“.**

ეს პუტინის ყველაზე საშინელი ინტერვიუა 21 წლის განმავლობაში. მისი მშვიდი ტონის, ირონიულად მოჭუტული თვალების, ძუნწი ჟესტიკულაციის, თავდაჯერებულობის უკან საშინელი დაძაბულობა იმალებოდა, ომისწინა დაძაბულობა.

და საკმარისია, მოუსმინო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, რომ კიდევ უფრო მწვავედ იგრძნო ეს დაძაბულობა. ჟენევის უმნიშვნელოვანეს მოლაპარაკებებამდე ერთი კვირით ადრე ამერიკის ლიდერი რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის ყველა ძალების მობილიზაციაზე ლაპარაკობდა.

**„მე ვეტყვი პუტინს, რომ დემოკრატიული ქვეყნების სუვერენიტეტის დარღვევა უშედეგოდ არ დასრულდება. ეს ეხება მოვლენებს აშშ-ში, ევროპაში, მსოფლიოს სხვა ადგილებში; აშშ არ ეძებს კონფლიქტს რუსეთის ფედერაციასთან, მაგრამ საკადრის პასუხს გავცემთ, თუ რუსეთი დაგვაზარალებს... ეჭვი არავის შეეპაროს აშშ-ის გამბედაობაში, დაიცვას ჩვენი მთავარი ფასეულობები, ჩვენი სტრატეგიული ინტერესები. ჩვენ მსოფლიო ისტორიის გარდამტეხ მომენტში ვიმყოფებით. ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ დემოკრატიები არათუ გადარჩებიან, არამედ წარმატებას მიაღწევენ“.**

მედასავლეთეებმა ბაიდენის ამ განცხადებაში დაინახეს მზადყოფნა, დაუთმოს პუტინს „ძალაუფლება აღმოსავლეთ ნახევარსფეროზე“, ოღონდაც დასავლეთზე არ გავრცელდეს რუსეთის გავლენა. ეს ჟენევის შეხვედრის შესანიშნავი შედეგი იქნებოდა — ზესახელმწიფოების გავლენის სფეროების გაყოფა: „ნახევარი მსოფლიო ამერიკას, ნახევარი — რუსეთს“. დიახ, ბაიდენი თითქმის დაუფარავად ამბობს, რომ ეშინია და არ სურს ომი, მაგრამ ის იძულებულია, გამოაცხადოს აშშ-ისა და სრულიად დასავლეთის მზადყოფნა ყველაზე მწვავე კონფრონტაციისთვის. **ბაიდენმა განაცხადა „დემოკრატიული ქვეყნების“ მობილიზაციაზე რუსეთის წინააღმდეგ და მან ეს ყველაფერი ილაპარაკა უკრაინელი ნაცისტების ცრემლნარევი თხოვნის ფონზე — სასწრაფოდ მიიღონ ნატოში. ეს თქვა სწავლების დაწყების წინ, რომლის დროსაც ნატო დაამუშავებს ყირიმში შეჭრის ოპერაციას; ეს თქვა იმის გათვალისწინებით, რომ იცის, სანქციების ცივი ომი კვლავაც გაგრძელდება.**

**მედასავლეთე ექსპერტებმა ბაიდენის განცხადებაში დაინახეს მზადყოფნა, დაუთმოს პუტინს «ძალაუფლება აღმოსავლეთ ნახევარსფეროზე», ოღონდაც დასავლეთზე არ გავრცელდეს რუსეთის გავლენა. ეს ჟენევის შეხვედრის შესანიშნავი შედეგი იქნებოდა — ზესახელმწიფოებს შორის გავლენის სფეროების გაყოფა: «ნახევარი მსოფლიო ამერიკას, ნახევარი — რუსეთს». დიახ, ბაიდენი თითქმის დაუფარავად ამბობს, რომ ეშინია და არ სურს ომი, მაგრამ ის იძულებულია, გამოაცხადოს აშშ-ისა და სრულიად დასავლეთის მზადყოფნა ყველაზე მწვავე კონფრონტაციისთვის**



**იმედი მშვიდობისა, გავლენის სფეროების გადანაწილებისა, აშშ-ის შიში ომის წინაშე მაინც რჩება, მაგრამ ყველას უნდა გახსოვდეს, რომ «წითელი ხაზები» ახლოს არის გავლებული. მოწინააღმდეგე მას ძალიან მიუახლოვდა. მისი სიგიჟე და რუსეთისადმი სიძულვილი ისე დიდია, რომ ეს წითელი ხაზები შეიძლება გადაკვეთოს**

იმედი მშვიდობისა, გავლენის სფეროების გადანაწილებისა, აშშ-ის შიში ომის წინაშე მაინც რჩება, მაგრამ ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ „წითელი ხაზები“ ახლოს არის გავლებული. მოწინააღმდეგე მას ძალიან მიუახლოვდა. მისი სიგიჟე და რუსეთისადმი სიძულვილი ისე დიდია, რომ ეს წითელი ხაზები შეიძლება გადაკვეთოს.

tsargrad.tv-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში დაიწყო ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი შესაძლებლობების მეცნიერული გამოკვლევა. დღეს ანეკდოტის დონეზეა სოციალისტური საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ისტორიის თუნდაც გახსენება. იცინეთ, იცინეთ! „იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის“ და, თუ შენ, ქართველო კაცო, სასაცილოდ გაქვს საქმე, მაშინ მართლაც საანეკდოტოდ გვქონია ქვეყანა აწყობილი. იქნებ გულდასმით წაიკითხოთ არცთუ შორეული ჩვენი წარსული ისტორია და შეადაროთ არსებულ ვითარებას.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №17-19, 2021 წ.

# სტალინური ეპოქის ქართული სახელმწიფო

**საბჭოთა კავშირს პურის (ხორბლის) დეფიციტი გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ჰქონდა. ამით გაოცებულ და გახარებულ მსოფლიოს ჩერჩილმა ასე მიმართა: „როგორი მოხერხებული უნდა იყოს ქვეყნის ხელმძღვანელი, რომ რუსეთი პურის გარეშე დატოვოს“ (ლაპარაკია ხრუშჩოვის ე.წ. დათბობის პერიოდზე. არადა, ამ წლებში სტალინი ქვეყნის მოსახლეობას პურის უფასოდ მიცემას ჰპირდებოდა).**

გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისი საბჭოთა კავშირის ეკონომიკური მდგომარეობის ანალოგიურია თანამედროვე საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა, რომელსაც, როგორი გაქნილი, გათახსირებული და შუბლისძარღვგაწყვეტილი უნდა იყო, გამართლება მოუძებნო. ჩვენი ქვეყნის მთა და ბარი, მყინვარებიც კი სავსეა სიმდიდრით. განუსაზღვრელია საქართველოს მთა-მადნეულის ფასი და მნიშვნელობა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში უქმად იდო და უქმად არის დღესაც. საქართველოს მინერალური სიმდიდრეების შესწავლას ცარიზმის პერიოდში მხოლოდ სპორადული (არამუდმივი, არასაყოველთაო) ხასიათი ჰქონდა. საქართველოს მენშევიკურ მთავრობას კი ამის არც უნარი ჰქონდა და არც შესაძლებლობა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში დაიწყო ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი შესაძლებლობების მეცნიერული გამოკვლევა. დღეს ანეკდოტის დონეზეა სოციალისტური საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ისტორიის თუნდაც გახსენება. იცინეთ, იცინეთ! **„იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის“ და, თუ შენ, ქართველო კაცო, სასაცილოდ გაქვს საქმე, მაშინ, მართლაც, საანეკდოტოდ გვქონია ქვეყანა აწყობილი. იქნებ გულდასმით წაიკითხოთ არცთუ შორეული ჩვენი წარსული ისტორია და შეადაროთ არსებულ ვითარებას.** როგორი ინტესიური და ეფექტიანი იყო ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების შესწავლა, ჩანს თუნდაც იქიდან, რომ მხოლოდ 1940-1945 წწ. მარგანეცის გეოლოგიურმა მარაგმა რამდენიმე ათეული მლნ ტონით მოიმატა. ქვეყნის სიმდიდრეთა კომპლექსურმა შესწავლამ მნიშვნელოვნად გააფართოვა ჩვენი წარმოდგენა საქართველოს იშვიათ სიმდიდრეებზე.

„ქუთაისის ბარიტი თავისი მაღალი ხარისხით ერთადერთია საბჭოთა კავშირში. საბჭოთა კავშირის ქიმიური და ალუმინის მრეწველობის მოთხოვნა შეიძლება დაიფაროს ქუთაისის ბარიტით“ (**ლ. ბერია**, საქ. კ.პ.(ბ) ცკ-ის ანგარიში, 1934 წ.) **ქუთაისის რაიონის ბარიტის პროდუქცია საბჭოთა კავშირის მრეწველობის მოთხოვნის თითქმის 60%-ს ფარავდა. 1911 წლამდე ბარიტის მოპოვება რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე მხოლოდ საქართველოში წარმოებდა, მაგრამ, მაგალითად, 1913 წელს ბარიტის ამოღება ათას ტონასაც ვერ აღწევდა. 1937 წელს ამოღება 1937 წელთან შედარებით 40-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა** („Минеральные ресурсы ССР Грузии“, 1933, გვ.59-75). ბარიტის მნიშვნელოვანი ნაწილის გადამუშავება წარმოებდა ქუთაისის ლითოფონის ქარხანაში. ბარიტი ყველაზე მეტად სჭირდებოდა ლაკ-საღებავების მრეწველობას, მაგრამ, გარდა ამისა, იგი ძვირფასი მასალა იყო ნავთობის, ალუმინის, რეზინის, ქაღალდის, საფეიქრო და ტყავის მრეწველობაში, სოფლის მეურნეობის მავნებლების საწინააღმდეგო მალალაქტიური პრეპარატების წარმოებასა და მედიცინაში. ყოველივე ეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ბარიტს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობისათვის. **მეორე მნიშვნელოვანი წიაღისეული ნედლეულს — დიატომიტს იყენებდნენ საღებავების, მსუბუქი სამშენებლო აგურის (საკედლე მასალის), ულტრამარინის, აკუმულაციის აუზებისა და სხვა წარმოებაში, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა დიატომიტს ჰქონდა ელექტროტექნიკურ წარმოებაში. მაღალეფექტიანი თბო და ბგერაიზოლაციური პროდუქცია, რომელიც წინათ საზღვარგარეთიდან შემოგვქონდა, შესაძლებელი შეიქნა, ჩვენი დიატომიტის ბაზაზე გვეწარმოებინა.** საქართველოს საბადოებს შორის აღსანიშნავია **ქისათიბის (ახალციხიდან 14 კმ-ზე) დიატომიტი,** რომელიც ხარისხით საუკეთესოა და არ ჩამოუვარდებოდა მსოფლიოში განთქმულ ლიმპოკის (აშშ) დიატომიტს. ქისათიბის დიატომიტის ექსპლოატაცია დაიწყო გასული საუკუნის დამლევს, მაგრამ მხოლოდ 1926 წლიდან მოხდა წარმოების პირობების შესამჩნევი გაუმჯობესება. 1927-1937 წლებში დიატომიტის პროდუქცია 6-ჯერ მეტად გაიზარდა. ამიერკავკასია თერმოიზოლაციური მასალების ერთ-ერთი დიდი მომხმარებელი იყო. ეს მასალები განსაკუთრებით საჭირო იყო აზერბაიჯანის ნავთობის საწარმოებლად, შემდეგ — მაცივრების, მეტალურგიული (ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ალავერდის სპილენძსადნობი ქარხანა), ქიმიური მრეწველობისა (სინთეზური კაუჩუკი, კარბიდის ქარხნები) და სარკინიგზო ტრანსპორტისთვის. **საქართველოში არსებობდა ყველა პირობა ეკონომიკურად გამართლებული თერმოიზოლაციის მრეწველობისთვის. ამ წარმოებას შეეძლო მომსახურებოდა არამხოლოდ ამიერკავკასიის, არამედ გროზნოსა და მაიკოპის ნავთობის რაიონებსაც. ქისათიბის დიატომიტისგან დამზადებული თბოიზოლაციური ნაწარმი თავისი ხარისხით საზღვარგარეთის საუკეთესო მარკების სიმაღლეზე იდგა.**

**მათეთრებელი თიხები** საქართველოს სამთო მრეწველობაში საკმაოდ დიდ როლს თამაშობდა. ფლორიდინის ტიპის თიხები გაშრობისა და დაფქვის შემდეგ პირდაპირ გამოიყენებოდა, როგორც მათეთრებელი, გამწმენდი მასალა, ბენტონიტის ტიპის თიხები კი მხოლოდ მჟავეებითა და ტუტეებით დამუშავების შემდეგ გამოიყენებოდა ცხიმეულისა და ზეთების საუცხოო გამწმენდ მასალად. საქართველოში ამგვარი თიხების საბადო ბევრი იყო, მაგრამ ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ასკანის საბადო (ოზურგეთთან ახლოს) გახლდათ. ასკანის თიხა ფართოდ გამოიყენებოდა ქაღალდისა და საუკეთესო ხარისხის საპნის წარმოებაში, აგრეთვე, სამსხმელო საქმეში. გამოყენების დიდი პერსპექტივა ჰქონდა ასკანის თიხას ნავთობისა და კვების მრეწველობაშიც. იმერეთში, სოფელ **გუმბრაში** მოიპოვებდნენ ფლორიდინის ტიპის თიხეას — გუმბრინს, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა ნავთობის გასაწმენდად და მაღალი ხარისხის ზეთების მისაღებად; გუმბრინის მოპოვების საქართველოში 1927 წლიდან შექმნილი იყო მადნის მრეწველობის სრულიად ახალი დარგი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირში. გუმბრინზე მოთხოვნა წლიდან წლამდე იზრდებოდა. მის გადასამუშავებლად საბადოზე აგებული იყო მექანიზებული ქარხანა. დანარჩენი გუმბრინი ნედლეულად იგზავნებოდა ნავთობის ქარხნებში. სადგურ რიონიდან საწარმოსკენ გაყვანილი იყო რკინიგზის 18 კმ-იანი შტო. გუმბრინმა ჩაანაცვლა ფლორიდინის ტიპის თიხა, რომელიც წინათ დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ აშშ-დან, და ჩვენს ქვეყანას რამდენიმე მილიონი მანეთის ვალუტის ეკონომია მისცა. საბჭოთა კავშირის მრეწველობას **ლითოგრაფიული ქვითა** და ანდეზიტით ამარაგებდა საქართველო. ლითოგრაფიული ქვით საბჭოთა კავშირის პოლიგრაფიული მრეწველობა 1932 წლამდე მარაგდებოდა ბავარიიდან (ზოლინჰოფენის ფირმა). ამ ქვის შემოტანაზე ყოველწლიურად მილიონობით მანეთის ვალუტა იხარჯებოდა, ალგეთის ლითოგრაფიული ქვა მთლიანად აკმაყოფილებდა საბჭოთა კავშირის ლითოგრაფიას. ყაზბეგსა და ბაკურიანში ანდეზიტის ამოღების დაწყებამდე (1930-31 წწ.) საბჭოთა კავშირს მჟავაგამძლე მასალები საფრანგეთიდან შემოჰქონდა. სხვადასხვა მჟავის მწარმოებელი ქარხნები, რომლებიც სსრ კავშირის სხვადასხვა კუთხეში აიგო, მოწყობილი იყო ყაზბეგისა და ბაკურიანის ანდეზიტის კოშკებით. ჩვენი ანდეზიტი ძირითადად აკმაყოფილებდა საბჭოთა კავშირის მოთხოვნას მჟავაგამძლე საშენ მასალებზე. საქართველოში აშენებული იყო იშვიათი ლითონების რამდენიმე ახალი საწარმო. მათ შორის კორობის საწარმო (ზემო რაჭაში) მესამე ხუთწლედის დასაწყისიდან უკვე იძლეოდა მოლიბდენის კონცენტრატებს. ზემო რაჭასა და სვანეთში გამოვლენილი იყო **დარიშხანის** ორი დიდი საბადო. ორივე საბადოს ექსპლოატაცია, მათი პერსპექტივები მადნის მაღალი ხარისხისა და უკვე გამოვლენილი მარაგის მოცულობის მიხედვით დიდი იყო. „გამოკვლეულია ვოლფრამისა და სხვა იშვიათი ლითონების საბადოები, რომლებიც განსაკუთრებით ძვირფასია, კერძოდ, ჩვენი თავდაცვითი მრეწველობისთვის“ (კ. ჩარკვიანი). 1935 წლიდან დაიწყო **ოქროს მოპოვება** რამდენიმე ადგილას (ზემო სვანეთი, ბაშკიჩეთის რაიონი და სხვ.). 1946-1950 წლებში კიდევ უფრო გაფართოვდა არამადნეული წიაღისეულისა და მშრალი მიწების საღებავების მოპოვება, გაიყვანეს რკინიგზის შტო ბაკურიანის ანდეზიტის საბადომდე და გადიდდა საერთო ანდეზიტის მოპოვება და დამუშავება.

**მარგანეცის** მოპოვებას საქართველოს სსრ ეკონომიკაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა. ადგილმ- ▶

ჭიათურა



**«დამოუკიდებელი» საქართველოს მთავრობა მენშევიკების გზას დაადგა. მენშევიკების კონსტიტუციაზე დააფუძნეს «დამოუკიდებელი» საქართველოს კონსტიტუცია. მენშევიკებივით ქვეყნის გაქარცვის გზას დაადგნენ და ახლაც გრძელდება საქართველოს გაჩანაგება-გაპარტახება. და, სანამ არ დაემხობა მენშევიკური მთავრობის აჩრდილი საქართველოში, სანამ ილიას მკვლელის სურათს არ ჩამოხსნიან პარლამენტიდან, სანამ ილიას საფლავს მისი მკვლელების საფლავებს არ მოაშორებენ, მანამ ვიქნებით ასეთ და უარეს დღეში**



მარგანეცის გადაზიდვა საბაგირო გზებით ჭიათურაში

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მარგანეცის მოპოვებას საქართველოს სსრ ეკონომიკაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა. ადგილმდებარეობის, მარაგის სიდიდისა და მაღალი ხარისხის გამო, ჭიათურის მარგანეცმა მისი ექსპლოატაციის დაწყებიდანვე მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა და შემდგომშიც, მიუხედავად ბევრი ახალი ძლიერი კონკურენტის (ინდოეთი, ბრაზილია) გამოჩენისა, მსოფლიო მნიშვნელობა შეინარჩუნა.**

## გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისის საბჭოთა კავშირის ეკონომიკური მდგომარეობის ანალოგიურია თანამედროვე საქართველოს ეკონომიკური ვითარება, რომელსაც, როგორი გაქნილი, გათახსირებული და შუბლისძარღვგაწყვეტილი უნდა იყო, გამართლება მოუძებნო. ჩვენი ქვეყნის მთა და ბარი, მყინვარებიც კი სავსეა სიმდიდრით, განუსაზღვრელია საქართველოს მთა-მადნეულის ფასი და მნიშვნელობა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში უქმად იდო და უქმად არის დღესაც

◀ დებარეობის, მარაგის სიდიდისა და მაღალი ხარისხის გამო, ჭიათურის მარგანეცმა მისი ექსპლოატაციის დაწყებიდანვე მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა და შემდგომშიც, მიუხედავად ბევრი ახალი ძლიერი კონკურენტის (ინდოეთი, ბრაზილია) გამოჩენისა, მსოფლიო მნიშვნელობა შეინარჩუნა.

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებამდე მარგანეცის მრეწველობა ბევრი წვრილი, დაქსაქსული საწარმოსგან შედგებოდა. მსხვილ საწარმოთა რაოდენობა მცირე იყო. უცხოელ მსხვილ ექსპორტიორებს მონოპოლიური მდგომარეობა ეკავათ. **ჭიათურის მარგანეცის საბადო 1849 წელს აღმოაჩინეს. მისი ექსპლუატაცია 1879 წელს დაიწყო. ამაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ჩვენს სახელოვან პოეტ აკაკი წერეთელს. 1939 წელს ჭიათურის მარგანეცის წარმოებამ თავისი არსებობის 60 წლისთავი აღნიშნა. მარგანეცზე მოთხოვნის მკვეთრი ზრდა გამოიწვია ფოლადის გამოდნობის ახალი მეთოდის (ბესემერის) შემოღებამ (1855 წ.). ექსპლუატაციის დაწყების პირველ წელს ჭიათურის მაღაროებში დაახლოებით ათასი ტონა მადანი ამოიღეს.** მე-19 საუკუნის 80-იანი და 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი მარგანეცი სხვა ქვეყნებში, ჭიათურის მარგანეცს მსოფლიო ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობა ჰქონდა. მარგანეცის ახალი საბადოების აღმოჩენის შემდეგაც მსოფლიო მოპოვებაში ჭიათურის მარგანეცის ხვედრითი წონა ყოველთვის მაღალი იყო, ხოლო პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში 35-40%-მდე აღწევდა. შემდეგ ეს ხვედრითი წონა განუხრელად მცირდებოდა ისე, რომ 1918 წელს 1,59%-მდე, ხოლო 1921 წლის დასაწყისისათვის ნულამდე ჩამოვიდა. ჭიათურაში ამოღებული მარგანეცის 98% უცხოეთში გაჰქონდათ. 1900-იან წლებში ჭიათურა იძლეოდა მარგანეცის მსოფლიო ექსპორტის 45-50%-ს. მენშევიკების მმართველობის პერიოდში მარგანეცის წლიური ამოღება 125 ათას ტონამდე დაეცა, მისი იმპორტი კი სრულიად შეწყდა. **სწორედ მენშევიკების გზას დაადგა „დამოუკიდებელი“ საქართველოს მთავრობა. მენშევიკების კონსტიტუციაზე დააფუძნეს „დამოუკიდებელი“ საქართველოს კონსტიტუცია. მენშევიკებივით ქვეყნის გაძარცვის გზას დაადგნენ და ახლაც გრძელდება საქართველოს გაჩანაგება-გავერანება. და, სანამ არ დაემხობა მენშევიკური მთავრობის აჩრდილი საქართველოში, სანამ ილიას მკვლელის სურათს არ ჩამოხსნიან პარლამენტიდან, სანამ ილიას საფლავს მისი მკვლელების საფლავებს არ მოაშორებენ, მანამ ვიქნებით ასეთ და უარეს დღეში.** საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორე წლიდანვე მარგანეცის ამოღება განახლდა და ამ პერიოდიდან იგი წლიდან წლამდე მატულობდა. 1925 წელს ჭიათურის შავი ქვის საბადოები კონცესიად გადაეცა **უილიამ ჰარიმანის** (საბჭოთა კავშირში აშშ-ის ელჩის, ავერელ ჰარიმანის, მამა) ამერიკულ ფირმას. კონცესიის მოქმედების პირველ ხანებში მარგანეცის ამოღებამ მოიმატა, მაგრამ კონცესიონერმა არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული არც ერთი პირობა: მადნის გამამდიდრებელი ქარხნის აგება, მაღაროებიდან ქარხნებში მადნის მიტანის მექანიზაცია, ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის ფართოლიანდაგიანად გადაკეთება და სხვ. ამასთანავე, კონცესიონერი ეწეოდა საბადოს მტაცებლურ ექსპლოატაციას — მას არ განუხორციელებია არც ერთი მნიშვნელოვანი კაპიტალური დაბანდება; გარდა ამისა, კონცესიონერმა ჭიათურის მარგანეცს დაუკარგა გასაღების მანამდე განმტკიცებული ბაზრები ევროპაში. ყოველივე ამის გამო მხარეების შეთანხმებით საკონცესიო ხელშეკრულება 1928 წლის აგვისტოში გაუქმდა. ამ მომენტიდან მარგანეცის წარმოება საბჭოთა სახელმწიფომ აიღო ხელში და დაიწყო მარგანეცის წარმოების აღმავლობა. 1928 წელსვე დაიწყო მთელი სამრეწველო რაიონის კაპიტალური რეკონსტრუქცია, წარმოების შეიარაღება თანამედროვე სამთო და სატრანსპორტო ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით. მარგანეცის გადაზიდვაში ურემი საჰაერო-საბაგირო გზებმა და ტრანსპორტერებმა შეცვალეს. სტალინური ხუთწლედის განმავლობაში მარგანეცის მონგრევა მექანიზებული იყო 95%-ით. მაღაროს მიწისქვეშა და ზედაპირის ტრანსპორტი, პროდუქციისა და მასალის გადაზიდვა კი სრულიად მექანიზებული იყო. აშენდა მადნის გამამდიდრებელი რამდენიმე ახალი ქარხანა. მნიშვნელოვნად მოიმატა წარმოებაში ჩაბმული მუშების რაოდენობამ და გამომუშავებული პროდუქციის მოცულობამ. **ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ჩამოყალიბებიდან, ე.ი., 1928 წლიდან 1941 წლის ჩათვლით, მოპოვებულ იქნა 14 მილიონ ტონაზე მეტი პროდუქცია. ეს ოდენობა 49%-ით მეტი იყო იმაზე, რაც 34 წლის განმავლობაში მოიპოვეს. მეორე ხუთწლედის ბოლოს პროდუქციამ 1926 წელთან შედარებით 16-ჯერ მოიმატა.** 1937 წელს მარგანეცის პროდუქციამ 1 650 ათას ტონას მიაღწია. პირველი სტალინური ხუთწლედის შემდეგ სსრ კავშირის ახალშექმნილი მძლავრი მეტალურგია ჭიათურის მარგანეცის უდიდეს მომხმარებლად იქცა. 1934 წლიდან ჭიათური მარგანეცის ექსპორტის წილი შემცირდა. ჩვენი მარგანეცის უდიდესი ნაწილი მშობლიურ მეტალურგიას ხმარდებოდა. მიუხედავად წარმოების თითქმის 100%-ით მექანიზაციისა, მუშების რაოდენობამ წარმოებაში 1941 წელს 1928 წელთან შედარებით 161,5%-ით მოიმატა. ეს წარმოების დიდი ზრდით იყო გამოწვეული. მარგანეცის მრეწველობაში ფართოდ გაიშალა სტახანოვური მოძრაობა და დაიწყო მუშათა მასების ტექნიკური ცოდნის ამაღლება. თითქმის 5-ჯერ მოიმატა 1 მუშის ნამუშევარ კაც/დღეთა რაოდენობამ, საწარმოს ძირითადი ფონდების ღირებულება კი 33-ჯერ გაიზარდა. 1928-დან 1944 წლამდე საწარმოში ოთხჯერ ჩატარდა მუშების ხელფასის მომატება; შემოღებულ იქნა ხელფასის პროგრესულ-პრემიული სისტემა. მუშების ხელფასის საგრძნობი ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო სტახანოვური მოძრაობის საფუძველზე დადგენილი ახალი ნორმების გადაჭარბებით შესრულება. ახალი ხუთწლიანი გეგმით, 1950 წელს ამოიღეს 2 040 ათასი ტონა მარგანეცი, ხოლო 1946-1959 წლებში მომზადდა ჭიათურის საბადოს მარგანეცის მადნის 30 მლნ ტონა მარაგი.




თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში



### მანქანათმშენებლობა

მანქანათმშენებლობის დარგი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შეიქმნა. მის შემადგენლობაში შემიძლია დაგისახელოთ ორ ათეულამდე უაღრესად მნიშვნელოვანი საწარმო, რომელთა შორის განსაკუთრებით მინდა გამოვყო კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი, ორჯონიკიძის სახელობის, 26 კომისრის სახელობისა და კალინინის სახელობის ქარხნები, ლითონკონსტრუქციების, სოფლის მეურნეობის მანქანების, საინსტრუმენტო, ფოლადისა და თუჯის ჩამომსხმელი („ცენტროლიტი“) და ავტოსარემონტო ქარხნები, აგრეთვე, ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა და სხვ.

ლავრენტი ბერიამ ჯერ კიდევ 1934 წელს საქართველოს კპ(ბ) IX ყრილობაზე აღნიშნა, რომ მანქანათმშენებლობას „საქართველოს მრეწველობაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. წვრილი, ნახევრადკუსტარული სარემონტო სახელოსნოებიდან ისინი გარდაიქმნა მსხვილ მანქანათმშენებელ ქარხნებად, რომლებშიც მზადდება ისეთი მანქანები და მოწყობილობები, რომლებიც მანამდე საზღვარგარეთიდან შემოგვქონდა“. *(ლ.ბერია, „საქ. კპ(ბ) ცკ-ის ანგარიში“, 1934 წ., გვ.34).* კიროვის სახელობის ქარხნის ძირითადი დანიშნულება იყო სხვადასხვა ლითონმჭრელი ჩარხის წარმოება. ეს ქარხანა გაერთიანდა 1935 წელს ამუშავებულ თუჯ-ფოლადის ქარხანასთან და ყოველწლიურად რამდენიმე ათას ტონა თუჯისა და ფოლადის სხმულს იძლეოდა. **საქართველოს მანქანათმშენებელ საწარმოთა შორის უძველესი იყო 26 კომისრის სახელობის ქარხანა (ამიერკავკასიის რკინიგზის ყოფილი სახელოსნოები), რომელიც 1921 წელს განახლდა. მის ძირითად პროდუქციას შეადგენდა სოფლის ელექტროფიკაციისთვის საჭირო ჰიდროტურბინები, აგრეთვე, ჩაის, აბრეშუმისა და საფეიქრო ფაბრიკების მოწყობილობა, რომელიც საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებშიც იგზავნებოდა.**

**ორჯონიკიძის სახელობის ქარხანას** რეკონსტრუქცია ჩაუტარდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ და, ძირითადად, უშვებდა ღვინის მრეწველობისთვის საჭირო რთულ მოწყობილობებს, რომლებიც მანამდე საფრანგეთიდან შემოგვქონდა. ამ პროფილის ქარხანა ერთადერთი იყო საბჭოთა კავშირში. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა, სხვა ანალოგიურ საწარმოთა მსგავსად, სამამულო ომის პერიოდში და განსაკუთრებით კავკასიის დაცვის დღეებში სამხედრო პროდუქციას უშვებდა; მის მიერ შექმნილი საბრძოლო ტექნიკა საამქროებიდან პირდაპირ ცეცხლის ხაზზე მიდიოდა. ომის დასრულებიდან მალევე იგი კვლავ მეღვინეობის მოწყობილობის ქარხანა გახდა, რომელიც თავისი პროდუქციით ამარაგებდა როგორც საქართველოს, ასევე, მოლდავეთის, ყირიმის, ჩრდილოეთ კავკასიის, უკრაინისა და საბჭოთა კავშირის მეღვინეობის სხვა რაიონებს.

**კალინინის სახელობის** თბილისის მექანიკური ქარხანა ამზადებდა ელექტრომხურებელ ხელსაწყოებს, ელექტრომშემდუღებელ აპარატებს, ლურსმნებს, ლითონის საწოლებს, საყალიბო მანქანებს, მხეხავ ჩარხებს. **ლითონკონსტრუქციების ქარხანა** სპეციალიზებული იყო ცისტერნების, აუზების, ელექტროგადამცემი ხაზების, ანძებისა და სხვადასხვა ნაგებობის დამზადებაზე. ჩვენი მანქანათმშენებლობის საწარმოებმა გაათავისუფლა საბჭოთა კავშირი მთელი რიგი მანქანებისა და ჩარხების იმპორტისგან. საქართველოს მანქანათმშენებლობის ქარხნებში პირველად დაინერგა ტექნიკურ-სამრეწველო ფინანსური გეგმა. სატრანსპორტო სფეროს განვითარებასთან ერთად საქართველოში საფუძველი ჩაეყარა **საავტომობილო მრეწველობას.** ჯერ კიდევ სამამულო ომამდე თბილისში აშენდა ავტოსარემონტო სახელოსნოების ქსელი. ახალი ხუთწლიანი გეგმით ქუთაისში აშენდა საავტომობილო ქარხანა, რომელმაც ხუთწლედის დამამთავრებელ (1950) წელს ქვეყანას მისცა 15 ათასი ავტომობილი. ასევე აშენდა ორთქლმავლების სარემონტო ქარხანა. გეგმით გათვალისწინებულ დროში მოხდა მცირე ჰიდროტურბინების, ჩაისა და მეღვინეობის მრეწველობის მოწყობილობათა ახალი საწარმოების შექმნა, საწონ-საზომი მოწყობილობისა და სიმხურვალის გამძლე ჭურჭლის ქარხნის აშენება, საფეიქრო მრეწველობის მოწყობილობის წარმოების აღდგენა.




## ყურადღება!

„ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნ „სტალინის“ მე-6 ტომი, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის შესახებ.

«მდიდარი» და «ღარიბი»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროპაში მუქთა ფული დამთავრდა. ახლა ოცნებების ასასრულებლად ყველას მოუწევს თანხის სრულად გადახდა, ხოლო ინტეგრაციის გაძლიერება საერთო ევროპული პროექტის შიგნით შესაძლებელი იქნება მხოლოდ ისედაც ღარიბი პერიფერიის ეკონომიკური ექსპლუატაციის გაძლიერებით.**

# აღმოსავლეთ ევროპისთვის მუქთა ფულის ეპოქა დასრულდა

## აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის ზეიმი დასრულდა. დადგა დროება, როცა ევროკავშირი, მშობელი დედა კი არა, დედინაცვალია

**15 წლის განმავლობაში კოჰეზიის ფონდების (ამ ფონდების ამოცანა იყო ეკონომიური და სოციალური განსხვავებების გათანაბრება ევროპული თანამეგობრობის ქვეყნებს შორის. ასეთი ფონდები შექმნილია გარემოს დაცვისა და ტრანსპორტის მსხვილმასშტაბიანი პროექტების დასაფინანსებლად — გ.გ.) არსებობამ ევროკავშირში საინტერესო ეფექტი გამოიწვია.**

სხვისი ფულით ცხოვრების იდეამ არა მხოლოდ ხორცი შეისხა, არამედ შური გამოიწვია „ბებერ ევროპაში". ევროკავშირის დოტაციების ერთმანეთში გამყოფი **ჩეხეთის, პოლონეთის, უნგრეთისა** და **ბალტიისპირეთის ქვეყნების** პოლიტიკური და ფინანსური ელიტების კმაყოფილი სახეების შემხედვარე **საბერძნეთის, პორტუგალიისა** და **ესპანეთის** ელიტებმაც მოისურვეს, ნამცხვრის ნაჭერი დაეთრიათ. **თვით იტალიელებმაც კი გადაწყვიტეს, რომ თავიანთი ქვეყნის ევროკავშირის მესამე ეკონომიკად წარმოჩენა, სხვების თვალში ნაცრის შეყრის თვალსაზრისით. შესანიშნავია, მაგრამ, როცა ფსონზე დიდძალი ფული დევს, სჯობს, გაიხსენო ქვეყნის ბიუჯეტის პრობლემები, რომლებიც იტალიას უფრო მეტი აქვს, ვიდრე ესპანეთსა და საბერძნეთს ერთად,** მაგრამ აი უბედურება — კოვიდპანდემიით გამოწვეულ „კრიზიკულ შედეგებამდე" და ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლის შემდეგ „გათანაბრების ფონდების" საშემოსავლო ნაწილი მხოლოდ 350 მლრდ ევროს შეადგენდა. ასეთი შემოსავალი უდარდელი ცხოვრებისთვის ყველა მსურველს ნამდვილად არ ეყოფა.

რისთვის დასჭირდა ბრიუსელს არჩევანის გაკეთება — გაეგრძელებინა აღმოსავლეთ ევროპის უნაყოფო დაფინანსება სამხრეთ ევროპის ქვეყნების ცენტრიდანული ტენდენციების გაძლიერების რისკის ფასად ან შეეწყვიტა „აღმოსავლეთის მიმართულების" დაფინანსება ადგილობრივი ელიტების აღშფოთების გაძლიერების ფონზე, თუმცა იმის გაცნობიერებით, რომ ისინი წყალქვეშა ნავიდან ვერსად გაიქცევიან?

ასე გაჩნდა შთაბეჭდილება იმის შესახებ, რომ **ევროკავშირი ფინანსურ მხარდაჭერას შეუწყვეტს აღმოსავლეთ ევროპას და 2021-2027 წლების საბიუჯეტო პერიოდში კოჰეზიის ფონდების გასავლებს მიმართავს სამხრეთ ევროპისკენ, ხოლო პოლონეთსა და სხვებს, „რომლებიც აღმოსავლეთში არიან", დოტაციები შეუმცირდებათ 28-40%-ით. და ეს საუკეთესო შემთხვევაში, რადგან ევროკავშირის დონორი ქვეყნების მთავრობაში აქტიურად საუბრობენ კოჰეზიის პროგრამის საერთოდ გაუქმებაზე, ვინაიდან ის აშკარად ვერ მუშაობს — „ღარიბი" და „მდიდარი" ქვეყნების ეკონომიკების გათანაბრება ვერ ხერხდება.**

ავიღოთ, მაგალითად, **პოლონეთი. 15 წლის განმავლობაში ვარშავამ 120 მლრდ ევრო „მუქთა" ფული მიიღო. 556 მლრდ ევროს მშპ-ს მქონე ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანდ თანხად შეიძლება არ მოგეჩვენოთ მშპ-ს 1,43% წელიწადში, მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ პოლონეთის ეკონომიკის ზრდა 2001 წელს 1,3 პროცენტს შეადგენდა, 2013 წელს — 1,1%-ს, 2006-2020 წლებში კი წლიური ზრდა 2,23%-ის ფარგლებში იყო, გამოდის, პოლონეთის ეკონომიკის განვითარებას დოტაციები 50%-ზე მეტით უზრუნველყოფდა.**

და სად არის შედეგი? ის, უბრალოდ, არ არის! მატერიალური კეთილდღეობის ევროპულ დონეს პოლონეთი ნაბიჯითაც არ მიახლოებია. ისევე, როგორც დანარჩენი აღმოსავლეთევროპული ლიმიტროფები (ერთობა სახელმწიფოებისა, რომლებიც შეიქმნა 1917 წელს რუსეთის იმპერიაში შემავალ ტერიტორიებზე, შემდეგ 1990-იან წლებში სსრკ-ის — ლ.მ.). ისინი ერთობლივად ცდილობენ ორ სკამზე დაჯდომას. ერთი მხრივ, **საბერძნეთთან, პორტუგალიასა და მალტასთან ერთად „დარაზმულთა ჯგუფის" შექმნით ძლიერად ზემოქმედებენ დონორებზე „ევროინტეგრაციის გაღრმავების" დაფინანსების შესანარჩუნებლად; მეორე მხრივ, გააფთრებით ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ მათი ეკონომიკები იზრდება,** უფრო მეტიც — სრულიად დამოუკიდებლად იზრდება, კოჰეზიის პროგრამები კი, უბრალოდ, სასიამოვნო ბონუსებია. ამ სურათში ცუდად „ჯდება" მათი ბიუჯეტების დეფიციტი, რომელმაც ბოლო 7 წლის განმავლობაში 7%-ს მიაღწია, პოლონეთში კი — 7,2%-ს. არადა, ევროპული წესებით, ბიუჯეტის დეფიციტი 2%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

ამ ისტერიკით მშვენივრად ისარგებლა „ბრიუსელის დამპყრობმა" მმართველთა ახალმა ლიბერალურმა გუნდმა, რომლის შემადგენლობაშია ევროკომისიის თავმჯდომარე ურსულა ფონ დერ ლაიენი, ევროსაბჭოს თავმჯდომარე შარლ მიშელი და ევროკავშირის საგარეო საქმეთა უმაღლესი წარმომადგენელი ჟოზეპ ბირელი. მათ თქვეს, რომ ფული არის, ევროკავშირს ყოველთვის შეუძლია ბაზარზე გაიტანოს ობლიგაციები, რომელთა გაყიდვით მიღებული შემოსავალი შეიძლება მოხმარდეს „სუსტების" ფინანსურ მხარდაჭერას.



ურსულა ფონ დერ ლაიენი და შარლ მიშელი

**მუქთა ფულის ევროპელმა მოყვარულებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი საერთო ევროპული პროგრამის — «ევროკავშირის აღდგენის ფონდის» — რეალიზაციას, თუმცა, რატომ არ უნდა დაეჭირათ, თუკი პოლონეთისთვის, ლიეტუვისთვის, ლატვიისა და ესტონეთისთვის დოტაციებმა 35%-ით მოიმატა; კერძოდ, ბალტიისპირეთის სამმა რესპუბლიკამ 7 წლის განმავლობაში 1,15 მლრდ ევრო მიიღო დამატებით**



მუქთა ფულის ევროპელმა მოყვარულებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი საერთო ევროპული პროგრამის — „ევროკავშირის აღდგენის ფონდის" — რეალიზაციას. თუმცა, რატომ არ უნდა დაეჭირათ, თუკი პოლონეთისთვის, ლიეტუვისთვის, ლატვიისა და ესტონეთისთვის დოტაციებმა 35%-ით მოიმატა; კერძოდ, ბალტიისპირეთის სამმა რესპუბლიკამ 7 წლის განმავლობაში 1,15 მლრდ ევრო მიიღო დამატებით?

და მხოლოდ **ახლა, როცა ყველა პროცედურა შეთანხმებულია და საბოლოოდ დამტკიცებული, ევროკომისიამ „რომანტიკოსებსა და მეოცნებეებს" განუმარტა, რომ ფული, რა თქმა უნდა, იქნება, მაგრამ არა მუქთა. პირველ რიგში „ევროკავშირის აღდგენის ფონდი" უნდა შეივსოს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ახალი გადასახადების შემოღებით, უწინარესად — „ეკოლოგიური ხასიათის" გადასახადების; მეორე — გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები დაფარავს ფონდისთვის საჭირო ფინანსების მხოლოდ მესამედს. დანარჩენის მოპოვება უნდა მოხდეს ბაზარზე ევროობლიგაციების გატანით, ანუ ევროპის ფინანსურ ბაზრებზე ვალის აღებით.**

შესაბამისად, მოუწევთ ფულის დაბრუნება, ე.ი., „გაჭირვებულთათვის" ეკონომიკური დახმარება გაფორმდება მკაცრად ხანგრძლივვადიანი კრედიტების სახით მიმღები ქვეყნების მთავრობების გაკონტროლებით.

საერთოდ კი, ევროპაში მუქთა ფული დამთავრდა. ახლა ოცნებების ასასრულებლად ყველას მოუწევს თანხის სრულად გადახდა, ხოლო ინტეგრაციის გაძლიერება საერთო ევროპული პროექტის შიგნით შესაძლებელი იქნება მხოლოდ ისედაც ღარიბი პერიფერიის ეკონომიკური ექსპლუატაციის გაძლიერებით.

ასეთ პერსპექტივას კარგად აცნობიერებენ აღმოსავლეთ ევროპის ლიმიტროფები, მაგრამ მას ჯიუტად არ აქცევენ ყურადღებას. კონკრეტულად ახლა ბუღალტრული ინდიკატური ეკონომიკური მაჩვენებლები ზრდაზე მიუთითებს, შედეგები კი იქნება 7-8 წლის შემდეგ, როდესაც შტურვალთან ამჟამად მყოფი ადამიანები საპატიო პენსიაზე იქნებიან და დანანებით იტყვიან, რომ შემცვლელებმა „მათი ცხოვრების საქმე" გააფუჭეს.

ნებისმიერ შემთხვევაში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის ზეიმი დასრულდა. დადგა დროება, როცა ევროკავშირი, მშობელი დედა კი არა, დედინაცვალია.

**russtrat.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძე**

**ევროკავშირი ფინანსურ მხარდაჭერას შეუწყვეტს აღმოსავლეთ ევროპას და 2021-2027 წლების საბიუჯეტო პერიოდში კოჰეზიის ფონდების გასავლებს მიმართავს სამხრეთ ევროპისკენ, ხოლო პოლონეთსა და სხვებს, «რომლებიც აღმოსავლეთში არიან», დოტაციები შეუმცირდებათ 28-40%-ით. და ეს საუკეთესო შემთხვევაში, რადგან ევროკავშირის დონორი ქვეყნების მთავრობებში აქტიურად საუბრობენ კოჰეზიის პროგრამის საერთოდ გაუქმებაზე, ვინაიდან ის აშკარად ვერ მუშაობს — «ღარიბი» და «მდიდარი» ქვეყნების ეკონომიკების გათანაბრება ვერ ხერხდება**



**ხმამაღალი განცხადებები „დიად ევროპულ ოჯახზე“ ცარიელ სიტყვებად დარჩა, როგორც კი გაჩნდა ახალი ვირუსის გავრცელების შიში. ერთი ქვეყნისთვის განკუთვნილ მედიკამენტებს ევროკავშირელი მეზობლები იტაცებდნენ, ევროკავშირის წევრები კრძალავდნენ წამლებისა და დაცვის ინდივიდუალური საშუალებების ექსპორტს, ცალმხრივად ხურავდნენ საზღვრებს, აჩერებდნენ ვაჭრობას და ა.შ. იტალიას, მაგალითად, არავინ დახმარებია პანდემიის დაწყებიდან რამდენიმე კვირის განმავლობაში.**

ევრო-ბარომეტრი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევროკავშირი, როგორც შერყეული ნეოლიბერალური ტირანია

# «დასასრულს ვუახლოვდებით!»

**ევროპარლამენტის სტატისტიკური სამსახურის — ევრობარომეტრის — ახალი კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ევროპელები უკმაყოფილონი არიან ევროკავშირის დაწესებულებების მუშაობით.**

ევროკავშირის მოქალაქეების ნახევარზე ნაკლები (48%) ევროკავშირის მუშაობას დადებითად აფასებს; გამოკითხულთა 74%-ის აზრით, ეკონომიკურ კრიზისზე პასუხისმგებლობა ევროკავშირს უნდა დაეკისროს.

ევროპარლამენტის გამოკითხვები, როგორც წესი, ანგაჟირებული ხასიათისაა. სინამდვილეში ევროკავშირის მიმართ მათი მოქალაქეების დამოკიდებულება კიდევ უფრო უარყოფითია.

**ხმამაღალი განცხადებები „დიად ევროპულ ოჯახზე“ ცარიელ სიტყვებად დარჩა, როგორც კი გაჩნდა ახალი ვირუსის გავრცელების შიში. ერთი ქვეყნისთვის განკუთვნილ მედიკამენტებს ევროკავშირელი მეზობლები იტაცებდნენ, ევროკავშირის წევრები კრძალავდნენ წამლებისა და დაცვის ინდივიდუალური საშუალებების ექსპორტს, ცალმხრივად ხურავდნენ საზღვრებს, აჩერებდნენ ვაჭრობას და ა.შ. იტალიას, მაგალითად, არავინ დახმარებია პანდემიის დაწყებიდან რამდენიმე კვირის განმავლობაში.** ევროკავშირის პირველი ფინანსური პაკეტი შეჩერდა პოლიტიკური ვაჭრობის გამო, როცა ეკონომიკის დარგები პარალიზებული იყო, მილიონობით ადამიანი კი უმუშევარი დარჩა.

ევროპის ბევრ ქვეყანაში გახშირდა კარანტინის საწინააღმდეგო აქციები. ევროპაში შესამჩნევად იცვლება პოლიტიკური განწყობები, საზოგადოება სულ უფრო მეტად არ მალავს უკმაყოფილებას ევროკავშირის მიმართ.

ცოტა ხნის წინათ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, **იტალიელთა 42%** მხარს უჭერს ქვეყნის გასვლას ევროკავშირიდან (2018 წლის ნოემბერში მათი რაოდენობა 26% იყო).

**საფრანგეთში** 10-დან 6 ადამიანი „არ ენდობა“ ბრიუსელს. The Washington Post-ის აზრით, დიდი ბრიტანეთის კვალდაკვალ ევროკავშირიდან შეიძლება გავიდეს **შვედეთი,** რომელიც ევროპის ქვეყნებს შორის ლიდერია მოსახლეობის ერთ სულზე მიღებული მიგრანტების რაოდენობით. **დანიელებმა** ჯერ კიდევ 2015 წელს ჩატარებულ რეფერენდუმში ხმა მისცეს ევროკავშირში შემდგომი ინტეგრაციის წინააღმდეგ (რეფერენდუმში მონაწილეთა 53% წინააღმდეგი იყო).

ამის შემდეგ დანიამ თავისი საზღვრების გაკონტროლების უფლება წაართვა ევროკავშირს. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების თანახმად, Brexit-ის შემდეგ ევროკავშირიდან გასვლის მომხრეა **ნიდერლანდელთა** უმრავლესობაც.

მთავარი ევროსკეპტიკოსები კი ფრანგები არიან. გამოკითხული ფრანგების 61% უარყოფითად აფასებს ევროკავშირს. ცნობილმა ფრანგმა ფილოსოფოსმა **მიშელ ონფრემ** ასე დაახასიათა ევროკავშირის მდგომარეობა: **„მაასტრიხტის იმპერია (ევროკავშირი) წარმოადგენს ნეოლიბერალურ ტირანიას, რომელიც ავტორიტარული და ბიუროკრატიული კანონების გამოყენებით ევროპის ხალხებს თავს ახვევს ზეეროვნულ კანონებს... თუ უწინ დემოკრატიის მომხრეები უფრთხოდნენ „უმრავლესობის ტირანიას“, ახლა მაასტრიხტის სახელმწიფო ახალ მოდელს ქმნის — „უმცირესობის ტირანიას“.**

„ევროპის ტრადიციული კლასები მსხვერპლად არიან მიტანილი ლიბერალურ-საბაზრო იდეოლოგიისა და უმცირესობის ინტერესების საკურთხეველზე. ახლა უკვე ცხადია, რომ მაასტრიხტის ყველა დაპირება (სამუშაო ადგილები ყველასთვის, მშვიდობა, ეკონომიკური ზრდა და ა.შ.) ტყუილი იყო. ევროპაში დღითიდღე მატულობს სოციალური უთანასწორობა, საშუალო კლასი ღატაკდება, მდიდრები კიდევ უფრო მდიდრდებიან. საბაზრო ეკონომიკამ გაანადგურა სოციალური სახელმწიფოს საფუძვლები: არმია, სკოლა, ჯანმრთელობის დაცვა, მოქალაქეთა ნებისმიერ პროტესტს ნეოლიბერალური მედია შოვინიზმად და ნეონაციზმად წარმოაჩენს“, — ასკვნის ონფრე და დასძენს, რომ ასეთი კავშირი აუცილებლად დაიშლება.




„პანდემიისგან დაცვის საბაბით“ დაზიანებული ეკონომიკების აღსადგენად ბრიუსელმა 750 მლრდ ევრო გამოყო, ოღონდ ერთი პირობით: გამოყოფილი თანხის 30% უნდა მოხმარებოდა „მწვანე ენერგიის“ განვითარებას“. ეკონომიკის აღსადგენი ფონდისთვის ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოიმატებს გადასახადები, მაგრამ ექსპერტები დარწმუნებულნი არ არიან, რომ მაღალი გადასახადები ხელს შეუწყობს ეკონომიკის გაჯანსაღებას.




**„ევროკავშირი, ევროპის პარლამენტი და ზოგიერთი მთავრობა თვლიან, რომ შეუძლიათ, ძველი რეცეპტებითა და ტრიუკებით გაუმკლავდნენ პრობლემას. ამასთანავე, მათ ავიწყდებათ, რომ ფულის ყველაზე სანდო წყარო არის არა ევროპის ცენტრალური ბანკის საბეჭდი დაზგა, არამედ ეფექტიანი ეკონომიკა, რომელსაც ხელს ვერ შეუშლიან ბიუროკრატები“,** — წერს Deutshe Wirschatts Nachrichten-ი. ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლის შემდეგ ევროპული კავშირის ერზია გრძელდება. ლაპარაკი იმის შესახებ, რომ კორონავირუსის პირველი ტალღის შემდეგ წამოვა მეორე, მესამე და მომდევნო ტალღები, რომლებიც მხოლოდ აძლიერებს ნევროზულობას. არავინ იცის, რა ხდება და როდის დასრულდება ეს ყველაფერი.




„ძველ წესრიგს სიკვდილი არ უნდა და უკვე რამდენიმეჯერ დაამტკიცა, რომ სიცოცხლეს ებღაუჭება, — წერს Le Figaro-ს მიმომხილველი **კორალ დელომი.** — მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ დასასრულს ვუახლოვდებით, ევროკავშირის დასასრულს და იმას, რასაც ის საკუთარ თავში განასახიერებს — ნეოლიბერალურ გლობალიზაციას“.

**fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**




**ცნობილმა ფრანგმა ფილოსოფოსმა მიშელ ონფრემ ასე დაახასიათა ევროკავშირის მდგომარეობა: «მაასტრიხტის იმპერია (ევროკავშირი) წარმოადგენს ნეოლიბერალურ ტირანიას, რომელიც ავტორიტარული და ბიუროკრატიული კანონების გამოყენებით ევროპის ხალხებს თავს ახვევს ზეეროვნულ კანონებს... თუ უწინ დემოკრატიის მომხრეები უფრთხოდნენ «უმრავლესობის ტირანიას», ახლა მაასტრიხტის სახელმწიფო ახალ მოდელს ქმნის — «უმცირესობის ტირანიას»**

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ოცნების“ ხელისუფლებამ 9 წლის განმავლობაში ისიც ვერ მოახერხა, რომ ევროკავშირისა და სხვა პარტნიორებისთვის მიეწოდებინა სიმართლე იმაზე, რაც „ნაცმოძრაობის“ მმართველობის პერიოდში ხდებოდა საქართველოში. მათ ისიც კი არ გააკეთეს, რომ გამჟღავნებულიყო სააკაშვილის მმართველობის ფაშისტური სტილი, თუნდაც იმიტომ, რომ ადამიანებს სცოდნოდათ არა მხოლოდ ის, რაც ციხეებში ხდებოდა, არამედ ის, რაც ციხის გარეთ იყო.**

# «რაც მოგივა დავითაო...»

**ეს ანდაზა, საუკუნეებია, თაობიდან თაობას გადაეცემა. ამის მიუხედავად, ქართველებმა მაინც ვერ გავითავისეთ. ბედისწერაა, ალბათ, ისიც, რომ სხვა ქვეყნის სამსახურში გენიოსები და წარმატებულები ვართ, საკუთარ ქვეყანაში კი — უქკუოები და ხელმოცარულები. გვეამაყება, რომ მსოფლიოში ყველაზე დიდი იმპერიის შემქმნელი ქართველი იყო, საკუთარ ქვეყანაში კი... ტერიტორიების დამკარგავები, მოქიშპეები, შურიანები და.... ოცდახუთსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ქვეყანაში ვერ ვისწავლეთ თანაცხოვრება, ვერ ჩამოვყალიბდით ერად. სიტყვა „ქართველი“ ვერ გახდა კრებსითობის სინონიმი. ცალ-ცალკე ყველა ბრძენია, ერთად კი... უმართავი, შეურიგებელი ბრბო?! არადა, მსოფლიო რენესანსის სათავეებთან ვიდექით — დასტური „ვეფხისტყაოსანი“ და მისი გენიალური ავტორია.**


კოაბიტაციის დასაწყისი

სირცხვილია დღევანდელი საქართველო. ხელისუფლებისთვის ბრძოლამ დაგვავიწყა მთავარი — სამშობლო, განგების მიერ ბოძებული სამოთხისდარი სიკეთე. ასეთი სიმდიდრის პატრონები მსოფლიოს შარაგზებზე ხელგაწვდილი ვდგავართ და სხვისგან ველოდებით წყალობას. რა გვემართება? რამ დაგვაგლახავა, ვინ წაგვართვა სიბრძნე და გონი, ასეთი წარმატებით ვინ გვებრძვის?! გეტყვით, ბატონებო: უპირველეს ყოვლისა, საკუთარი „მე“, ყველა მცნებაზე მაღლა რომ დაგვიყენებია. ალბათ, ამიტომაც ვერ ვიყენებთ იმ სიკეთეს, რომელიც გვაქვს. **მთავარ საქმედ ქართველებმა „პოლიტიკოსობა“ გავიხადეთ, შედეგად კი მივიღეთ უკონტროლო, საკუთარ ინტერესებზე ორიენტირებული, ოფიციალურად რეგისტრირებული 200-მდე გაერთიანება, რომლებმაც პოლიტიკური სტატუსი მოიპოვეს და, აქედან გამომდინარე, ხელშეუხებლობაც. არავინ იცის მათი რაოდენობა, რა განათლება აქვთ, რა გაუკეთებიათ, რით არსებობენ, რა მიზნით გაერთიანდნენ და, საერთოდ, რას წარმოადგენენ. თვითონ კი კარგად იციან კონსტიტუციით მინიჭებული თავიანთი უკონტროლო უფლებები:** რომ შეუძლიათ მიტინგების ჩატარება, გზების გადაკეტვა, სახელისუფლო ობიექტებთან კარვების გაშლა, ტერიტორიის წაბილწვა, ყველაფრის ლაპარაკი — მათ შორის, ხელისუფლების დამხობის, სახელმწიფო გადატრიალების მოწოდებაც და ამისთვის მათ არავინ დასჯის! პირიქით, პოლიცია დაიცავს, მედიკოსები მობილიზებულნი იქნებიან და ა.შ.

ვინ მისცა მათ ამდენის უფლება? — კონსტიტუციამ, რომელიც დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული ყველაზე ძლიერი დოკუმენტია! და რა არის კონსტიტუცია? — ადამიანების უფლებების დაცვა, რომელიც გულისხმობს: „ვისაც რა უნდა, ის აკეთოს და ილაპარაკოს“. ამ პრინციპების შესრულებას კი მკაცრად აკონტროლებენ უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები და საერთაშორისო დონის პოლიტიკური გაერთიანებები, ევროსაბჭო და მისი სტრუქტურები. სამწუხაროდ, **საქართველო ასეთი დემოკრატიისთვის მზად არ იყო და ვერ გაითავისა თუნდაც ის, რატომ უნდა უყვარდეს და სცემდეს პატივს გაუკუღმართებული ორიენტაციის ადამიანებს, რატომ უნდა მოითმინოს ქუჩების გადაკეტვა-დაბინძურება და კიდევ ბევრი რამ.** არ მგონია, ვინმეს მოსწონებოდა ის უაზრო და სამარცხვინო კინკლაობა, რომელიც პარლამენტში **მელიასა** და **კვირიკაშვილს** შორის მოხდა და რომელსაც საქართველო პირდაპირ ეთერში უყურებდა. მოაზროვნე ქართველებო, საკუთარი თავის შეგვრცხვა, როდესაც ჩვენი პრემიერი გაბანძებული ვიხილეთ, რომელმაც მხოლოდ ის მოახერხა, რომ „კეთილები“ მოუკითხა მელიას. უფრო სამარცხვინო კი ის იყო, რომ ქვეყნის პირველი პირის ირგვლივ მობორიალე მინისტრებს შორის არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც პრემიერს დაიცავდა. გაგვაკვირვა იმანაც, რომ პროკურატურამ თვალი დახუჭა ამ ამაზრზენ და სამარცხვინო ფაქტზე. **გათამამებულმა მელიამ (რომელიც საკმაოდ მოტივირებული და მტკიცე ხასიათისაა), როდესაც ხელისუფლების სისუსტე დაინახა, მორიგი სიურპრიზი შემოგვთავაზა: ე.წ. გავრილოვის ღამეს პარლამენტთან თავმოყრილ, კეტებითა და ქვებით შეიარაღებულ მასას წარუძღვა და პარლამენტსაც აიღებდა, რომ არა პოლიციელების სიმტკიცე. სამწუხაროდ, კანონის დამცველებს ხელისუფლებამ თავდადება იმით „დაუფასა“, რომ არასამთავრობოების შიშით პოლიციელების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა (როგორი ყოჩაღი ხელისუფლება გვყავს!).** საქმე აღიძრა მელიას წინააღმდეგაც, მაგრამ ეს უფრო „მობოდიშებას“ ჰგავდა: პროკურატურიდან შინ ეწვივნენ და დიდი მოწიწებით ხელზე სამაჯური დაუმაგრეს, შემდეგ კი მორცხვი ღიმილით დატოვეს

**მთავარ საქმედ ქართველებმა «პოლიტიკოსობა» გავიხადეთ, შედეგად კი მივიღეთ უკონტროლო, საკუთარ ინტერესებზე ორიენტირებული, ოფიციალურად რეგისტრირებული 200-მდე გაერთიანება, რომლებმაც პოლიტიკური სტატუსი მოიპოვეს და, აქედან გამომდინარე, ხელშეუხებლობაც. არავინ იცის მათი რაოდენობა, რა განათლება აქვთ, რა გაუკეთებიათ, რით არსებობენ, რა მიზნით გაერთიანდნენ და, საერთოდ, რას წარმოადგენენ. თვითონ კი კარგად იციან კონსტიტუციით მინიჭებული თავიანთი უკონტროლო უფლებები**

მისი სახლი. მელიამ უმნიშვნელო საჯარიმო თანხა გადაიხადა და დემონსტრაციულად დაიწყო პარლამენტის წინ სეირნობა, თან იმუქრებოდა: „გაბედონ და დამიჭირონო“.

ვერ გაბედეს. ბუზიც კი ვერ აუფრინეს! გათამამებულმა, ერთ-ერთ მიტინგზე ის სამაჯურიც მოისროლა და დააყოლა: ესენი ჩემი დამპატიმრებლები არ არიანო. სხვათა შორის, ზუსტად გათვალა — ხელისუფლებიდან ჩამიჩუმიც კი არ ისმოდა. შეეშინდათ და იმიტომ. ვისი? — არასამთავრობოების. ამ გაუგებრობისა და პანდემიის პირობებში საპარლამენტო არჩევნებიც ჩატარდა. არჩევნებზე ამომრჩეველთა რეკორდული რაოდენობა მივიდა. ზომიერი უპირატესობით „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა — 90 პარლამენტარით. ოპოზიციამ კი, ჯამში, 60 დეპუტატის მანდატი მიიღო (რეკორდული მაჩვენებელი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში). ხალხი დამშვიდდა, ზოგიერთი გულწრფელად მიესალმა იმას, რომ მეათე მოწვევის პარლამენტში რვა ოპოზიციური პარტია შევიდა, მოაზროვნე ქართველებში კი გაჩნდა მოსაზრება, რომ ეს პარლამენტი ვერ იქნებოდა წარმატებული... ამასობაში, **ნათელაშვილის** ფანჩატურში შეკრებილი ოპოზიცია მზაკვრულ, სამარცხვინო გეგმას ამზადებდა. ოპოზიციონერებმა ერთხმად განაცხადეს, რომ ჩატარებული არჩევნები არის ტოტალურად გაყალბებული, რომ მათ „ხმები მოპარეს“ და ამიტომ ისინი მეათე მოწვევის პარლამენტში არ შევლენ და ბრძოლას ქუჩაში გააგრძელებენ. იმავე საღამოს გვარამიას ტელევიზიაში, შესაბამის მემორანდუმსაც მოაწერეს ხელი. იქიდან პარლამენტის წინ, აბობოქრებულ მასასთან გავიდნენ, სადაც **მელიამ იტალიელი დუჩეს მსგავსად ხელი დასავლეთისკენ გაიშვირა და ხალხს მოუწოდა, ცესკოს ოფისის ბლოკირებისკენ. „იმ შენობიდან, არავინ უნდა გამოვიდეს და არავინ უნდა შევიდეს!“ — მრისხანედ ბრძანა მან. გაოცებული ქართველები კი ტელეეკრანზე ვადევნებდით თვალს, როგორ თარეშობდნენ მეამბოხეები საარჩევნო კომისიის ტერიტორიაზე, ანგრევდნენ ღობეებს, ისროდნენ ქვებს, მუქარისშემცველ ლოზუნგებს და ა.შ. ხელისუფლებას გაუჭირდა ვითარებაში გარკვევა; ოპოზიციის მიერ თავის მართლების მდგომარეობაში ჩაყენებული, ამაოდ ეძებდა გამოსავალს. არც „ოცნების“ წევრები და მომხრეები ჩანდნენ.** სამთავრობო ტელევიზიის ეთერში, ძირითადად, ერთი და იგივე დეპუტატები გამოდიოდნენ. მათი გამოსვლები ზოგჯერ კორექტული, ზოგჯერ არგუმენტირებულიც იყო, მაგრამ ამან მათი ამომრჩევლები კიდევ უფრო გააბრაზა. „უნიათოები“, — ამბობდნენ ადამიანები მათზე, არ მოსწონდათ ის შემრიგებლური პოზიცია, რომელიც აირჩია „ოცნებამ“ და, ალბათ, მართლებიც იყვნენ. **ბობოქარ ოპოზიციას კი მხარში არასამთავრობოები, ინტრიგებში გამობრძმედილი ჟურნალისტები, განაწყენებული მოქალაქეები, ფულზე გაყიდული მედროვეები და, საზოგადოების გასაკვირად, „ოცნებაზე“ განაწყენებული „ოცნებისტები“ დაუდგნენ. თითქმის ყოველ საღამოს, ტელეეკრანებზე ჩნდებოდა სააკაშვილი, რომელიც თავისი ბუნდოვანი გამოსვლებით ოპოზიციონერებსაც კი აღიზიანებდა.** ხალხმა დაივიწყა პანდემია, მთავრობის გადაწყვეტილებებს დემონსტრაციულად არღვევდნენ ოპოზიციონერებიც და ხელისუფლების მომხრეებიც. ქვეყანაში საშიში ვითარება შეიქმნა. ციხიდან მელია იმუქრებოდა, ციხის გარეთ — მისი მომხრეები. რეალური საფრთხე — **პანდემია, ექიმების გარდა, თითქმის ყველამ მიივიწყა. ქვეყანაში არსებულმა სიტუაციამ შეაშფოთა დიპლომატიური კორპუსი, ჩვენი სტრატეგიული მეგობრები და მოკავშირეები, ევროსაბჭო, რომლის პრეზიდენტი რამდენიმეჯერ ესტუმრა საქართველოს, შეხვდა დაპირისპირებულ მხარეებს... და რისთვის?! იმისთვის, რომ არჩეული დეპუტატები შესულიყვნენ პარლამენტში და შეესრულებინათ ის დავალება, რომელიც მათ ამომრჩეველმა დააკისრა.** გაჯიუტებული ოპოზიცია მაინც თავისას გაიძახის: „ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები!“, „პოლიტპატიმრების განთავისუფლება!“, „ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დასჯა!“. **ოპოზიციის ემისრები ეწვივნენ ევროკავშირს, იმიტომ, რომ იქ დაემტკიცებინათ თავიანთი „სიმართლე“. არ გამოუვიდათ. თუ-** ▶


შტურმი პარლამენტის შენობაზე

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მელიამ იტალიელი დუჩეს მსგავსად ხელი დასავლეთისკენ გაიშვირა და ხალხს მოუწოდა, ცესკოს ოფისის ბლოკირებისკენ. „იმ შენობიდან, არავინ უნდა გამოვიდეს და არავინ უნდა შევიდეს!" — მრისხანედ ბრძანა მან. გაოცებული ქართველები კი ტელეეკრანზე ვადევნებდით თვალს, როგორ თარეშობდნენ მეამბოხეები საარჩევნო კომისიის ტერიტორიაზე, ანგრევდნენ ღობეებს, ისროდნენ ქვებს, მუქარისშემცველ ლოზუნგებს და ა.შ. ხელისუფლებას გაუჭირდა ვითარებაში გარკვევა — ოპოზიციის მიერ თავის მართლების მდგომარეობაში ჩაყენებული, ამაოდ ეძებდა გამოსავალს. არც „ოცნების" წევრები და მომხრეები ჩანდნენ**

# ბატონო ბიძინა, ნუთუ მართლა გჯერათ, რომ ბატონები: მერაბ ადეიშვილი (ტრანსპორტის მინისტრი), აკაკი ჩხაიძე (საქართველოს რკინიგზის უფროსი), გია ჯოხთაბერიძე (ბიზნესმენი-მეცენატი), ნაპოლეონ ქარქაშაძე (სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი), კობა ნარჩემაშვილი (შს მინისტრი), სულხან მოლაშვილი (კონტროლის პალატის თავმჯდომარე), დავით მირცხულავა (ენერგეტიკის მინისტრი), ვლადიმერ კერესელიძე (მრეწველობის მინისტრი) და სხვები მართლა დამნაშავეები და ქვეყნის მტრები იყვნენ?! არა მგონია, ასეთი გულუბრყვილო იყოთ. ერთი მათგანის საქმე მაინც რომ გამოგეძიებიათ, მსოფლიოს დაარწმუნებდით, რომ საქართველოს ბანდიტები მართავდნენ

**◀ კი რამ სიბინძურე არსებობს, ყველაფერი დააბრალეს ივანიშვილს. მათმა ტელევიზიებმა ისეთი სამარცხვინო, მოგონილი სიუჟეტი გაუშვეს, რომ, მისი ერთი პროცენტიც რომ ყოფილიყო მართალი, ცივილიზებული სამყარო საქართველოს საერთოდ გარიცხავდა თავისი რიგებიდან. საკითხავია: ნუთუ ასე გაგიწყდათ სინდისის ძარღვი ოპოზიციას, ნუთუ ასე დაგაბრმავათ ქვეყნის სიძულვილმა, რომ ჭკუიდან გადასულები მსოფლიოს საკუთარ ქვეყანას აძულებთ?! ვაი, სირცხვილო!** ხელისუფლება კი ისევ მათხოვრის როლშია. ისევ უცხოელებს იხმობს საშველად, ისევ პარალიზებულია.

ყველაფერი 2012 წელს „ოცნების" ისტორიული გამარჯვების შემდეგ დაიწყო, როდესაც მისმა მესვეურებმა კოაბიტაცია და ქართველი ხალხის დაკვეთად „ნაცმოძრაობის" გადარჩენა გამოაცხადეს. **„ოცნების" ხელისუფლებამ 9 წლის განმავლობაში ისიც ვერ მოახერხა, რომ ევროკავშირისა და სხვა პარტნიორებისთვის მიეწოდებინა სიმართლე იმაზე, რაც „ნაცმოძრაობის" მმართველობის პერიოდში ხდებოდა საქართველოში. მათ ისიც კი არ გააკეთეს, რომ გამჟღავნებულიყო სააკაშვილის მმართველობის ფაშისტური სტილი თუნდაც იმიტომ, რომ ადამიანებს სცოდნოდათ არა მხოლოდ ის, რაც ციხეებში ხდებოდა, არამედ ის, რაც ციხის გარეთ იყო.** მხოლოდ პირველი ტალღის დროს რეპრესირებული ადამიანების საქმეების შესწავლა იყო საკმარისი იმისთვის, რომ არა მხოლოდ ქართველებს, არამედ მსოფლიოს შეეტყო ის, რაც ჩვენთან ხდებოდა და რა დაგვმართა „ნაცმოძრაობამ".

**ბატონო ბიძინა, ნუთუ მართლა გჯერათ, რომ ბატონები: მერაბ ადეიშვილი** (ტრანსპორტის მინისტრი), **აკაკი ჩხაიძე** (საქართველოს რკინიგზის უფროსი), **გია ჯოხთაბერიძე** (ბიზნესმენი-მეცენატი), **ნაპოლეონ ქარქაშაძე** (სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი), **კობა ნარჩემაშვილი** (შს მინისტრი), **სულხან მოლაშვილი** (კონტროლის პალატის თავმჯდომარე), **დავით მირცხულავა** (ენერგეტიკის მინისტრი), **ვლადიმერ კერესელიძე** (მრეწველობის მინისტრი) **და სხვები მართლა დამნაშავეები და ქვეყნის მტრები იყვნენ?! არა მგონია, ასეთი გულუბრყვილო იყოთ. ერთი მათგანის საქმე მაინც რომ გამოგეძიებიათ, მსოფლიოს დაარწმუნებდით, რომ საქართველოს ბანდიტები მართავდნენ.** მე, ნაპოლეონ ქარქაშაძემ, თქვენი ხელისუფლების ხელში ძლივს მივაღწიე იმას, რომ პროკურატურას ჩემი განცხადება, უბრალოდ, მიეღო. **ახალგაზრდა გამომძიებელი აღშფოთებული იყო იმ დანაშაულით, რომელიც ჩემი საქმის შესწავლისას გამოვლინდა. დაიწყო გამოძიება და, როდესაც ფინალს მივაღწიეთ, მოულოდნელად შეწყდა. რატომ? იმიტომ, რომ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ხელს არ აძლევდათ სააკაშვილის ბანდის ლუსტრაცია.**

ამას წინათ ბატონმა **ვლადიმერ კერესელიძემ** გაზეთ „ასავალ-დასავალში" დოკუმენტურად გაშიფრა ის სქემა, რომლითაც **სააკაშვილმა, ადეიშვილმა, ოქრუაშვილმა, მერაბიშვილმა** მილიონები მიითვისეს. გვეგონა, რომ პროკურატურა ახლა მაინც „გაინძრეოდა", მაგრამ ამაოდ. ვიღაცის ნებით (თუმცა, ყველამ ვიცით მისი ვინაობა) პროკურატურას ამის უფლება არ მისცეს. რატომ ხდება ეს, **რატომ არის დაინტერესებული ხელისუფლება იმით, რომ არ გამჟღავნდეს საუკუნის დანაშაულები, რომლებიც სააკაშვილმა ჩაიდინა? რატომ ელოლიავებით დამნაშავეებს?** — ეს ის კითხვებია, რომლებსაც აუცილებლად გაეცემა პასუხი, მაგრამ დაზარალებულთა დიდი ნაწილი ვეღარ გაიგებს...

**ნაპოლეონ ქარქაშაძე**



მელიამ სამაჯური მოისროლა

# ბობოქარ ოპოზიციას მხარში არასამთავრობოები, ინტრიგებში გამობრძმედილი ჟურნალისტები, განაწყენებული მოქალაქეები, ფულზე გაყიდული მედროვეები და, საზოგადოების გასაკვირად, «ოცნებაზე» განაწყენებული «ოცნებისტები» დაუდგნენ. თითქმის ყოველ საღამოს ტელეეკრანებზე ჩნდებოდა სააკაშვილი, რომელიც თავისი ბუნდოვანი გამოსვლებით ოპოზიციონერებსაც კი აღიზიანებდა



სწორება შარლ მიშელის ბრძანებაზე

**P.S.** თითქოს პრობლემები აკლდა ქვეყანას, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით დაგვატყდა თავს არანაკლები უბედურება — განხეთქილება სახელისუფლო გუნდში. მოაზროვნე ქართველებმა თავიდანვე ვიცით, რა საფრთხეს მოუტანდა ორხელისუფლებიანობა ქვეყანას: ერთი მხრივ, ახალგაზრდა, განათლებული, ენერგიული პრემიერი, რომელიც საქართველოს კონსტიტუციით ქვეყნის პირველი პირია; და, მეორე მხრივ, ასევე ახალგაზრდა, განათლებული, ენერგიული და ამბიციური „ოცნების" პარტიის თავმჯდომარე, რომელსაც უზარმაზარი ძალაუფლება აქვს.

შედეგად მივიღეთ ის, რომ პრემიერს დაკომპლექტებული სამთავრობო გუნდი ჩააბარეს ისე, რომ მისთვის აზრიც არავის უკითხავს. ამ დროს ქვეყანაში უმართავი პროცესებია და ყოველივე ეს ულმობელი პანდემიის ფონზე. სიტუაციაზე კი უშუალო პასუხისმგებელი მთავრობაა.

როდესაც პრემიერი, ქვეყნის პირველი პირი, ხელისუფლების ლიდერი უეცრად ტოვებს გუნდს და წასვლის მიზეზსაც არ ასახელებს (ალბათ, მართებულად ფიქრობს, რომ საზოგადოებამ ყველაფერი იცის), ეს უკვე კოლაფსია. „ოცნებამ", ნაცვლად იმისა, რომ ებრძოლოს ხილულ მოწინააღმდეგეს, თავისი გუნდის ყოფილ ლიდერს ისეთი ბრძოლა გამოუცხადა, რომ ყველაფრის მომსწრე ქართველებიც კი გაგვაოცა. თუ ასეთი ძლიერები ხართ, რატომ დაიჩოქეთ ევროკავშირის და სხვა უცხოელი პარტნიორების წინაშე, რატომ დათანხმდით ძალაუფლების განაწილებას?! ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ამით ქვეყანას კიდევ უფრო მეტად აზარალებთ?! ნებსით თუ უნებლიეთ, რატომ უწყობთ ხელს ნაცების ხელისუფლებაში დაბრუნებას?! ნუთუ განსჯის უნარიც დაკარგეთ? რაც შეეხება გახარიას, თუ ის ხმების საჭირო რაოდენობას აიღებს, მაშინ ჩამოიშლება „ოცნებაც", „ნაცმოძრაობაც" და იქნებ საქართველოსაც ეშველოს...

ეხ, დავითა, დავითა, რამდენი საუკუნეა, გვაფრთხილებენ ქართველებს იმაზე, რაც მოგვივა, მაგრამ ესმის ვინმეს?!

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„იმაზე მეტი უბედურება ქვეყნისათვის სხვა არ შეიძლება იყოს, როგორც ღალატი შინიდან გამომდინარე. ამგვარი მოღვაწეობა არის პირდაპირ გამრყვნელი ახალთაობისა, რომელთა სულიც ახლად იფურჩქნება და, რომ კარგად აყვავდეს და ნაყოფი გამოიღოს, მშობელი დედის რძე ესაჭიროება, მშობლიური ხმები, სამშობლოს სიყვარული და იდეალი იმისა, რომ იგი უნდა ოდესმე გახდეს მუშაკი თავის ქვეყნისა, თავის ერისა, ნაზი სიყვარული თავის დედა-ენისა, მისი მოაზრე, მის ტირილების მოზარე და ჭირისუფალი“.

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

# ჩვენი შვილები და შვილიშვილები ქოთნები რომ არ არიან, გიფიქრიათ ამაზე?

**იარაღი, რომელიც ქვეყნის სასიკეთოდ მოქმედებს, სწავლა-განათლებაა — უკვე მერამდენედ ვიმეორებთ ჩვენი სახელოვანი წინაპრების ამ შეგონებას, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი. ვის ესმის?! ან ესმით და თავისებურად — ისე, როგორც მათ აძლევთ ხელს; იმ მექოთნესავით, რომელიც, იქით გაუკეთებს ქოთანს ყურს, საითაც უნდა...**
**მაგრამ ჩვენი შვილები და შვილიშვილები ქოთნები რომ არ არიან, გიფიქრიათ ამაზე?**

„ნუთუ, ბატონებო, ამაზე არ გიფიქრიათ? არ წარმოგიდგენიათ არადროს, რომ თქვენ, თქვენის უტიფარის მოქმედებით, როგორც დედა-ენას, ისე საუკეთესო ქართველ მოღვაწეთ ჰხოცავთ სისტემატიურად? იმაზე გიფიქრიათ როდისმე? ამას დაჰკვირვებიხართ? ეს მოვლენა აგიწონ-დაგიწონიათ?.. ვგონებ არ შეგიგნიათ, თორემ როგორ დავიჯერო, რომ ხელს არ აიღებდით მაგ სახიფათო მოღვაწეობაზე“ (მცირე შენიშვნა (1910)).

ეს სიტყვები ვაჟა-ფშაველას ზოგიერთი ვითომ მამულიშვილის ქართული ენისადმი გულგრილობამ, მისადმი უდიერად დამოკიდებულებამ ათქმევინა, ქართულად წერასა და ლაპარაკს უცხოურს რომ ამჯობინებდნენ. ჩვენ კი იმან გაგვახსენა, რომ **იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას“ სკოლებში არ ასწავლიან, უბრალოდ, წიგნს ჩუქნიან სასწავლო წლის ბოლოს პირველკლასელებს. ჰოდა, მშობელს თუ უნდა, ზაფხულის არდადეგებზე გადაშლის მას და შვილს აკაკის „ვაშლი და შაქარასაც“ ასწავლის და ვაჟას „ქორმა წიწილა წაიღოსაც“... ჭკვიანმა და დაკვირვებულმა ბავშვმა კი შეიძლება ისიც იკითხოს: თუ აქამდე ყველას ასწავლიდნენ ამ ლექსებს, ჩვენ რა დავაშავეთო?!**

**ჰოდა, გეკითხებით თქვენ, სახელად „უზარის“ და გვარად „მაზარის“ (ეს, ჩემო მკითხველო, ერთი გულმავიწყი ბეჯემოთის სახელი და გვარია, თანამედროვე მწერლის „შედევრი“ პირველკლასელთა წიგნიდან) ავტორსა და სასწავლო პროგრამაში მის შემტანებს: რით ჯობია გულმავიწყი ბეჯემოთის ეს ისტორია აკაკისა და ვაჟას ლექსებს, ამაზე არ დაფიქრებულხართ?**

დარწმუნებული ვარ, „სათითაოდ რომ ელაპარაკო ამ ადამიანებს, მხურვალე მამულიშვილობას იჩენენ, გული შესტკივათ სამშობლოსათვის; აღარ დაგაცლიან და თავადვე დაგიწყებენ მტკიცებას... რომ დედა-ენა უნდა გავრცელდეს, განვითარდეს, რადგან იგი ათვალისწუნებულია, რომ, თუ სხვა ყველაფერი დავკარგეთ, ზნეობა, გრძნობა მამულიშვილობისა, სიმტკიცე რწმენაში, იდეალი მაინც არ უნდა დავკარგოთო“.

„საქმით ჰხედავ და სულ სხვანი არიან: როგორ სხვანი? ისე, რომ თავის დედა-ენას, თავიანთ ქვეყანას ძირს უთხრიან, ფესვებს აჭრიან... **ვაი ამისთანა სამსახურს! ამას ჰქვიან განა სამშობლოს სიყვარული? განა ამისთანა ოინებით აყვავდება ქართული ენა და მწერლობა? განა ეს ღვაწლია? ღვაწლი კი არა ეს პირდაპირ ღალატია, თაღლითობაა! ამას ჰქვიან ციხისა შიგნიდან გატეხა და, ხომ მოგეხსენებათ, იმაზე მეტი უბედურება ქვეყნისათვის სხვა არ შეიძლება იყოს, როგორც ღალატი შინიდან გამომდინარე. ამგვარი მოღვაწეობა არის პირდაპირ გამრყვნელი ახალთაობისა, რომელთა სულიც ახლად იფურჩქნება და, რომ კარგად აყვავდეს და ნაყოფი გამოიღოს, მშობელი დედის რძე ესაჭიროება, მშობლიური ხმები, სამშობლოს სიყვარული და იდეალი იმისა, რომ იგი უნდა ოდესმე გახდეს მუშაკი თავის ქვეყნისა, თავის ერისა, ნაზი სიყვარული თავის დედა-ენისა, მისი მოაზრე, მის ტირილების მოზარე და ჭირისუფალი“.**

პოეტი ეჭვობს, რომ ახალგაზრდობისთვის „ორჭოფი გრძნობების“, „ორჭოფი მიმართულების“ ჩანერგვა აუცილებლად გამოიღებს შესაბამის ნაყოფს. სწორედ ამიტომ „ჩვენს საუკეთესო კაცებს, საუკეთესო მოაზრეებს და ერთგულ მამულიშვილებს სამავნებლოდ მიაჩნდათ თავის ქვეყნისათვის ამგვარი მიმართულება და იმიტომ, შორს, გვერდზე უვლიდნენ. **ნუთუ ილია ჭავჭავაძეს არ შეეძლო რუსული გაზეთი გამოეცა, ეწერა რუსულად და ესაზრდოვებინა თავის ნაწარმოებით ქართველი საზოგადოება, როგორც მისი თანამედროვენი შვრებოდნენ? მაგრამ არა, ის კარგად ჰხედავდა, ჰგრძნობდა, რაც ვნება და გათახსირება საზოგადოებისა მოჰყვებოდა ამგვარ მწერლობას.** რა იქნებოდა, ვსთქვათ, **ასე ილია ჭავჭავაძეს, ალექსანდრე ჭავჭავაძეს, გრ. ორბელიანს, ნიკო ბარათაშვილს, აკაკი წერეთელს რუსულ ენაზე ჰქონდეთ დაწერილი თავიანთი თხზულებები? რა იქნებოდა, დიდებულ შოთას „ვეფხვისტყაოსანიც“ რომ რუსულ ან თათრულ ენაზე დაწერილიყო? ჩვენთვის განა ის მნიშვნელობა ექნებოდა, რაც დღესა აქვს. მოლა მასრადინას რომ სტამბოლში ფლავი ედგას წინ სინით, ტფილისში მე რა, ან შენ, მკითხველო?“**

ამით რა მათ, ვინც ნამდვილ სამსახურს უწევს მშობელ ქვეყანას? რა სტიმულია ეს იმისთვის, რომ ხალისიანად, უფრო ნაყოფიერად იმუშაონ და აკეთონ მართლაცდა საქვეყნო, სასარგებლო საქმე? მათ ტანჯვა-წვალებას, ვისაც **სულის სიძლიერე, ხასიათის სიმტკიცე არ აძლევს გაქცევის ნებას,** სიცოცხლე ჰქვია?

ეს არც სეპარატიზმია და არც შოვინიზმი, უბრალოდ, იმ ეპოქაში და იმ ვითარებაში არც ერთ ჭეშმარიტ ქართველ მამულიშვილს არ სურდა, **საქართველო უცხო ქვეყნის (იმ შემთხვევაში — რუსეთის) სხეულში გათქვეფილიყო, „როგორც უსულო სანოვაგე“, როგორიც ახლაა „სტრატეგიული მეგობრების“ წყალობით.**

**დღეს განათლების სფეროში დაგეგმილი რეფორმის ძირითად მიმართულებებს საქართველოს განათლების მესვეურები უცხოელებთან ათანხმებენ; მათთან, ვისთვისაც საქართველოში განათლების სისტემის განვითარებას ჩალის ფასი აქვს, თუმცა მაინც „გამოხატავენ მზადყოფნას“, აქტიური მონაწილეობა მიიღონ განათლების სისტემის რეფორმირების პროცესში და „მომავალი თანამშრომლობის მიმართულებებზეც“ თანხმდებიან.**

**ჩვენი სახელოვანი წინაპრები კი მიიჩნევდნენ, რომ ჯანსაღი მომავალი თაობის აღსაზრდელად მთავარია, სკოლა იყოს ეროვნული, „ვინაიდგან მაშინ მიახწევს იგი თავის დანიშნულებას, მაშინ აღზრდის ნამდვილ ადამიანებსო“ (ვაჟა-ფშაველა).**

დიდი ილია კი ლექსით „ქართვლის დედას“ ერს, რომელსაც „დიდმა ნაღველმა, კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედმა“ სრულად მოუკლა სიცოცხლის ძალა და მისი შვილნიც „ჩრდილად შესცვალა“, მოუწოდებდა:

**„მას ნუღარ ვსტირით,**
**რაც დამარხულა,**
**რაც უწყალოს დროთ**
**ხელით დანთქმულა;**
**მოვიკლათ წარსულ**
**დროებზე დარდი...**
**ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა**
**სხვა ვარსკვლავს,**
**ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ**
**მყოობადი,**
**ჩვენ უნდა მივსცეთ**
**მომავალი ხალხს...**
**აქ არის, დედავ, შენი**
**მაღალი**
**დანიშნულება და საღმრთო**
**ვალი!**
**აღზარდე შვილი, მიეც**
**ძალა სულს,**
**საზრდოდ ხმარობდე**
**ქრისტესა მცნებას,**
**შთააგონებდე კაცთა**
**სიყვარულს,**
**ძმობას, ერთობას,**
**თავისუფლებას, —**
**რომ სიკეთისთვის გული**
**უთრთოდეს**
**და მომავლისთვის**
**ბედთანა ბრძოდეს...**
**მენდე, მიიღებს ნერგს,**
**შენგან დარგულს,**
**და მოგვცემს ნაყოფს,**
**ვით კაცი კაცურს.**
**დედავ! ისმინე ქართვლის**
**ვედრება:**
**ისე აღზარდე შენ შვილის**
**სული,**
**რომ წინ გაუძღვეს**
**ჭეშმარიტება,**
**უკან ჰრჩეს კვალი**
**განათლებული“.**

**მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს საქართველო „დადგეს ერად სხვა ერთა შორის“, გახდეს სხვებთან ერთად პროგრესის გზაზე მოსიარულე, „თავის თავის მცნობელი, თავის თავისა და კარგის მგრძნობელი“(ვაჟა).**

დღეს ეს შეუძლებელია იმ უამრავი დაბრკოლების გამო, რომელთა თავიდან აცილებას ვერა და ვერ ვახერხებთ. უპირველესად კი იმიტომ, რომ სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენას არაკვალიფიციურ, შესაბამისი ცოდნის არმქონე ადამიანებს ანდობენ. ამაზე კონკრეტული მაგალითების მოშველიებით საუბარი გვქონდა გაზეთის გასულ ნომერში, მაგრამ ჯერჯერობით სინდისს არავინ შეუწუხებია, ყოველ შემთხვევაში ხმამაღლა არავის გამოუხატავს შეშფოთება იმ „ხარვეზების“ გამო, რომლებიც პირველკლასელთა სახელმძღვანელოებში ავტორებს „გაეპარათ“.

**სკოლა „სწვრთნის ყველას — დიდს და პატარას, ურკვევს აზრებს, გზას ცხოვრებისას, აღძრავს საუკეთესო გრძნობებს, მაშ ის რატომ აღარ უნდა იყოს ეროვნული? რატომ არ უნდა უწყობდეს ხელს, განავითაროს ერმა თავის გონებრივი და სულიერი ძალები?**

**ვაგლახ, რომ ჩვენში წინააღმდეგს ვხედავთ“ (ვაჟა).**

**ყველაზე მეტად ეს სიტუაცია აკვირვებდა დიდ მგოსანს და ებადებოდა კითხვები: რის ნიშანია ეს? რას მოასწავებს? რა აზრი აქვს ასეთ საქციელს?..**

ერთში კი უდავოდ იყო დარწმუნებული, რომ **უაზროდ მოქმედება არ ეკადრება და არც ეპატიება არავის, მით უმეტეს ინტელიგენციას; ერის წინამძღოლობის პრეტენზიის მქონეთ. სწორედ ისინი ჰყავდა მხედველობაში ვაჟას, როცა ამბობდა: „აქვს ამ ვაჟბატონებს აზრი? იციან კარგად რას აკეთებენ, ან რას აფუჭებენ? უფიქრიათ როდისმე კარგად, ღრმად ამ საგანზე? არა მგონია“.**

**არა მგონიაო...**

**აი ჩვენი სათქმელიც, ჩემო მკითხველო.**



**იაკობ გოგებაშვილის «დედა ენას» სკოლებში არ ასწავლიან, უბრალოდ, წიგნს ჩუქნიან სასწავლო წლის ბოლოს პირველკლასელებს. ჰოდა, მშობელს თუ უნდა, ზაფხულის არდადეგებზე გადაშლის მას და შვილს აკაკის «ვაშლი და შაქარასაც» ასწავლის და ვაჟას «ქორმა წიწილა წაიღოსაც»... ჭკვიანმა და დაკვირვებულმა ბავშვმა კი შეიძლება ისიც იკითხოს: თუ აქამდე ყველას ასწავლიდნენ ამ ლექსებს, ჩვენ რა დავაშავეთო?!**

**ჰოდა, გეკითხებით თქვენ, სახელად «უზარის» და გვარად «მაზარის» (ეს, ჩემო მკითხველო, ერთი გულმავიწყი ბეჯემოთის სახელი და გვარია, თანამედროვე მწერლის «შედევრი» პირველკლასელთა წიგნიდან) ავტორსა და სასწავლო პროგრამაში მის შემტანებს: რით ჯობია გულმავიწყი ბეჯემოთის ეს ისტორია აკაკისა და ვაჟას ლექსებს, ამაზე არ დაფიქრებულხართ?**

წმინდა დავით გარეჯელი მოწაფეებმა იმავე სენაკში დაკრძალეს, რომელშიც მრავალი წელი გაატარა. მის საფლავზე დიდხანს იდო იერუსალიმიდან ჩამოტანილი ქვა და სასწაულმოქმედი მადლით კურნავდა რწმენით მიახლებულთ.



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მამადავითობას გილოცავთ, ქართველნო!

**ყოველ წელიწადს, წმინდა დავით გარეჯელის გარდაცვალების დღეს, ამაღლების მომდევნო ხუთშაბათს, თბილისში მამადავითობა აღინიშნება. იგი თბილისელთა ერთ-ერთი გამორჩეული დღესასწაული იყო — დილაადრიან იწყებოდა მთაწმინდისაკენ ხალხის საზეიმო სვლა. მლოცველები მამადავითის ეკლესიას ფეხშიშველნი სამჯერ უვლიდნენ გარს. ზეიმის დროს ქალაქის ახლომახლო სოფლებიდანაც ჩამოდიოდნენ ღამისმთევლები. დღესასწაული გვიან ღამემდე გრძელდებოდა.**

**მამა დავითის თბილისში მოღვაწეობის ხანა მრავალ ლეგენდაშია ასახული. დავით გარეჯელს დაუარსებია ქრისტიანული სამლოცველო, რომელიც დღესაც მამა დავითის ეკლესიის სახელითაა ცნობილი; შემორჩენილია ცნობები ქაშვეთის დაარსებაზეც, დავითის ცხარე შეტაკებებზე სპარსელ მოგვებთან, რომლებიც ცეცხლთაყვანისცემის დანერგვას ცდილობდნენ.**

**დავითის მოღვაწეობას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია თანამედროვეებსა და შემდგომ თაობებზე, ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა. ვინც ღირსი და საკვირველმოქმედი მამა დავით გარეჯელის საფლავს სარწმუნოებით თაყვანს სცემს, დღესაც იკურნება სულიერი და ხორციელი ტკივილებისაგან. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ, ისევე, როგორც დავით გარეჯელის გვამმა ბრმას თვალის ჩინი დაუბრუნა, წმინდანი საქართველოსაც დაუბრუნებს თავის წილ ტერიტორიას.**



ღირსი და საკვირველმოქმედი მამა დავით გარეჯელი შუამდინარეთის ასურეთიდან იყო. მისი დაბადების ზუსტი თარიღი და მშობელთა ვინაობა უცნობია. იგი, ჯერ კიდევ ყრმა, სულიერი შვილი გახდა თანამემამულის, წმიდა მამა იოანე ზედაზნელისა. განერიდა რა კაცთა დიდებას საკვირველმოქმედი ღირსი მამა იოანე, თავის მოწაფეებიანად მცხეთას წამოვიდა და პატიოსანი სვეტის თაყვანისცემის შემდეგ დედაქალაქის ჩრდილოეთით მდებარე მთაზე შეჩერდა. აქედან, მასწავლებლის კურთხევით, მოწაფეთაგან ზოგმა კახეთის საზღვრებს მიაშურა, ზოგმა კი — დვალეთს.

**მამა დავითმა თავიდან სამოღვაწეოდ თბილისი აირჩია. ბერ ლუკიანესთან, თავის მოწაფესთან და სულიერ შვილთან, ერთად ქალაქის დასავლეთ მთის ფერდობზე გამოქვებულში დასახლდა და პატარა სამლოცველო მოაწყო. ბერები მხოლოდ მთის მცენარეებით იკვებებოდნენ და ლოცვაში ატარებდნენ დღეებს.**

**წმინდა მამათა საცხოვრისი ანდამატივით იზიდავდა თბილისისა და მისი შემოგარენის მკვიდრთ.** ბერებთან უამრავი ხალხი მიდიოდა აღსარებისთვის. მამა დავითი უსმენდა მათ, სინანულისა და შენდობისაკენ მოუწოდებდა, ხუთშაბათობით კი ქალაქში ჩადიოდა, ქადაგებით ამხნევებდა ხალხს და რწმენას განუმტკიცებდა.

**მამა დავითის ლოცვით მისი გამოქვებულის ახლოს სასწაულმოქმედმა წყალმა ამოხეთქა. ამ წყაროს წყალობით მრავალი მართლმორწმუნე განიკურნა უშვილობისგან.**

იმდროინდელი თბილისი ცეცხლმსახურებს ეპყრათ. მამა დავითმა ბევრი ცეცხლმსახური მოაქცია ქრისტეს ჭეშმარიტ მართლმადიდებლურ რჯულზე.

მოგვები ხედავდნენ, რომ დავითი უფრო და უფრო დიდ სიყვარულს იხვეჭდა ხალხში და ყოველნაირად ცდილობდნენ, შეებღალათ მისი სახელი. ერთ კვირა დღეს საქადაგებლად ქალაქში ჩამოსულ წმიდა მამას მასზე წინასწარ შეთხზული ცილისწამების მოწმედ მეძავი ქალი მოუყვანეს. მეძავმა შეკრებილი ხალხის წინაშე მამა დავითს მრუშობა დააბრალა. უფლის მსასოებელმა მოძღვარმა ქალის მუცელს ჯვრის ნიშნიანი რკინის კვერთხი შეახო და ნაყოფს უბრძანა, ეთქვა ნამდვილი მშობლის ვინაობა. მანაც სასწაულებრივად თავის მამად ვინმე მჭედელი აღიარა. ამბის მოთავე შერცხვენილმა მოგვებმა ქალს ქვები დაუშინეს. მათ ხალხიც აჰყვა. ღირსმა დავითმა ვერ შეძლო მათი შეჩერება და ცილისმწამებელი ქვებით ჩაქოლეს.

ამ ამბის შემდეგ, გულგატეხილმა, ბერ ლუკიანესთან ერთად დატოვა თბილისი, ქალაქის მკვიდრთ კი მისდამი მოწიწება და სიყვარული არ განელებიათ, უსახელო მთას მამადავითი უწოდეს, ხოლო იმ ადგილზე, სადაც წმიდა მამას უყვარდა ქადაგება, ამჟამად აღმართულია ქაშვეთად წოდებული წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია.

განდეგილთა წესისამებრ, ღირსი მამა ხალხისგან მოშორებით დამკვიდრდა — კახეთში, ყარაიას ველზე გადაშლილ გარეჯის უდაბნოში, მზისგან გადამწვარ, ქვეწარმავლებით სავსე, კლდოვან ადგილას, და ლუკიანესთან ერთად კლდეში გამოკვეთილ პატარა ქვაბულში მოაწყო სენაკი. სიცხეში უწყლობით შეწუხებული ლუკიანე მამა დავითმა ღვთის სასოებით ანუგეშა. ღირს მამებს საკვებად იქვე ამოსული მწვანილეულობა ჰქონდათ, მაგრამ ზაფხულში მათი საკვები გადახმა და ლუკიანეც შეშფოთდა. **წმიდა მოძღვარმა კვლავ ანუგეშა იგი ღვთის შემწეობის იმედით და მართლაც მალე მათ წინ ორი ირემი გაჩნდა ნუკრთან ერთად. ლუკიანემ ირმები მოწველა და რძიანი ჯამი მამა დავითს გაუწოდა. მან ზედ ჯვარი გამოსახა და რძე ყველად იქცა.**

ოთხშაბათსა და პარასკევს ისინი საზრდელს სულ არ იღებდნენ და მხოლოდ ლოცულობდნენ, ირმებიც კვირის ამ დღეებში მათთან არ მოდიოდნენ. იმ სენაკის ქვემოთ, რომელშიც მოღვაწენი ცხოვრობდნენ, ერთი გამოქვაბული იყო. ამ გამოქვაბულში აჯაგრული, უზარმაზარრქიანი საზარელი მხეცი ბინადრობდა. ერთ დღეს ირმებმა, რომლებიც ჩვეულებისამებრ მოდიოდნენ მამებთან სამსახურის გასაწევად, მხეცის გამოქვაბულის წინ გაიარეს, რომელმაც მათ ნუკრი მოსტაცა და შეჭამა. შეშინებულმა ირმებმა მამა დავითთან



დავითგარეჯის ლავრაში მამადავითობის დღესასწაული და წირვა

მიირბინეს. წმიდა მამამ ქრისტეს ჯვრის ნიშნიანი რკინის კვერთხი აიღო და საზარელი მხეცის საპოვნელად ირემთა კვალს გაჰყვა. მან კვერთხი ზე აღაპყრო და მხეცს იმ ადგილიდან შორს გადახვეწა უბრძანა. მხეცი წმინდანის ბრძანებას დაემორჩილა, მაგრამ ის-ის იყო მტკვარში უნდა ჩასულიყო, რომ ციდან ჩამოტყორცნილმა მეხმა მეყსეულად დაწვა. ანგელოსმა აუწყა დავითს, რომ მხეცი მდინარიდან ზღვაში შესვლას აპირებდა, სადაც იგი ხალხს დიდ ზიანს მოუტანდა, ამიტომაც მასზე მოწეული რისხვა ღვთის განგება იყო.

ერთხელ უდაბნოში კახელი მონადირეები ირმებს დაედევნენ. მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც იხილეს წმინდა ბერის წინ ცხვრებივით მშვიდად მდგომი ირმები. ისინი ფერხთით ჩაუვარდნენ მამა დავითს და შეევედრნენ, ნება მიეცა, რომ მასთან დარჩენილიყვნენ. წმინდანმა, როგორც შვილებსა და ძმებს, სთხოვა, შინ დაბრუნებულიყვნენ და იქიდან ემსახურათ უფლისთვის. უკან დაბრუნებულმა მონადირეებმა კი მამა დავითის ამბავი ხალხში გაავრცელეს. ასე გაემართნენ ქრისტეს ტკბილი უღელის ტვირთვას მოწადინებული ადამიანები მოღვაწეთა უდაბნოსაკენ...

**როცა ღირსსა და სანატრელ დავითს უფლის მიერ ეუწყა, რომ მალე ზეციურ სავანეში განისვენებდა, კეთილმა მწყემსმა მოიხმო უდაბნოში მცხოვრები ძმები და უკანასკნელად დამოძღვრა ისინი: „ნუ შეძრწუნდებით და ნუცა აღშფოთდებით, არამედ უფროსღა განმტკიცდით და განმძლავრდით და სცანით ამაოებაი ესე საწუთოსა დაუდგრომლისა, რამეთუ ყოველნივე წარმავალ ვართ წერილისაებრ და არა რაი სოფლისა პირს მდგომად შერაცხილთაგანი დადგრების, ხოლო სული, ვითარ უკვდავისა მიმღებელი, ღვთისაგან საუკუნოდ დაადგრების და გუეგულვების მიღება კეთილთა გინა ბოროტთა, რომელიც ასევე ვიმოქმედეთ ცხოვრებასა ამას შინა“.**

იგი ეზიარა უფლის წმინდა ხორცსა და პატიოსან სისხლს, ღვთის მიმართ ხელნი აღაპყრო და მადლობის შემწირველმა დაუტევა მრავალმოღვაწე გვამი.

გარდაცვლილი წმიდანის სხეულიდან მადლი გამოკრთოდა. მათ შორის, ვინც ცხედარს ემთხვია, ერთი დაბადებიდან ბრმა იყო. უფალმა იესო ქრისტემ სიკვდილის შემდეგაც ადიდა მისი მსახური — წმინდანის გვამმა ბრმას თვალის ჩინი დაუბრუნა.

**წმინდა დავით გარეჯელი მოწაფეებმა იმავე სენაკში დაკრძალეს, რომელშიც მრავალი წელი გაატარა. მის საფლავზე დიდხანს იდო იერუსალიმიდან ჩამოტანილი ქვა და სასწაულმოქმედი მადლით კურნავდა რწმენით მიახლებულთ.**

**ვინც ღირსი და საკვირველმოქმედი მამა დავით გარეჯელის საფლავს სარწმუნოებით თაყვანს სცემს, დღესაც იკურნება სულიერი და ხორციელი ტკივილებისაგან. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ, ისევე, როგორც დავით გარეჯელის გვამმა ბრმას თვალის ჩინი დაუბრუნა, წმინდანი საქართველოსაც დაუბრუნებს თავის წილ ტერიტორიას**

**ვინც ღირსი და საკვირველმოქმედი მამა დავით გარეჯელის საფლავს სარწმუნოებით თაყვანს სცემს, დღესაც იკურნება სულიერი და ხორციელი ტკივილებისაგან.**

* * *

მამადავითის პირველი ეკლესიის შესახებ მატიანეს ზუსტი ცნობები არ შემოუნახავს. ცნობილია, რომ IX საუკუნეში აქ **ივერიის ღვთისმშობლის ეკლესია** იდგა, ამიტომაც, ათონის მთის მსგავსად, **მამადავითს** მეორე სახელი — **მთაწმინდა** დაერქვა.

დამპყრობლებმა საუკუნეთა მანძილზე არაერთგზის დაანგრიეს ეკლესია, მაგრამ ღირსი დავითის ლოცვის მეოხებით მთის ეს ფერდობი უკვე უფლის მადლით იყო ცხებული, ამიტომაც იოლად აღდგებოდა ხოლმე ნანგრევებიდან.

XVI საუკუნეში ათონის მთიდან ჩამოსულმა ორმა ბერმა, **დავით და ნიკოლოზ გაბაშვილებმა,** დაზიანებული ეკლესიის ადგილას ღვთისმშობლის სახელზე მონასტერი ააგეს და ახალ ტაძარს მთაწმინდის ძირას მდებარე მიწები შესწირეს. ქართველი მეფენი და დიდებულნი დიდი მოწიწებით ეპყრობოდნენ ამ მადლმოსილ ადგილს. ქართლის მეფე დავით მეათეს, შაჰ-აბასის შემოსევის შემდეგ, მიუტოვებია ტახტი და მამადავითის ეკლესიაში ბერად აღკვეცილა. დავითი აქვე გარდაიცვალა და დაუკრძალავთ ფერიცვალების ეკლესიაში, მამადავითის დიდი ეკლესიის გვერდით.

აქ გარდაიცვალა რუსის ეპისკოპოსი ნიკოლოზიც, რომელმაც ხანდაზმულობის გამო უარი თქვა ეპარქიის მართვაზე და მთაწმინდაზე დასახლდა.

მეფე ერეკლე მეორეს შვილის, სოლომონის, გარდაცვალებით მიღებული ტრავმის მოშუშებაში მამადავითის ეკლესია დახმარებია. მამადავითის ეკლესიაში სალოცავად ხშირად ადიოდა თურმე საქართველოს უკანასკნელი მეფე — გიორგი მეთორმეტე.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, XVIII საუკუნის ბოლოს მონასტერი მიტოვებული და გაჩანაგებული ყოფილა. არემარე ისეთ ხშირ ჯაგნარს დაეფარა, რის გამოც მლოცველებს თურმე მასთან მიახლოებაც უჭირდათ.

კათოლიკოსმა ანტონ II-მ ყურადღება მიაქცია მამადავითის დანგრეულ ტაძარს და მისი აღდგენა ქაშვეთის მღვდელს, თომა გრიგორიევს, დაავალა. მამა თომა გულისხმიერებით მოეკიდა საქმეს და ერთი წლის შემდეგ, 1810 წელს, თბილისელთა შემოწირულობებით აიგო ტაძარი „სახელსა ზედა ღირსისა მამისა დავით გარეჯელისასა“. ეკლესია აგურით აშენდა და უგუმბათო ხის სახურავი ჰქონდა. კათალიკოს ანტონ II-ის ლოცვა-კურთხევით, ეკლესია ფერისცვალების სახელზე აკურთხა არქიმანდრიტმა ტრიფოლიმ. სახელი შემთხვევით არ შეურჩევიათ — გარეჯის უდაბნოში ღირსი მამა დავითი სწორედ ფერისცვალების მონასტერშია დაკრძალული.

**კათალიკოს-პატრიარქ ანტონ მეორისა და მეფე გიორგი მეთორმეტეს დროს, ტაძრის აგებისას და დედათა მონასტრის დაარსებისას, შეკეთდა წმინდა დავითის სენაკ-მღვიმე.** XX საუკუნის 30-წლებში, როცა ეს წმინდა ადგილი პანთეონად გადააქციეს, კეთილმოწყობის დროს წმინდა დავითის მღვიმე აგურის კედლით მთლიანად დაიფარა, დარჩა მხოლოდ მცირე სადგომი, რომელშიც მხოლოდ მილები იყო გამოყვანილი, რომლებიდანაც შეიძლებოდა წყლის აღება. 2002 წლის აპრილში ამოშენებული კედელი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის — ილია მეორეს კურთხევით გაიხსნა და გამოჩნდა მღვიმე, რომელშიც ამჟამად ყოველი მხრიდან წყალი მოჟონავს და სენაკის ძირში მდებარე აუზში გროვდება.

მოგვიანებით, XX საუკუნის დასაწყისში, ძველი სამრეკლოს ადგილას ფერისცვალების პატარა ეკლესიაც აიგო.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ეკლესიის ეზოში უკვე იყო დასაფლავებული რამდენიმე ღირსეული მამულიშვილი. 1915 წელს კი, აკაკი წერეთლის დაკრძალვის დღეებში, დაიბადა აზრი, რომ მთაწმინდაზე ერის წინაშე განსაკუთრებით ღვაწლმოსილ პიროვნებათა სასაფლაო მოეწყოთ. **30-იან წლებში დიდუბიდან მთაწმინდაზე გადმოასვენეს მრავალი ძვირფასი ადამიანის ნეშტი და აქ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი დაარსდა.**

მოვლენების წინ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უკრაინის აზრი არავის აინტერესებს (რამაც კიევის ისტერიკა გამოიწვია), იგი ვერ გახდება ევროკავშირის ან მის ნაცვლად შექმნილი სხვა გაერთიანების წევრი სახელმწიფო, ვინაიდან თვით ევროკავშირის მომავალია სათუო და გაურკვეველი.**

# უკრაინის დამოუკიდებლობა ეფემერული და წარმავალი ცნებაა

**როგორც მოსალოდნელი იყო, მსოფლიო ექსპერტების ყურადღების ცენტრში მოექცა პუტინ-ბაიდენის სამიტი, რომელიც 16 ივნისს ჟენევაში გაიმართა. მთავარ პრობლემათა შორის ეკონომიკის პრობლემურ საკითხებს ასახელებდნენ. ამ თემატიკაზე საუბრობს ცნობილი ეკონომისტი მიხეილ ხაზინი და იწყებს განმარტებით, რატომ განაგრძობს რუსეთი ბუნებრივი აირის გატარებას უკრაინის ტერიტორიით იმ ვითარებაში, როცა ეს ქვეყანა მის წინააღმდეგ არნახულად მტრული განწყობილების სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, რუსოფობიის ერთგვარ ცენტრადაც კი.**



— ასე ხდება იმიტომ, რომ რუსეთს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ბუნებრივი აირის მიწოდების შესახებ. ვალდებულება აქვს ნაკისრი. სხვა გზა ჯერჯერობით არ არსებობს. „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის აშენებით შეიქმნება ახალი ალტერნატიული მარშრუტი, მაგრამ ხელმოწერილ კონტრაქტს ვადა მხოლოდ 2024 წელს გაუდის. თუმცა თავს ვერავინ დადებს, რომ უკრაინა შეძლებს, იმ დროისთვის შეინარჩუნოს სახელმწიფოებრიობის დღეს არსებული მოდელი. მსოფლიოს გეოპოლიტიკური მოწყობა ისე სწრაფად იცვლება, რომ სიმყარეებზე ლაპარაკი არასერიოზულია. ამას ამტკიცებს ის ისტერიკაც, რომელიც მოაწყვეს კიევში ბაიდენისა და პუტინის მოსალოდნელ შეხვედრაზე.

აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ვლადიმერ პუტინის სიტყვა პეტერბურგის ეკონომიკურ ფორუმზე ზოგიერთების მიერ აღქმული იქნა დასავლეთის მიმართ როგორც უკიდურესად ხისტი და მკაცრი, თავად დასავლეთმა კი საკმარისად პოზიტიურად აღიქვა. უფრო მეტიც, დაუყოვნებლივ მოჰყვა ნატოს გენერალური მდივნის, **სტოლტენბერგის** პასუხი, რომელმაც თქვა, რომ სასწრაფოდ უნდა მოიწვიონ სამიტი რუსეთი-ნატო, რადგან ასე გაგრძელება შეუძლებელია, ურთიერთობა ძალიან ცუდია და საჭიროა მოლაპარაკება.

მე შემიძლია გიპასუხოთ, თუ რატომაა აუცილებელი მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნის დაჩქარება: ბაიდენმა მსოფლიოს უკვე წარუდგინა თავისი მოდელი, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ტრამპის მოდელისგან, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ **მკაცრი რეგიონალიზაცია** და ხელს არ აძლევდა არც ჩინეთს, არც დასავლეთ ევროპას, ფაქტობრივად — არავის, რადგან ანგრევდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მთელ სისტემას და, საერთოდ მთელ სავალუტო სისტემას.

ბაიდენის მოდელი კი სხვანაირია. ლოგიკა, რომელსაც ამ მოდელის ავტორი იყენებს, მარტივია: მას სურს, შეინარჩუნოს რამდენიმე გლობალური თემა და სხვა დანარჩენი, უხეშად რომ ვთქვათ, ძალთა რეგიონულ ცენტრებს გადაულოცოს.

პუტინის პასუხი ასეთი იყო: „არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ ჩვენს დამოუკიდებლობაში შემოჭრას, ხოლო მწვავე საკითხების განსახილველად მზად ვიქნებით.“

ვალუტაზე თქვა, რომ რუსეთი თანდათან დაიწყებს დოლარის სისტემიდან გასვლას, რადგან აშშ თვითონ ანგრევს ამ სისტემას.

ამრიგად, მოწმენი გავხდით იმისა, რომ იგი სრულად დაეთანხმა ბაიდენის წარდგენილ კონცეფციას (დეტალები განსახილველი რჩება) და ამ კონცეფციის ჩარჩოებში **უკრაინის აზრი არავის აინტერესებს (რამაც კიევის ისტერიკა გამოიწვია), იგი ვერ გახდება ევროკავშირის ან მის ნაცვლად შექმნილი სხვა გაერთიანების წევრი სახელმწიფო, ვინაიდან თვით ევროკავშირის მომავალია სათუო და გაურკვეველი.** ჯერ ერთი, ბერლინისა და პარიზის ღერძი ცდილობს, შეინარჩუნოს ამ ტერიტორიაზე თავისი დომინირება, და მეორე: ლონდონი მის დასაშლელად და თავისი კონტროლის დასამყარებლად იღვწის.

რით დამთავრდება ეს დაპირისპირება, გაურკვეველია. სამაგიეროდ ნათელია, რომ უკრაინა ევრაზიის ზონაში ხვდება. ამ თვალსაზრისით, როგორ განვითარდება ამ ტერიტორიაზე მოვლენები, არც ვაშინგტონსა და არც ბერლინში არ და ვერ გადაწყდება.

აი ასე ყალიბდება მსოფლიოს ამ ნაწილის საერთო სურათი.

**— ამ გეოპოლიტიკურ ფონზე განიხილება თუ არა რუსეთის გასვლის საკითხი ე.წ. დოლარის ზონიდან და ეკონომიკის სხვა აქტუალური პრობლემები აშშ-ისა და რუსეთის ფედერაციის ლიდერების შეხვედრაზე?**

— ვარაუდის დონეზე შეიძლება ვთქვათ, რომ ბაიდენმა გამოხატა გარკვეული პოზიცია, პუტინმა მხარი დაუჭირა თავისი შესწორებებით, მაშასადამე, საუბარი შეეხება სავალუტო ზონებსაც, მათ კონფიგურაციას. გასაგებია, რომ რუსეთს ნაკლებად აწუხებს, ვინ იქნება დომინანტი დასავლეთ ევროპის სივრცეში — ბერლინი თუ ლონდონი.

**— რუსეთი აპირებს, „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის მშენებლობა მიმდინარე წლის ბოლომდე დაასრულოს. უკრაინის პოლიტიკოსებს ფრიად აწუხებთ ის, თუ როგორი რეალური შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ ფაქტს.**

— უახლოეს მომავალში — არანაირი. მთავარია, რომ ეს უკვე სერიოზულ როლს აღარ თამაშობს. წვრილმანია გლობალური გეოპოლიტიკური მოლაპარაკებების ფონზე. ასეთ ჩარჩოებში მოქცეული უკრაინა იმდენად უწონადია, იმდენად მეორეხარისხოვანია, რომ მისი პოზიცია, სურვილები და ინტერესები საერთოდ არ იქნება გათვალისწინებული.

გლობალური რეკონფიგურაცია უკრაინაზე მაინცდამაინც არ აისახება. მიღებული იქნება გადაწყვეტილება, რომ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის არსებული საზღვარი, რომელმაც 1991 წლის შემდეგ აღმოსავლეთისკენ გადაინაცვლა, მნიშვნელოვნად გადაიწევს ისევ დასავლეთისკენ იმ ბანალური მიზეზის გამო, რომ დასავლეთს ამ ყველაფრის მოვლა-შენახვის რესურსი აღარ შემორჩა.

უფრო მეტიც: **არიან ქვეყნები, რომლებსაც კარგად ესმით, რაც ხდება, და ძალიან საინტერესო პროცესებს ახორციელებენ. ასეთია, მაგალითად, პოლონეთი, მაგრამ პოლონეთში არის ეროვნული ელიტა. უკრაინაში არ არის. აქ თავი მოიყარეს ხუტორელებმა, რომლებიც სათავისოდ ექაჩებიან არა მხოლოდ იმას, რაც ცუდად დევს, არამედ ყველაფერს, რაც დევს.**

**ქურდობენ!**

ამიტომაა, რომ მსოფლიო სივრცეში უკრაინის ეროვნული ინტერესების შესახებ ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

უაზრობაა.

ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს განასახიერებს ეროვნული ელიტა. მაჩვენეთ, ვინ არის კიევში ეროვნული ელიტა!

**ეროვნული ელიტა არის ბელარუსში, რომელსაც ბატკო ლუკაშენკო განასახიერებს. შეიძლება, გიყვარდეს ეს კაცი, შეიძლება — არა, მაგრამ ბელარუსის ინტერესებს თავისი პიროვნულობით განასახიერებს. მისთვის ბელარუსის ინტერესები ცარიელი სიტყვები არ არის. კიევში ასეთ ადამიანებს ვერ იპოვით. ყველა დაკავებულია ვაჭრობით თავისი შესაძლებლობების ჩარჩოებში. ამ მიზეზით პროცესში მონაწილე თითოეული პერსონა მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ფიქრობს და იღვწის.**

**— მაგრამ ხომ იყვნენ უკრაინაში ეროვნული ლიდერები, რომლებიც რომელიღაც მომენტში ბარიგების ბრბოდ გარდაიქმნა?**

— გამოქვეყნებულია გეტმან **სკოროპადსკის**, რომელიც, როგორც ცნობილია, ხელმძღვანელობდა დამოუკიდებელი უკრაინის შექმნას 1918 წელს, ძალიან საინტერესო დღიურები. თუ დაინტერესდებით და წაიკითხავთ, რასაც იგი უკრაინელ ნაციონალებზე წერს, დარწმუნდებით, რომ ისინი თავიანთი მენტალიტეტით, მსოფლმხედველობით ხუტორელები არიან (სოფლელები), რომლებიც მხოლოდ იმას ხედავენ, რისი აწაპნაც შეუძლიათ. ამის იქ- ▶

ეროვნული ელიტა არის ბელარუსში, რომელსაც ბატკო ლუკაშენკო განასახიერებს. შეიძლება, გიყვარდეს ეს კაცი, შეიძლება — არა, მაგრამ ბელარუსის ინტერესებს თავისი პიროვნულობით განასახიერებს. მისთვის ბელარუსის ინტერესები ცარიელი სიტყვები არ არის. კიევში ასეთ ადამიანებს ვერ იპოვით. ყველა დაკავებულია ვაჭრობით თავისი შესაძლებლობების ჩარჩოებში. ამ მიზეზით პროცესში მონაწილე თითოეული პერსონა მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ფიქრობს და იღვწის

უახლესი რუსული შეიარაღება



**პუტინის ძალიან ეშინია ბაიდენს. ძალიან! უფრო მეტად — მისი გენერლების და რუსეთის ახალი სტრატეგიული იარაღის. როგორც ჩანს, მას სურს, ელაპარაკოს ახალი სტრატეგიული იარაღის ახალი შეზღუდვების შესახებ. ისინი (ამერიკელები) მათთვის სრულიად მოულოდნელად და თავიანთი ძალისხმევის მიუხედავად, აღმოჩნდნენ ამერიკული თვალსაზრისით წარმოუდგენელ ვითარებაში**

**პუტინმა ერთხელ უკვე აღნიშნა, რომ ზოგიერთი ეროვნული რესპუბლიკის შექმნა საბჭოთა ხელისუფლების შეცდომა იყო. მოგვიწევს ამ შეცდომის გამოსწორება. გაგვიჭირდება, მაგრამ ყველა, ვინც კი მარჯვეა, ისედაც გაიქცევა, რადგან იქ ცხოვრება ძნელია და ზოგიერთ შემთხვევაში — შეუძლებელიც.**

მოვლენების წინ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




ლგბტ თემისა და ნაცისტების აღლუმები ქალაქ კიევში

# დაუფიქრდით! რას ნიშნავს შემხვედრი დარტყმა, რას ნიშნავს რუსეთის პრეზიდენტის სიტყვები ახლახან რომ წარმოთქვა? იგი ერდოღანი არ არის (!), მან თქვა ის, რაც რეალურად არსებობს: აშშ განადგურდება იმაზე უფრო ადრე, ვიდრე რუსეთზე დამიზნებული რაკეტები რუსეთის ზეცას მიაღწევს

◀ით მათი მზერა ვერ აღწევს. დღეს ეს ქვეყანა მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ გარე ძალები (უწინარეს ყოვლისა, აშშ და გერმანია) ამ ტერიტორიაზე აშენებენ ანტირუსულ პროექტს. მათ, რასაკვირველია, ესმით, რომ შემდეგ მისი დაბრუნება მოუწევთ, მაგრამ იქ დაფრთიანებული რუსოფობები იმედოვნებენ, რომ კიდევ დიდხანს, რამდენიმე თაობის განმავლობაში იპარპაშებენ ისე, როგორც დიდი სამამულო ომის პერიოდში გერმანელების მიერ გამოზრდილმა ძალებმა 1991 წლამდე მოაღწიეს.

თუნდაც ამიტომ საჭიროა მათ წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება.

გავიხსენოთ, რომ პერეიასლავის რადის შემდეგ, როცა აღნიშნული ტერიტორია 300 წლის განმავლობაში რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა, ეს ძალები პრაქტიკულად ამოწყდა, ე.ი., მათ გადასაშენებლად 4-5-მა თაობამ უნდა გაიაროს, დაახლოებით 150 წელი უნდა გავიდეს. გსმენიათ, რომ **ნაპოლეონის** შემოსევისას სადმე ანტირუსული აჯანყება მოეწყოთ?!

ესაა მთავარი. **პუტინმა ერთხელ უკვე აღნიშნა, რომ ზოგიერთი ეროვნული რესპუბლიკის შექმნა საბჭოთა ხელისუფლების შეცდომა იყო. მოგვიწევს ამ შეცდომის გამოსწორება. გაგვიჭირდება, მაგრამ ყველა, ვინც კი მარჯვეა, ისედაც გაიქცევა, რადგან იქ ცხოვრება ძნელია და ზოგიერთ შემთხვევაში — შეუძლებელიც.**

**— გამოდის, რომ, ადრე თუ გვიან, უკრაინა ევრაზიულ ეკონომიკურ ზონაში გაერთიანდება.**

— აბა, სხვაგან სად უნდა წავიდეს?! კარგს რას გაგვიკეთებს პოლონეთი, თუ ჩვენ მას გალიციას მივცემთ?! როცა ნამდვილ პოლონელებს ეს სურათი გადავუშალე, მათ ასეთი რეაქცია ჰქონდათ: — რატომ არ გიყვართ, მიხაილ ლეონიდოვიჩ?!

— არ დაიბრუნებთ გალიციას? — შევეკითხე პასუხად.

— გონებით თუ განვსჯით, რა თქმა უნდა, დაბრუნება უაზრობაა, მაგრამ პოლიტიკური და იდეოლოგიური მიზეზების გამო მოგვიწევს მიღება. სხვა რა გზა გვაქვს.

ყველა შუალედურ ტერიტორიას ძალთა ორ მნიშვნელოვან ცენტრს შორის ყოველთვის მსგავსი პრობლემები წარმოექმნება. ფაქტობრივად ლაპარაკია იმაზე, რომ თუ გალიცია პოლონეთში იქნება, იმ ტერიტორიიდან, რომელიც ევრაზიის სივრცეში შევა, ყველა უკრაინელი ნაციონალისტი იქ უნდა გადასახლდეს. პოლონელებმა იმტვრიონ თავი! ეს ჩვენ ვართ კეთილები და ჰუმანურები, სხვებს ნუ მოვთხოვთ!

## ევროპაში ის უნდოდა, რომ სიკვდილი არ უნდოდა...

**სჭირდებოდა აშშ-ის პრეზიდენტს ევროპაში ჩასვლა და რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრა. ბაიდენს სურდა და იმათაც, ვინც მის უკან დგას. არც მალავდნენ. პირიქით, დემონსტრაციულად აცხადებდნენ, საქვეყნოდ გასაგებად.**

**რატომ?**

**ამ შეკითხვას პასუხობს ჩვენი განათლებული მკითხველებისთვის კარგად ნაცნობი ისრაელელი ანალიტიკოსი იაკობ კედმი.**

— რაზე ისაუბრებს ბაიდენი პუტინთან, ამაზე არც ბაიდენი, არც ისინი, ვინც მას მხარს უჭერს, წინასწარ სიტყვას არ დაძრავენ.

**პუტინის ძალიან ეშინია ბაიდენს. ძალიან! უფრო მეტად — მისი გენერლების და რუსეთის ახალი სტრატეგიული იარაღის. როგორც ჩანს, მას სურს, ელაპარაკოს ახალი სტრატეგიული იარაღის ახალი შეზღუდვების შესახებ.** ისინი (ამერიკელები) მათთვის სრულიად მოულოდნელად და თავიანთი ძალისხმევის მიუხედავად, აღმოჩნდნენ ამერიკული თვალსაზრისით წარმოუდგენელ ვითარებაში.

**— უპირატესობის არქონაში.**

— უარესი! რუსეთის რაკეტსაწინააღმდეგო შეტევითმა სტრატეგიულმა სისტემამ გაანულა მათი შეტევითი შემადგენელი.

**დაუფიქრდით! რას ნიშნავს შემხვედრი დარტყმა, რას ნიშნავს რუსეთის პრეზიდენტის სიტყვები, ახლახან რომ წარმოთქვა? იგი ერდოღანი არ არის (!), მან თქვა ის, რაც რეალურად არსებობს: აშშ განადგურდება იმაზე უფრო ადრე, სანამ რუსეთზე დამიზნებული რაკეტები რუსეთის ზეცას მიაღწევს.**

ეს აშინებს მათ!

რუსეთის ცას რომ მიაღწევს, არ ნიშნავს, რომ აფეთქდება.

ეს არის მისი (ბაიდენის) ძირითადი მიზანი. იგივე (ოღონდ საგნების დასახელების გარეშე და სხვა პრობლემების ჩაუთვლელად) სურდა ტრამპს. მასაც უნდოდა ამ პრობლემის მოხსნა, რადგან დღესაც არ აქვს ფული შეერთებულ შტატებს, დეფიციტი უზარმაზარია. საბეჭდი დაზგა გადახურდა.

**— ინფლაცია დაიწყო!**

**— ინფლაცია მათ ნაკლებად აღელვებს. ჰკითხეთ მათ, ვინც ახლახან იყო შეერთებულ შტატებში, რა დღეშია ამჟამად ამერიკის სახელგანთქმული გზები, ხიდები, წყალმომარაგების სისტემა. ვითარების გამოსასწორებლად მათ სჭირდებათ კოლოსალური ოდენობის ფული. მაგრამ, სწორედ ფული არ დაუბანდებიათ ამ საქმეში, არ დაუფინანსებიათ ეს საქმე.**

ამერიკას კოლოსალური ფინანსური ხარჯების გაწევა მოუწევს. სტრატეგიული შეიარაღებით აშშ რუსეთს რომ დაეწიოს, ხარჯი უფრო გაეზრდება.

მაგრამ არ არის ფული.

ამერიკელები გამოდიან ავღანეთიდან. ეს გადაწყვეტილება ტრამპს უცებ არ მიუღია: რას ვაკეთებთო ჩვენ, ამერიკელები ახლო აღმოსავლეთში? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემისას იგი საგნებს თავთავიანთ სახელებს უწოდებდა, თითქმის ოდესურად:

— რა ხეირი გვაქვს ამის გამო ახლო აღმოსავლეთიდან?!

ესაა ბაიდენის პრობლემა და ამისთვის სჭირდება რუსეთი. არადა, სხვას ვის უნდა მოელაპარაკოს, პოლონეთს, როცა ეს საკითხი აწუხებს მთელ დასავლეთ სამყაროს?! ინგლისის არმია დღეს არნახულად კნინდება. მას ერთი სატანკო დივიზიის გამოყვანაც არ შეუძლია — ამის უნარიც არ აქვს დიდ ბრიტანეთს! სატანკო გაერთიანება — ერთი დივიზიის ნაცვლად 140 თანამედროვე ტანკი! სულ ესაა! ამით დაიპყრობენ ევროპას?! დაეხმარებიან უკრებს (უკრაინელებს), ბალტიისპირელებს?!

მას ეს კარგად ესმის და ამ კუთხით სურს რუსეთის დამშვიდება.

**მთელი ძალები მიმართულია ჰიბრიდული ომის საწარმოებლად, რომელსაც მე ძირგამომთხრელ ომს ვუწოდებ, რომელმაც შიგნიდან უნდა ააფეთქოს რუსეთი, ეს ძვირი არ ჯდება. ავიამზიდის აშენებაზე გაცილებით იაფია. მით უფრო, რომ, როგორც წარსულმა გვაჩვენა, რუსეთში ადამიანები ისე იაფია, როგორც ლათინურ ამერიკაში. ყოველთვის შეგიძლიათ ხელმისაწვდომ ფასად მოისყიდოთ ისეთები, რომლებიც მზად არიან, გააკეთონ ყველაფერი, რასაც მოისურვებთ.** ძალიან ბევრი ყავდათ ასეთი. ვიმედოვნებ, ეს წარსულს ჩაბარდა.

აი ჩვენ კი, საქართველოში გაგვიცრუვდა ეს იმედი. ფულზე იდეალების, საკუთარი მრწამსის გაყიდვა არა მხოლოდ მოდურია, არამედ მწვერვალს მიაღწია. არასამთავრობო გაყიდულ-გადაბირებული ორგანიზაციების პარპაშის ჟამიანობის დრო დგას საქართველოში, ფეიკების ზარი მოუხმობს ქართველობას შეთითხნილ-გამოგონილი „ეროვნული პრობლემების“ გარშემო დასარაზმად და მათ დასაძლევად. ამის უახლეს მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონატისა და ნამოხვანჰესის გამო ატეხილი ხმაური და გამიშვი-არგაგიშვებ.

დააკვირდით ე.წ. სახალხო დამცველის დაბნეულ გამომეტყველებას და „რიონის ხეობის გადარჩენის“ მოძრაობის ე.წ. ლიდერის უსუსურ არგუმენტებს და არ გაგიჭირდებათ იმის დადგენა, სად არის დამარხული იმ ძაღლის თავი, რომელსაც ვინ **შობელძაღლს** უწოდებს, ვინ — **ძუკნის გაგდებულს.**

არის სხვა ვარიანტებიც...

მაგრამ, მგონი, გადავუხვიეთ თემას, და სასწრაფოდ დავუბრუნდეთ პირველთქმულს, მით უფრო, რომ იაკობ კედმი საინტერესოდ ლაპარაკობს ბაიდენ-პუტინის შეხვედრის შესახებ.

— რუსეთის წინააღმდეგ მიმართული მთელი სტრატეგია დღეს შორდება სამხედრო კონფრონტაციას, ისე, რომ შეიძლება ფული ჩინეთისთვისაც კი მორჩეს. და გადადის იდეოლოგიურ ან ეკონომიკურ შემადგენელზე: მოჰკვეთოს ევროპა რუსეთს, მოჰკვეთოს ევროპა ჩინეთს.

მოჰკვეთოს სრულად, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, რათა ყველამ შეერთებული შტატებისთვის იმუშაოს. ეს არის მისი ახალი სტრატეგია, მაგრამ ამისთვის საჭიროა, დაიცვას თუნდაც მხოლოდ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისა და არმიის უსაფრთხოება ომის დაწყების საშიშროებისგან.

თორემ ომის დაწყების შემთხვევაში, გამორიცხული არ არის, რომ იგი განვითარდეს არა ამერიკული სცენარით, არამედ, როგორც ყოველთვის, პუტინის სცენარით.

**დააკვირდით ე.წ. სახალხო დამცველის დაბნეულ გამომეტყველებას და «რიონის ხეობის გადარჩენის» მოძრაობის ე.წ. ლიდერის უსუსურ არგუმენტებს და არ გაგიჭირდებათ იმის დადგენა, სად არის დამარხული იმ ძაღლის თავი, რომელსაც ვინ შობელძაღლს უწოდებს, ვინ — ძუკნის გაგდებულს**

**მიმოხილვა მოამზადა**
**არმაზ სანებლიძემ**

**P.S. მაგრამ ეს ბაიდენის თავის ტკივილია და ჩვენ ტვინს ამაოდ ნუ გავიცხელებთ.**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფულის პირველი ერთეული 4,5 ათასი წლის წინათ გაჩნდა. მეცნიერებისთვის ცნობილი ყველაზე ძველი ფული არის ვერცხლის წნელები, რომლებსაც ანგარიშსწორებისთვის იყენებდნენ მესოპოტამიაში. ნაკეთობებს ერთნაირი სიგრძე, დიამეტრი და წონა ჰქონდა და ამ პარამეტრებს გულმოდგინედ იცავდნენ დამზადებისა და ანგარისწორების მომენტში... ასეთივე წნელებით, ოღონდ რკინისგან დამზადებულით, ანგარიშსწორებისას სარგებლობდნენ სპარტელები.**

# ყველაზე უცნაური ფულის ერთეულები კაცობრიობის ისტორიაში

**იყო დრო, როცა ფულის ზომები ძალიან დიდი იყო. კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია საკმაოდ ბევრი შემთხვევა, როცა საყიდლებზე წასვლისას მტვირთავებს ქირაობდნენ ფულის წასაღებად. როგორ გამოიყუნებოდა ფულის ერთეულები სხვადასხვა ეპოქაში?**



## ლითონის წნელები

ოფიციალური ვერსიის თანახმად, ფულის პირველი ერთეული 4,5 ათასი წლის წინათ გაჩნდა. მეცნიერებისთვის ცნობილი ყველაზე ძველი ფული არის ვერცხლის წნელები, რომლებსაც ანგარიშსწორებისთვის იყენებდნენ მესოპოტამიაში. ნაკეთობებს ერთნაირი სიგრძე, დიამეტრი და წონა ჰქონდა და ამ პარამეტრებს გულმოდგინედ იცავდნენ დამზადებისა და ანგარისწორების მომენტში. იმ შორეულ პერიოდში ბუღალტერიას აწარმოებდნენ თიხის ფირფიტებით, ამიტომ ვაჭრობის სფეროს მუშაკები ფიზიკურად ძლიერები უნდა ყოფილიყვნენ. ასეთივე წნელებით, ოღონდ რკინისგან დამზადებულით, ანგარიშსწორებისას სარგებლობდნენ სპარტელები. ფულის ერთეულად ითვლებოდა 6 წნელის შეკვრა, რომელიც მამაკაცს უნდა აეღო, ბერძნულად — „დრაჰმა“. სხვათა შორის, თანამედროვე ბერძნულმა ფულმა ეს უძველესი სახელწოდება მემკვიდრეობით მიიღო.



## მარილი

მარილს ყველა ეპოქაში განსაკუთრებული ფასი ჰქონდა. ამ პროდუქტს არა მხოლოდ კერძისთვის გემოს მისცემად და მარაგის შესაქმნელად იყენებდნენ, არამედ რიტუალური მიზნებისთვისაც, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ პლანეტის ზოგიერთ კუთხეში ფულის ერთეულად გამოიყენებოდა. ეთიოპიაში მარილი ოქროზე ძვირად ფასობდა და მისი გაცვლა ნებისმიერ რამეზე შეიძლებოდა, მათ შორის, პატარძალზე.

მარილის ზოდებს, როგორც ანგარიშსწორების საშუალებას, იყენებდნენ შუასაუკუნეების ევროპასა და ძველ რუსეთშიც.



## ნიჟარები — ყველაზე გავრცელებული ვალუტა

ჩინეთი თავისი ისტორიის რამდენიმე ათასი წლის განმავლობაში ფულის ერთეულად სხვადასხვა საგანს იყენებდა. შესაძლოა, სწორედ ჩინეთში გაჩნდა პირველი მონეტები — ჩინელებს მოსწონდათ ასეთი ფული და მათ დამზადებას დიდ ძალისხმევას ახმარდნენ. ცნობილია მრგვალი, კვადრატული, მრავალკუთხოვანი მონეტები, შუაში გახვრეტილი ფული, აგრეთვე, პატარა დანების სახით და ზარებიც კი, მაგრამ ყველაზე უცნაურ ჩინურ ფულად შეიძლება ჩაითვალოს მოლუსკების — ციპრეისა ან კაურის ნიჟარები, რომლებსაც 3,5 ათასი წლის წინათ იყენებდნენ. იმხანად ეს გადაწყვეტილება იდეალური გახლდათ: კაურის გაყალბება შეუძლებელი იყო, თანაც ასეთი ფული ძალიან ცოტას იწონიდა. საზოგადოდ, მოლუსკებისგან დამზადებულ ფულს ბევრი ქვეყანა იყენებდა, მაგალითად, ინდოეთის სამხრეთში კაურის ფული 1900 წლამდე იყო მიმოქცევაში.



## ლითონის რგოლები

რკინის, სპილენძისა და ძვირფასი ლითონებისგან დამზადებულ რგოლებს, როგორც ფულის ერთეულს, 1948 წელსაც იყენებდნენ დასავლეთ აფრიკაში. თუ რკინისა და სპილენძის რგოლები გამოიყენებოდა საკვების, ინვენტარისა და მომსახურების საფასურის გადასახდელად, ოქროსა და ვერცხლის რგოლებს მონების შესაძენად და ტყვეების გამოსასყიდად იყენებდნენ.



## მარცვლეული

კვების პროდუქტებზე ძველ მსოფლიოში ყოველთვის იყო მოთხოვნა — ომები, სტიქიები, უბედურებები და მოუსავლიანობა ხშირად ქმნიდა ისეთ ვითარებას, რომ ადამიანს შეიძლება ჰქონოდა ოქრო, მაგრამ შიმშილისგან მომკვდარიყო, ამიტომ ძველი ეგვიპტელები საკითხს მაქსიმალურად პრაგმატულად მიუდგნენ: დაიწყეს ფულის ერთეულად მარცვლეულის გამოყენება — ჭვავისა და ხორბლის. ანგარიშსწორების ეს მეთოდი ისეთი მოსახერხებელი იყო, რომ დიდ ქალაქებში შეიქმნა მარცვლეულის ბანკები, რომლებშიც შეიძლებოდა მარცვლეულის შენახვა და, როცა საჭირო იქნებოდა, წაღება. ბანკები იძლეოდნენ პერგამენტსა და პაპირუსზე დაწერილ ხელწერილებს, რომლებიც ბაზარში წასვლისას საკრედიტო ბარათების როლს თამაშობდა.



## ჩიტის ბუმბული

ტროპიკული ფრინველების ბუმბულს ფართოდ იყენებდნენ მონეტებად სოლომონის კუნძულებზე მცხოვრებნი. მსუბუქი ვალუტა რომ არ დაეკარგათ, მას აწებებდნენ ან ახვევდნენ ლენტებად.

ბუმბულის სამ ლენტად შეიძლებოდა კანოეს ან შუბის შეძენა, აგრეთვე — საცოლის. მდიდარი კუნძულელები საყიდლებზე რამდენიმე ასეთი ლენტით მიდიოდნენ.

ბუმბულის ფულ ტევაუს XX საუკუნის შუა წლებამდე იყენებდნენ კუნძულ სანტა-კრუსზე.



## ჩაის ბრიკეტები

აგურის ან მრგვალი ფორმის დაპრესილი ჩაის ფოთლების ბრიკეტები ძველ ინდოეთში, ჩინეთსა და ტიბეტში ფულის მაგივრობას ასრულებდა.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ბრიკეტებზე გარკვეულ ნიშნებს გამოსახავდნენ ხოლმე.



## ოკეანის ქვის მონეტები

მიკრონეზიის არქიპელაგი, რომელიც უამრავი პატარა ვულკანური კუნძულისგან შედგება, წყნარ ოკეანეში მდებარეობს. ამ პატარა კუნძულებზე ფულის ერთეულად სხვადასხვა ზომის ტუფის ქვებს იყენებდნენ. კუნძულ იაპზე ამ ფულის ნახვა დღესაც შეიძლება.

ყველაზე დიდ მონეტებს „სამოთხე“ ეწოდება და 5 ტონას იწონის, ყველაზე პატარა კი ხელისგულზე თავსდება.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკის თასის ნახევარფინალები გაიმართება 5 და 6 ივლისს ნილტონ სანტოსის სახელობის სტადიონზე რიო-დე-ჟანეიროში და მანე გარინჩას სახელობის სტადიონზე დედაქალაქ ბრაზილიაში (9 ივლისს აქვე გაიმართება მატჩი მესამე ადგილისთვის); ფინალური მატჩი ჩატარდება 10 ივლისს რიო-დე-ჟანეიროში სტადიონ „მარაკანაზე“.**

# «კოპა ამერიკა — 2021»

**ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის დაწყების შემდეგ, 13 ივნისს ბრაზილიაში, როგორც იქნა, სტარტი აიღო სამხრეთ ამერიკის თასის 47-ე გათამაშებამ ფეხბურთში — «კოპა ამერიკა 2021»-მა.**






„კოპა ამერიკა“ 2020 წელს უნდა ჩატარებულიყო ორ ქვეყანაში — კოლუმბიასა და არგენტინაში, მაგრამ პანდემიის გამო ჩემპიონატი ერთი წლით გადაწიეს, რამდენიმე დღის წინათ კი კონმებოლმა (სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაცია) კოლუმბიას ტურნირის მასპინძლობის უფლება ჩამოართვა ქვეყანაში დაძაბული პოლიტიკური ვითარების (საპროტესტო აქციები, არეულობები) გამო, არგენტინას კი მასპინძლობაზე კორონავირუსის პანდემიით შექმნილი მძიმე ვითარების გამო უთხრეს უარი, თუმცა კოვიდვითარება სახარბიელო არც იმ ქვეყანაშია, რომელშიც „კოპა ამერიკა-2021“-ის ჩემპიონატის ჩატარება გადაწყდა, ბრაზილიაში.

ზოგიერთი ბრაზილიური წყაროს (AS და Globo) მიხედვით, ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელები განიხილავდნენ ტურნირში მონაწილეობაზე უარის თქმის შესაძლებლობას. 5 ივნისს ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი **კაზემირო** Globo-სთან ინტერვიუში საჯაროდ გამოვიდა ტურნირის წინააალმდეგ: „მხოლოდ მე კი არ ვარ წინააალმდეგი, არც მხოლოდ ის ფეხბურთელები, რომლებიც ევროპის ჩემპიონატებში თამაშობენ, არამედ მთელი ნაკრები — ყველა, მათ შორის მთავარი მწვრთნელი ტიტე და და სამწვრთნელო შტაბი“.

მოგვიანებით, 8 ივნისს, ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელებმა გამოაქვეყნეს ღია წერილი, რომელშიც მწვავედ გააკრიტიკეს კონმებოლი, მაგრამ ჩემპიონატის ბოიკოტზე უარი თქვეს: **„სხვადასხვა მიზეზის გამო, ჰუმანიტარული თუ პროფესიული, უკმაყოფილონი ვართ, როგორ მოიქცა კონმებოლი ამერიკის თასის ტურნირის მიმართ. ბოლო მოვლენები გვაიძულებს, ვიფიქროთ, რომ ტურნირის ჩატარების პროცესი ადეკვატური არ არის, ჩვენ ვეწინააღმდეგებით ამერიკის თასის ბრაზილიაში ჩატარებას, მაგრამ უარს არასოდეს ვიტყვით ბრაზილიის ნაკრების მაისურებით თამაშზე“,** — განაცხადეს ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა.

ყველაფრის მიუხედავად, სამხრეთ ამერიკის თასის გათამაშება ბრაზილიაში 13 ივნისიდან 10 ივლისის ჩათვლით გაიმართება. მატჩები ჩატარდება 4 ქალაქში: **კუაიბაში,** დედაქალაქ **ბრაზილიაში,** გოიანიასა და რიო-დე-ჟანეიროში. მატჩები კი გაიმართება 5 სტადიონზე: „მანე გარინჩას“ სახელობის ეროვნულ სტადიონზე (69 340) ბრაზილიაში, „არენა პანტანალზე“ (44 097) კუაიბაში, პედრუ ლუდოვიკო ტეიშეირას სახელობის ოლიმპიურ სტადიონზე (13 500) გოიანიაში და რიო-დე ჟანეიროს ორ სტაიონზე — „მარაკანასა“ (78 838) და „ნილტონ სანტოსზე“ (44 661).




ტურნირი დაყოფილია შემდეგ რაუნდებად: პირველი — ჯგუფური ეტაპი; მეორე — მეოთხედფინალები; მესამე — ნახევარფინალები და მეოთხე — ფინალი. ჯგუფურ ეტაპზე გუნდები დაყოფილნი არიან ორ ჯგუფად, თითოეულში 5-5 გუნდით. მატჩები ჩატარდება სისტემით „ყველა ყველას წინააალმდეგ“. თითოეული ტურის შემდეგ გუნდებს დაეწერებათ ქულების გარკვეული რაოდენობა: მოგებისთვის — 3 ქულა, ფრესთვის — 1 ქულა, წაგებისთვის — 0 ქულა.

იმ შემთხვევაში, თუ ორი ან მეტი გუნდი მოაგროვებს ქულების ერთნაირ რაოდენობას, უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც აქვს ბურთების უკეთესი სხვაობა ტურნირზე; გატანილი აქვს მეტი ბურთი; უკეთესი მაჩვენებელი აქვს პირად შეხვედრებში. თუ ყველა ეს მაჩენებელი ერთნაირი აღმოჩნდება, გუნდებს შორის დაინიშნება პენალტების სერია მეოთხედფინალური საგზურის მოსაპოვებლად. მეოთხედფინალში გავა ჯგუფის პირველი ოთხი გუნდი თითოეული ჯგუფიდან.

**ჯგუფ A-ში არიან: არგენტინა, ბოლივია, პარაგვაი, ურუგვაი, ჩილე;**

**ჯგუფ B-ში: ბრაზილია, ვენესუელა, კოლუმბია, პერუ, ეკვადორი.**

ამერიკის თასის ნახევარფინალები გაიმართება 5 და 6 ივლისს ნილტონ სანტოსის სახელობის სტადიონზე რიო-დე-ჟანეიროში და მანე გარინჩას სახელობის სტადიონზე დედაქალაქ ბრაზილიაში (9 ივლისს აქვე გაიმარჩება მატჩი მესამე ადგილისთვის); ფინალური მატჩი ჩატარდება 10 ივლისს სტადიონ „მარაკანაზე“ რიო-დე-ჟანეიროში.

* სამხრეთ ამერიკის პირველ ტურნირს (არ აღიარებს კონმებოლი) ეწოდებოდა „მაისის რევოლუციის ასწლეულის თასი“, რომელიც ჩატარდა არგენტინაში 1910 წელს. კონმებოლის მიერ აღიარებული პირველი ჩემპიონატი კვლავ არგენტინაში გაიმართა და ქვეყნის დამოუკიდებლობის 100 წლისთავს მიეძღვნა. ჩემპიონატში 4 გუნდი მონაწილეობდა: არგენტინა, ბრაზილია, ურუგვაი და ჩილე.

* ტურნირის ისტორიაში პირველი მატჩი 1916 წლის 2 ივლისს გაიმართა ბუენოს-აირესში. ამ მატჩში ურუგვაის ნაკრებმა დაამარცხა ჩილეს ნაკრები — 4:0.

* „კოპა ამერიკის“ პირველი 10 ტურნირიდან 6 ურუგვაიმ მოიგო, შემდეგ უძლიერესები იყვნენ არგენტინელები — 1920-1950-იან წლებში, მათ 11-ჯერ გაიმარჯვეს.

* ტიტულების რაოდენობით პირველია **ურუგვაი** — 15 ჩემპიონობა, **არგენტინამ** ტურნირი 14-ჯერ მოიგო, **ბრაზილიამ** — 9-ჯერ. პერუელები, პარაგვაელები და ჩილელები ორ-ორჯერ იყვნენ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონები, ბოლივიელები და კოლუმბიელები — თითოჯერ.

* 1993 წლის ჩემპიონატში, რომელიც ეკვადორში გაიმართა, მონაწილეობდნენ მიწვეული ნაკრებები — აშშ-ისა და მექსიკის..

* ტურნირის საუკეთესო ბომბარდირები არიან არგენტინელი **ნორბერტო მენდესი** და ბრაზილიელი **ზიზინიო,** რომლებმაც 17-17 გოლი გაიტანეს.

* ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის პირველი ტიტული ერგო ურუგვაელ **ისაბელინო გრაფინის.**

* „კოპა ამერიკის“ საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული ორ-ორჯერ მოიგეს ურუგვაელმა **ხოსე ნასარიმ** და არგენტინელებმა — **მანუელ სეოანემ** და **ენცო ფრანჩესკოლიმ.**


სტადიონი მარაკანა


ნილტონ სანტოსის ოლიმპიური სტადიონი რიო-დე-ჟანეიროში

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# ბრიუსელი დაიღალა «უმცროსი ძმის» როლის შესრულებით



## ბაიდენის პოლიტიკა აძლიერებს განხეთქილებას ნატოსა და ევროკავშირში

**ბრიტანული გამოცემა Daily Express-ი წერს, რომ ევროკავშირში მოიმატა ჯო ბაიდენის პრეზიდენტობის პერიოდში აშშ-ის პოლიტიკით უკმაყოფილებამ.**

სტატიის ავტორი **კელუმ ჰორი** აღნიშნავს, რომ ევროკავშირის უკმაყოფილებას იწვევს **ჯო ბაიდენის** რუსეთის ლიდერ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრა, რომლის შესახებაც ვაშინგტონმა არც კი აცნობა ბრიუსელს. ამას გარდა, ევროკავშირი შეშფოთებულია აშშ-ის ცალმხრივი გადაწყვეტილებით ავღანეთიდან ჯარების გაყვანის შესახებ, აგრეთვე, იმ ფაქტით, რომ აშშ-ის პრეზიდენტს, ჯერ კიდევ არ დაუნიშნავს თავისი ელჩი ევროკავშირში. ვაშინგტონის ასეთი პოლიტიკა ევროკავშირს თავისი ამბიციების სრულად რეალიზაციის საშუალებას არ აძლევს ევროპის უსაფრთხოების საკითხებში და ევროკავშირის წევრებს უბიძგებს, იფიქრონ აშშ-ის გავლენისგან თავის დაღწევაზე.

**„ჯო ბაიდენისა და ვლადიმერ პუტინის დაანონსებულ შეხვედრაზე 16 ივნისს განიხილება გლობალური უსაფრთხოების საკითხები, ურთიერთშეხების წერტილების მოძებნა. ეს მხოლოდ ორმხრივი ფორმატია. ევროპის კავშირი ამ შეხვედრის შედეგების შესახებ მისი დასრულების შემდეგ შეიტყობს იმ რეზოლუციით, რომელსაც აშშ-ისა და რუსეთის ლიდერები მიიღებენ. სახელდობრ, ეს სწყინს ბრიუსელს“,** — ამბობს ახალგაზრდული ინიციატივების ევრაზიული ინსტიტუტის პოლიტოლოგი **იური სიმონკინი.**

პოლიტოლოგის აზრით, ბრიუსელი ვაშინგტონის მიმართ ყოველთვის მეორე პოზიციას იკავებს, ევროკავშირის ბევრ ქვეყანას კი სურს, სუვერენული პოლიტიკა აწარმოოს, რაც გაერთიანებაში განხეთქილების მიზეზია.

ამჟამად ევროპა გზაგასაყარზეა: ან უნდა გავიდეს აშშ-ის გავლენიდან და დამოუკიდებლად გადაწყვიტოს უსაფრთხოების საკითხები, ან უნდა დამორჩილდეს აშშ-ს და იბრძოლოს მიუღებელი ქვეყნების წინააღმდეგ სანქციებით, კონფლიქტების გაღვივებით და ა.შ.

პოლიტოლოგის აზრით, ევროკავშირი, ადრე თუ გვიან, შეძლებს, თავიდან მოიშოროს „უმცროსი ძმის როლი“ და დაიწყოს თეთრი სახლისგან დამოუკიდებელი არსებობა, მათ შორის ააწყოს თანამშრომლობა „ლისაბონიდან ვლადივოსტოკამდე“ (ამ ინიციატივით ვლადირმერ პუტინი გამოვიდა). ასეთი სცენარის შემთხვევაში ევროკავშირი და ნატო შეწყვეტენ არსებობას ამჟამინდელი სახით, როგორც რუსეთზე ზემოქმედების ინსტრუმენტები, და იძულებულნი იქნებიან, პარტნიორულ ურთიერთობაზე იფიქრონ.

**iarex.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძემ**

# რუსლან ხასბულატოვი: ელცინის გარემოცვაში აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ასობით აგენტი იყო



**რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ, ბორის ელცინის თანამოსაგრე რუსლან ხასბულატოვმა რადიოსადგურ „გოვორიტ მოსკვასთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ ექსპრეზიდენტის გარემოცვაში „აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ასობით აგენტი იყო“.**

„იქ იყო, ალბათ, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს რამდენიმე ასეული აგენტი. რა ათეულობით, ასეულობით იყვნენ. ისინი განსაზღვრავდნენ ყველაფერს. იყო ასეთი შემთხვევები: მთავრობის ხელმძღვანელთან მიღებაზე მოდიოდნენ (იმხანად შედარებით დემოკრატია იყო. ადამიანებს შეეძლოთ, ხელმძღვანელთან შეხვედრა) და მას ელაპარაკებოდა ამერიკელი ამა თუ იმ საკითხზე. შემდეგ ბევრი საზღვარგარეთ გაიქცა. სწორედ მათ დაანაწევრეს და გაანადგურეს ყველაფერი. მაგალითად, სსრკ-ში იყო ელექტრონული მრეწველობის სამინისტრო ათობით უახლესი ქარხნით, ეს ყველაფერი გაანადგურეს და მათ ადგილას გახსნეს ბორდელები და ბანკები“, — განაცხადა ხასბულატოვმა და დასძინა, რომ ეს არ არის საიდუმლო. ამის შესახებ ყველამ იცის.

„ელცინს მრჩეველებად ჰყავდა უცხოელები. მას შემდეგ კი, რაც პრეზიდენტი გახდა, ბევრ ძალოვანს, მინისტრის მოადგილის დონის, ამერიკაში გზავნიდა იქაურობის დასათვალიერებლად და შემდეგ დასკვნების რუსეთში გამოსაგზავნად. ეს იცის ყველა გენერალმა, რომლებიც იქ იყვნენ“, — განაცხადა რსფსრ-ს უზენაესი საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ.

**alternatio.org-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**

# გერმანიის მთავრობის წარმომადგენელი: ნატოში უკრაინის შესვლის საკითხი არ განიხილება




**ნატო ამჟამად არ განიხილავს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში უკრაინის გაწევრების საკითხს, — განაცხადა გერმანიის მთავრობის წარმომადგენელმა ულრიკე დემერმა.** „თქვენ იცით უკრაინასთან ჩვენი ურთიერთობის შესახებ, მისი მნიშვნელობა და ჩვენი ძალისხმევა უკრაინაში, მაგრამ ნატოში შესვლა, როგორც უკვე ვთქვით, არ დგას დღის წესრიგში“, — აღნიშნა დემერმა ალიანსში უკრაინის ინტეგრაციის შესაძლებლობისა და ამის გამო მოსკოვის შეშფოთების საკითხის კომენტირებისას.

ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა **ჯეიმს აპატურაიმ** კი განაცხადა, რომ კიევს გრძელი გზის გავლა მოუწევს. **„ნატოს წევრობისკენ გზა მოკლე არ არის. თითოეულმა პოტენციურმა წევრმა უნდა გაატაროს რეფორმების კომპლექსი არა მხოლოდ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში, არამედ სამართლის უზენაესობის, სახელმწიფო მმართველობისა და ეკონომიკური სტაბილურობის მიმართულებებითაც“,** — აღნიშნა მან კიევში გამართულ ფორუმზე.

რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** ტელეარხ „როსია 1“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ნატოს გაფართოება რუსეთის საზღვრებისკენ უნდა ჩაითვალოს „წითელ ხაზად“, რომლის გადაკვეთის შემდეგაც რუსეთის შესაბამისი რეაქცია არ დააყოვნებს.

**aftershock.news-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**




# ამერიკული პრესიდან

**ალერგიისა და ინფექციური დაავადებების აშშ-ის ინსტიტუტის მედიცინის დოქტორ ენტონი ფაუჩის გამოქვეყნებული ელექტრონული ფოსტა მიუთითებს, რომ მან და „აშშ-ის საუკეთესო ექიმებმა“ მოაწყვეს შეთქმულება, ჰიდროქსიქლოროხინის, როგორც კოვიდის საწინააღმდეგო ეფექტიანი სამკურნალო საშუალების, წინააღმდეგ.**

ახალი კვლევები აჩვენებს, რომ სხვადასხვა პრეპარატი, მაგალითად, ჰიდროქსიქლოროხინი კოვიდიანი პაციენტების სიცოცხლისუნარიანობას თითქმის 200%-ით ზრდის, მაგრამ ამის შესახებ **ენტონი ფაუჩი** დუმს.

„გასულ წელს ინდოელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ კორონავირუსი შეიქმნა შიდსის დახმარებით. გამოქვეყნდა ფაუჩის ელექტრონული წერილები, რომლებიდანაც ჩანს, რომ ის ემუქრებოდა ინდოელ მეცნიერებს და აიძულა ისინი, უარი ეთქვათ თავიანთ კვლევებზე“.

*** აშშ-ის დაავადებათა კონტროლის სამედიცინო კონსულტანტები: ახალგაზრდებსა და მოზარდებში კოვიდის საწინააღმდეგო ვაქცინის აცრის შემდეგ გულის დაავადებების რაოდენობა „მოსალოდნელზე მეტია“.**

* ფლორიდის გუბერნატორი, რესპუბლიკელი **რონ დესანტისი** ფესტივალს მოულოდნელად ეწვია. „ფლორიდამ თავისუფლება ამჯობინა ფაუჩიზმს“, — თქვა მან და აპლოდისმენტები დაიმსახურა. „ჩემი გზავნილი სხვა შტატებისა და სხვა ქვეყნებისადმი: გახსენით თქვენი შტატები, თქვენი სკოლები, ნება მიეცით ადამიანებს, იცხოვრონ თავიანთი ცხოვრებით, ნუ აიძულებთ მათ ნიღბების ტარებას“, — დასძინა დესანტისმა.

*** საკრუიზო ხაზმა — Royal Caribean International-მა განაცხადა, რომ მგზავრებისგან აღარ მოითხოვს ვაქცინაციის დამადასტურებელ პასპორტებს, რადგან ფლორიდის გუბერნატორი რონ დესანტისი მათ 5000 დოლარით დაჯარიმებით დაემუქრა, ყოველ ჯერზე, როცა ისინი მოითხოვენ ვაქცინაციის დამადასტურებელ პასპორტს.**

* ჩინელმა მეცნიერმა სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის სახელით მანამდე შეიტანა განაცხადი კოვიდის საწინააღმდეგო ვაქცინის დაპატენტებაზე, სანამ ამ ვირუსის გლობალური პანდემია გამოცხადდებოდა; მოგვიანებით კი, 2020 წელს, იდუმალ ვითარებაში დაიღუპა (Daily Mail).

*** რობერტ კენედი-უმცროსი: ისრაელის ჯანდაცვის ორგანოების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ „ფაიზერის“ ვაქცინის მეორე დოზის მიღების შემდეგ არის მიოკარდიტის განვითარების ალბათობა 16-დან 30 წლამდე ადამიანებში.**

* მაიამიში გაიმართა ლგბტ სტილში გაფორმებული პოლიციის სამსახურებრივი მანქანის პრეზენტაცია.

*** გიგანტური ხანძარი ჩინეთში, პოლიკრისტალური კაჟის (კრიტიკულად საჭირო მასალა მიკროსქემებისა და მზის ბატარეების დასამზადებლად) ქარხანაში. სინგაპურის Flex-მა განაცხადა, რომ მსოფლიოში 2022 წლის ივლისამდე მიკროსქემების დეფიციტი იქნება.**

* ამერიკის ფსიქოანალიტიკური ასოციაციის ჟურნალმა გამოაქვეყნა კვლევა, რომელშიც ადამიანის „სითეთრე“ შედარებულია „ავთვისებიან პარაზიტულ დაავადებასთან“ და მის წინააღმდეგ „ჯერჯერობით არ არსებობს წამალი“.




თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას
„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894